პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 54, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მუშაფების და მასწავლებლებისთვის—1 მან. დანარჩენები თვის—1 მანეთ. და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელ. № 13—80 ექსპედ. ა—43.

კვირა, 27 თებერვალი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 46 (1801)

დ ღ ი უ რ ი

— ხმები კელლოგის გადადგომის შესახებ.
— გადადგა პეკინის ფინანსთა მინისტრი.
— ავსტრიელ ფაშისტების მანიფესტაცია.
— ახალი მუშათა პარტიის დაარსება ბულგარეთში.
— სოციალისტური პარტიის დევნა [illegible].
— ეინშტეინის, რომენ როლლანის და ანრი ბარბიუსის მოწოდება.
— იტალიის სამხედრო სამზადისი [illegible].
— გაიხსნა ბაქოს მეექვსე ბაზრობა.

ღ ი რ ს ე უ ლ ი პ ა ს უ ხ ი

საბჭოთა კავშირის მთავრობის პასუხი ინგლისის ნოტაზე უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია. რა რიგ განირჩევა ის ჩემბერლენის „შემოქმედებისაგან", როგორც შინაარსით, ისე ფორმით!

პირველ ყოვლისა, თვალში გვეცემათ შემდეგი: თუ ჩემბერლენის ნოტა ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ ოფიციალურ დიპლომატიურ ზრდილობას და უხეში, შეურაცხმყოფელი ენითაა შედგენილი, საბჭოთა კავშირის მთავრობის პასუხს აზის უაღრესი საქმიანი სერიოზულობის ბეჭედი და ის ოდნავადაც არ ეშვება იმ დაწვრილმანებამდე, რომელიც ჩემბერლენის „წერილს" ახასიათებს და რომელიც საბჭოთა მთავრობისათვის შეგნებულად შეურაცხყოფის მიყენებას ისახავს მიზნად.

ჩვენი პასუხის ეს თვისება ოდნავადაც არ ნიშნავს მის სისუსტეს, პირიქით, ამაშიცაა მისი ძალა ისე, როგორც საბჭოთა მთავრობის, მაშინ, როცა ჩემბერლენი თავისი უხეში კილოთი და საპირადო მომენტებით ატიტლებს თავის ნამდვილ ვინაობას.

ამ გზით ჩემბერლენი ცდილობს თავისი დიპლომატიური გამოლაშქრების უსაფუძვლობა დაფაროს. მაგრამ ამაოდ. ჩვენი პასუხი კვალდაკვალ მისდევს მის „მოსაზრებებს" და „ფაქტებს" და შეუბრალებლად ამსხვრევს მათ. ეს შესაძლებელი შეიქნა სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიციები ამ შემთხვევაში შეურყეველია და მისი გამტყუნება ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დარღვევაში და ანტიბრიტანულ პროპაგანდაში მოკლებულია რაიმე საბუთის ყოველგვარ ნასახსაც კი.

სამაგიეროდ საპასუხო ნოტა უდავოდ ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა სისტემატიურად იწევა ისეთ მოქმედებას, რომლის შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ურთიერთ დამოკიდებულების გართულება ორივე სახელმწიფოს შორის. საბჭოთა მთავრობის პასუხი ყველასათვის აშკარად ხდის, რომ ჩემბერლენის „საბუთები" მასვე სცემს ცხვირში. ჩემბერლენი თავისი „არგუმენტებით" თვითონ გება მახეში, როგორც ამაზე მას ინგლისშიაც მიუთითეს.

საბჭოთა მთავრობა იმთავითვე მოითხოვდა კონკრეტიულ ფაქტების დასახელებას მისი „ანტიბრიტანულ მოქმედების" დასამტკიცებლად. ინგლისის მთავრობა ამას გაურბოდა და კმაყოფილდებოდა მხოლოდ ზოგად ბრალდების წამოყენებით ჩვენი „ანტიბრიტანულ პროპაგანდის" შესახებ. იყო ერთად-ერთი კონკრეტიული „ფაქტი", სახელდობრ „ზინოვიევის წერილი" და ამაზედაც ფეხი მოიტეხა ინგლისის მთავრობამ. რაკი უკანასკნელს ნამდვილი სათანადო ფაქტები არ მოეპოვება, ჩემბერლენმა მოინდომა არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა მოქალაქეთათვის თვით საბჭოთა კავშირის ფარგლებში თავისი შეხედულებების გამოთქმის უფლების შეკვეცა—კაპიტალისტურ წყობილებაზე, რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებაზე და სხვ., რამდენადაც ეს შეხედულებები ჩემბერლენებს არ მოსწონთ. ამავე დროს კონსერვატორები და მათ შორის ინგლისის მთავრობის გავლენიანი წევრები დღეს არ უშვებენ, რომ უხამსი სიტყვებით არ გაილაშქრონ საბჭოთა წყობილების და მის მოღვაწეთა წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობას, ცხადია, არ უკისრია არავითარი ვალდებულება, რომ ის ინგლისელ კონსერვატორების გულის მოსაგებად ჩაჩუმებდა საბჭოთა მოქალაქეებს.

ინგლისის მთავრობა სრულებით უსაფუძვლოდ იმუქრება სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებას და დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას, თუ საბჭოთა მთავრობის მხრით გაძლიერდა არ არსებული ანტი-ბრიტანული კამპანია, რა თქმა უნდა, როგორც ამხ. ლიტვინოვი ამბობს, ეს მუქარა ვერავის შეაშინებს. თუ ჩვენ იმპერიალისტების წინაშე კაპიტულიაცია არ მოგვიხდენია წინედ, როცა უზომოდ უფრო სუსტნი ვიყავით, მით უფრო ამაზე შეუძლებელია დღეს ლაპარაკი.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ეწინააღმდეგება არა მარტო ჩვენი კავშირის მშრომელთა ინტერესებს, არამედ უფრო მეტად ინგლისის ხალხთა ინტერესებს. ამიტომ ჩვენ მათთან ერთად უაღრესად მოწადინებული ვართ მშვიდობიანობის განმტკიცებას, მაგრამ ისე კი რომ ოქტომბრის მონაპოვრებიდან ვერაფერს დავსთმობთ.

დიპლომატიური სკანდალი*)

ინგლისელ იმპერიალისტების უკანასკნელმა გააფთრებულმა ანტისაბჭოთა კამპანიამ ოფიციალური გამოხატულება ჰპოვა ჩემბერლენის უკვე ცნობილ საპროტესტო ნოტაში. ეს ნოტა უეჭველად თავისებურია და განირჩევა ასეთი ხასიათის დიპლომატიურ დოკუმენტებისაგან. მაგრამ მისი „ორიგინალობა" ყველაზე ნაკლებად მოწმობს ჩემბერლენის შემოქმედებით ნიჭს.

პირველ ყოვლისა, ნოტას ახასიათებს უხეში კილო და უზრდელობა, რაც ერთი მხრივ ააშკარავებს მისი ავტორის — ინგლისის მთავრობის მიერ სულიერი წონასწორობის დაკარგვას, მეორე მხრივ ჩემბერლენებს აცლის იმ ელემენტარულ სიდინჯესა და სერიოზულობას, რომელიც, რაც არ უნდა იყოს, სავალდებულოა მათთვისაც, რამდენადაც ისინი „ბედის წყალობით" სახელმწიფოს უდგანან სათავეში.

უფრო სასკანდალოა ჩემბერლენის მორიგი დიპლომატიური „შემოქმედება" თავისი შინაარსით და იქ წამოყენებულ დებულებათა არგუმენტაციით. ის უფრო წარმოადგენს მეტად მდარე პოლემიკურ წერილს, ვინემ ჩვეულებრივ და რაიმე დადებით ღირებულების მქონე დიპლომატიურ აქტს. ერთ რაიმეში მაინც უნდა ვსცნოთ ჩემბერლენის „ღირსება". მას დიდი შრომა გაუწევია მოსკოვის გაზეთებიდან ციტატების შეგროვებაზე, რომლებითაც ლამობს საბჭოთა მთავრობისადმი წაყენებულ ბრალდებების დამტკიცებას.

მაგრამ დასაბუთების ასეთი „მეთოდი" მჭერმეტყველურად ღაღადებს, რომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ჩემბერლენს არავითარი სერიოზული და კონკრეტული ფაქტი არ მოეპოვება იმ „ბოროტმოქმედებათა" გამოსააშკარავებლად, რომლებსაც, მისი თქმით, საბჭოთა ხელისუფლება სჩადის ინგლისის მიმართ. ეხლა ცხადია, რომ კონსერვატორებს არ შეეძლოთ ე. წ. „ზინოვიევის წერილის" ისტორიის განმეორება, როცა ამ აფიორაზე მათ ხელები საგრძნობლად დაიწვეს. და ჩემბერლენმა სხვა უკეთესი ვერაფერი გამონახა ჩვენი „ანტიბრიტანულ აგიტაციის" ნათელსაყოფად, თუ არა კომპარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელ წევრების მოსკოვში საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები და საბჭოთა პრესაში მოთავსებული წერილები თუ კარიკატურები.

ჩემბერლენი გვეუბნება, რომ ამ დოკუმენტებში შეურაცყოფაა მიყენებული ინგლისისათვის და მისი ცალკე სახელმწიფოთ მოღვაწეებისათვის. მაგრამ ეს „ბრალდება" პირველ ყოვლისა თვით ჩემბერლენსა და მის კოლეგებს აყენებს გამოუვალ მდგომარეობაში. მაკდონალდი, რომელიც ზრუნავს ინგლისის კონსერვატიულ მთავრობის პრესტიჟზე, ტყუილად კი არ მიუთითებს ჩემბერლენს, რომ სახიფათოა მისთვის ამ თვალსაზრისზე დადგომა, რადგან კონსერვატორების პრესაში და ინგლისის მმართველ ჯგუფების, თვით მთავრობის წევრების სიტყვებში მოიპოვება ორჯერ მეტი და უფრო მძიმე საბუთები. რომელთა საშუალებით საბჭოთა მთავრობას გაცილებით მეტის უფლებით შეეძლო ინგლისის მთავრობისათვის მსგავსი ბრალდების წარდგენა.

უფრო სასაცილოა ჩემბერლენის მოთხოვნა, რომ საბჭოთა მოქალაქეებმა ხელი აიღონ მსოფლიო რევოლიუციისაკენ მოწოდებაზე თითქოს ეს ნიშნავდეს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირზე დაკისრებულ ვალდებულების დარღვევას. როდის მისცა საბჭოთა მთავრობამ ჩემბერლენებს პირობა, რომ ჩვენი კავშირის მოქალაქენი უარყოფენ რევოლიუციონურ შეხედულებებს და კონსერვატორების მსოფლმხედველობას გაიზიარებენ!

ჩვენ ვიცით, თუ რა მუცლის გვრემა აწუხებს ჩემბერლენს. საბჭოთა კავშირის არსებობა და განმტკიცება თავის თავად უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის რევოლიუციონური ფაქტორია, როგორც დასავლეთის მუშათა კლასის, ისე აღმოსავლეთის დამონებულ ხალხებისათვის. ჩვენი არსებობის ფაქტი თავის თავად მოწოდებაა საერთაშორისო რევოლიუციისაკენ. ამას ვერ ინელებს ჩემბერლენი. მაგრამ საბჭოთა მთავრობას ხომ ინგლისთან ხელშეკრულება არ დაუდვია იმის შესახებ, რომ საბჭოთა წყობილება უნდა დამხობილიყო!

ჩემბერლენი ჩვენ გვწამებს ანტიბრიტანულ მუშაობას და ამასთან ირწმუნება, რომ ის იღწვის მშვიდობიანობისათვის და რომ სრულებით უსაფუძვლოა ის აზრი, თითქო ინგლისის მთავრობა საბჭოთა კავშირის სამტრო პოლიტიკას აწარმოებს. მაგრამ რომელი გულუბრყვილო დაიჯერებს ჩემბერლენის მშვიდობისმოყვარეობას! ხომ ყველამ ვიცით, ის ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის შექმნის ცდა, რომელსაც იგი თავგამოდებით აწარმოებს.

ჩემბერლენი ამასთან ირწმუნება, რომ „მისი უდიდებულესობის მთავრობა" არ ეხება საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებს და იქ არსებულ მმართველობის ფორმებს.

ამაზეა ნათქვამი: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. ჩემბერლენის ეხლანდელი ნოტა, სხვას რო თავი დავანებოთ, აშკარა და უხეში ჩარევაა საბჭოთა კავშირის შინაური საქმეებში.

რა შედეგი შეიძლება ნოტას მოჰყვეს? ცხადია, რომ ჩემბერლენმა ასეთი სასკანდალო ნოტის გამოგზავნით უკვე განიცადა დიდი დიპლომატიური მარცხი. ინგლისში ოდნავადაც ვერ მოახერხა თავის ნაბიჯის გარშემო მთლიანი „ნაციონალური" ფრონტის შექმნა. თვით კონსერვატორების და დანარჩენ ბურჟუაზიის საქმიანი წრეები წინააღმდეგი არიან ჩვენთან დამოკიდებულების გართულების. ბრიტანეთის მუშათა კლასი აქტიურად გამოდის საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის განმტკიცების სასარგებლოდ და ამას იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მუშათა პარტიის მემარჯვენე ჯგუფებმაც. გარდა მცირერიცხოვან ფაშისტურ ხროვისა, ყველანი აღიარებენ, რომ ნოტა და ჩვენთან დამოკიდებულების შეწყვეტა, თუ ამაზე წავიდა ინგლისის მთავრობა, გაცილებით უფრო მეტ ზიანს მოუტანს ინგლისის როგორც საერთაშორისო პოზიციებს, ისე მის ეკონომიურ მდგომარეობას, ვინემ საბჭოთა კავშირს.

ასეა თუ ისე, ხსენებული ნოტა ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს იმ საშიშროების შესახებ, რომელსაც გვიმზადებენ ინგლისელი იმპერიალისტები. ის საყოველთაო აღშფოთება, რომელიც ჩემბერლენის ამ თავხედობამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის მშრომელებში, მოწმობს, რომ ჩვენ, მტკიცედ ვატარებთ რა მშვიდობიანობის პოლიტიკას, ამავე დროს შეგვწევს საკმაო ძალა ყოველგვარი იერიშების მოსაგერიებლად. საბჭოთა კავშირის მშრომელები ამისათვის მზად არიან.

---

*) წერილი დაწერილია საპასუხო ნოტის მოსვლამდე.

საბჭოთა კავშირის პასუხი ინგლისის ნოტაზე

ინგლის-საბჭ. კავშ. ურთიერთობა არანორმალურია. პროპაგანდის საკითხი 1923 წლის ხელშეკრულებაში; ერთად-ერთი კონკრეტული „ფაქტი" პროპაგანდის შესახებ. საბჭოთა მოღვაწეების აზრი და პრესის შეზღუდვა შეუძლებელია 1921 წლის და 1923 წლის ხელშეკრულებათა ძალით. რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი დაუშვებელ ანტი-საბჭოთა კამპანიის ინგლისის მხრივ „იზვესტია" ბეჭდავს როგორც საბჭოთა მოქალაქეების წერილებს, ისე ინგლისის მინისტრების სიტყვებსაც. თუ ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკა სხვა ქვეყნებში სინამდვილეს არ შეეფერება, მით უფრო მიუღებელია ყველგან და ყველაფერში „მოსკოვის ხელის" გავლენაზე წერა და ლაპარაკი. ინგლის-საბჭოთა კავშირის უთანხმოების მიზეზები. ინგლისის მუქარა ვერავის შეაშინებს. საბჭოთა კავშირი განაგრძობს მშვიდობიანობის პოლიტიკის მტკიცეთ გატარებას.

მოსკოვი, 26 თებერვალი. დიდბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში ბ. პიტერს.

სერ!

სოც. საბჭ. რესპ. კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დიდბრიტანეთში ტელეგრაფით გადმომცა გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს სეკრეტარის სერ ოსტან ჩემბერლენის მიერ ხელმოწერილი ნოტა, რომელიც 23 თებერვალს ჩააბარეს მას და რომელიც იმავე დღეს იქნა გამოქვეყნებული.

1. ნოტა იწყება იმ სავსებით უდავო ფაქტის აღნიშვნით, რომ არა დამაკმაყოფილებელი ურთიერთობა არსებობს საბჭოთა კავშირსა და დიდბრიტანეთს შორის. სერ ოსტინ ჩემბერლენი ამ არა დამაკმაყოფილებელ ურთიერთობის ახსნას ნოტაში სცდილობს,—როგორც ამას იგი წინადაც ხშირად სჩადიოდა თავის საჯარო გამოსვლებში პარლამენტსა და მის გარედ,—იმით, რომ ვითომც საბჭოთა მთავრობა არღვევს დიდბრიტანეთის წინაშე მიღებულ ვალდებულებებს პროპაგანდის დარგში. ნოტაში სიტყვასიტყვით არის მოყვანილი საბჭოთა მთავრობის მიერ 1923 წ. 4 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმება, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა მთავრობა პირობას სდებს, რომ ხელი არ შეუწყოს ფულით, ან რაიმე სხვა სახით იმ პირებს, ორგანიზაციებს, აგენტებს ან დაწესებულებებს, რომელნიც მიზნად ისახავენ უკმაყოფილების დათესვას ან მღელვარების გამოწვევას ბრიტანეთის იმპერიის რომელიმე ნაწილში და კისრულობს თავის მოხელეებს და თანამდებობის პირებს შთააგონოს ამ პირობათა სრული და განუწყვეტლივი დაცვა".

2) აღნიშნული შეთანხმების დადების დღიდან 3 ნახევარი წლის განმავლობაში ბრიტანეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას უშუალოდ და საჯარო გამოსვლების გზით არა ერთხელ მიმართა საყვედურით, რომ თითქოს აღნიშნული შეთანხმება დაერღვიოს საბჭოთა მთავრობას. საბჭოთა მთავრობა ამ საყვედურებს სცემდა სათანადო პასუხს და ყოველთვის მოითხოვდა მათ დასაბუთებას რაიმე კონკრეტიული შემთხვევებზე მითითებით.

იმ ვალდებულებათა დარღვევის სახით, რომლებიც დიდიბრიტანეთის მთავრობის სახელით იმავე 1923 წელში იკისრა მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდ კერზონმა, რომ „დაუყოვნებლივ აცნობოს საბჭოთა მთავრობას ვალდებულებათა დარღვევის შესაძლებელი შემთხვევები და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ბრალდებათა დაგროვება", დიდიბრიტანეთის მთავრობა მაინც დღემდე არჩევდა საერთო და ხელაღებითი შენიშვნების მიცემას საბჭოთა მთავრობისათვის და ამ შენიშვნებს დაწვრილებით არასოდეს არ აღნიშნავდა, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც, საერთო არჩევნების დროს დიდ ბრიტანეთში, 1924 წ., სცადა თავისი ბრალდებები დაესაბუთებია ცნობილ და უკვე ისტორიული მნიშვნელობის მქონე, ეგრედწოდებული „ზინოვიევის წერილით"; მაშინ ზინოვიევი იყო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. მაგრამ საბჭოთა მთავრობა, რომელმაც თავიდანვე განაცხადა, რო ის ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობენ და კონტროლს უწევენ სხვა და სხვა ქვეყნების კომუნისტურ პარტიათა დელეგატები, მაინც დათანხმდა წერილის ყოველგვარ ექსპერტიზაზე და სამედიატორო ინსტანციის ყოველგვარი დადგენილებისათვის დემორჩილებაზე. ეს ნაბიჯი საბჭოთა მთავრობამ გადადგა იმ განსაკუთრებული პოლიტიკური როლის გამო, რომელიც შეეძლო ეთამაშა წერილს. საბჭოთა მთავრობის წინადადების უარყოფა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ სხვანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო გაგებული, თუ არა ბრალდების უკან წაღებად, და იმდღიდან წერილის სიყალბეში უკვე აღარავის, მათ რიცხვში მუშათა პარტიის წრეებსაც აღარ ეპარებოდათ ეჭვი. აღნიშნული ბრალდების წაყენების მომენტში ინგლისის ხელისუფლების სათავეში მუშათა პარტია იდგა. ამასთან არც ერთი პირი, რომელთაც შეცდომაში შეიყვანეს დიდბრიტანეთის მთავრობა, არ იქნა დასჯილი, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ყალბმა წერილმა ერთ დროს დიდი საფრთხილე შეუქმნა მშვიდობიანობას, მეტად გაამწვავა ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის და დააჩინა დაღი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის მთელს შემდეგ განვითარებას.

3) სერ ოსტინ ჩემბერლენს, მოჰყავს რა 1923 წლის 4 ივნისის შეთანხმების ციტატა, მთელი ნოტის სივრცეზე არ იხსენიებს არც ერთ ისეთ შემთხვევას, რომ საბჭოთა მთავრობას დაერღვიოს ეს შეთანხმება, ე. ი. არც ერთ შემთხვევას „უკმაყოფილობის დათესვისა ან მღელვარების გამოწვევისა ბრიტანეთის იმპერიის რომელიმე ნაწილში".

ბრიტანეთის მთავრობის ნოტა ჩამოსთვლის საბჭოთა მოღვაწეების მთელ რიგ საჯარო გამოსვლებს საბჭოთა კავშირის შიგნით და საბჭოთა პრესის საგაზეთო წერილებს. ამიტომ მე უნდა მოგაგონოთ, რომ საბჭოთა კავშირსა და დიდბრიტანეთს შორის არ არსებობს არავითარი ისეთი შეთანხმება, რომელიც ზღუდავს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას ორთავე ქვეყნის საზღვრების შიგნით. როგორც ბრიტანეთის მთავრობა არ კისრულობდა თავიანთ მოქალაქეთა მაგიერ ვალდებულებას, რომ შეექო ან გაეკრიტიკებია საბჭოთა სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკური წყობილება, ისე საბჭოთა მთავრობას არ უკისრია მოეთხოვა თავის მოქალაქეთაგან, რომ მათ შეექოთ ან გაეკრიტიკებიათ დიდბრიტანეთის და საზოგადოდ კაპიტალისტური ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური წყობილება. 1921 წლის სავაჭრო შეთანხმებაში, რომლის დარღვევაში საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ სდებდენ ბრალს ლიტონ სიტყვებით, მუხლი პროპაგანდის შესახებ ავალებს ორთავე მხარეს მხოლოდ „თავი შეიკავონ მეორე ქვეყნის საწინააღმდეგო მტრულ მოქმედებათა ან ღონისძიებათაგან, აგრეთვე თავი შეიკავონ მის საკუთარ ფარგლების გარეშე რაიმე ოფიციალური პირდაპირი და არაპირდაპირი პროპაგანდის წარმოებისაგან ბრიტანეთის იმპერიის ან რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებათა წინააღმდეგ". 1923 წლის შეთანხმების ან 1921 წლის ხელშეკრულების გავრცელება საბჭოთა კავშირის ფარგლებში მომხდარ წერილობითი ან ზეპირი გამოსვლებზე, ამ შეთანხმებათა ფარგლების თვითნებურ გაფართოებას წარმოადგენს.

4) მე შემეძლო მომეყვანა მრავალი მაგალითი იმისა, რომ დიდბრიტანეთის მთავრობის წევრები ფართოდ და სამწუხაროდ, ზომაზე მეტად ბოროტად იყენებდენ პროპაგანდის უფლებას დიდბრიტანეთის ფარგლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს მოვიყვან.

ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ლორდ ბირკენხედი ვოტფორდში 20 ივნისს წარმოთქმულ სიტყვაში შეეხო მოსკოვს და საბჭოთა მთავრობას და განაცხადა, რომ (გამოტოვებულია) „მკვლელთა და ყაჩაღების ბანდა" („მორნინგ პოსტი" 1925 წ. 22 ივნისის თარიღით).

კონსერვატორების კრებაზე ტანბრიჯ - უელსში ხაზინის კანცლერმა მისტერ ვინსტონ ჩერჩილმა, გაილაშქრა რა ბრიტანეთის სოციალისტების წინააღმდეგ, განაცხადა, რომ „ამ ბოროტ გამოსვლათა ზურგს უკან იმალება მოსკოვის შავი ძალა. ჩვენ იქ გვყავს ის, რაიც არასოდეს არ გვყოლია—საერთაშორისო შეთქმულთა ბანდა, რომელიც ევროპისა და ამერიკის დიდი ქალაქების ნაძირალებისგან შესდგება და რომლებმაც დესპოტიურად იგდეს ხელთ ოდესღაც შესანიშნავ და ძლიერ რუსეთის იმპერიის მთელი უდიდესი რესურსები" („მორნინგ პოსტი" 1925 წლის 30 ნოემბრის თარიღით).

მეორე ადგილზე, სახელდობრ, ბოლტონში, ჩერჩილმა საბჭოთა მთავრობას უწოდა „მოსკოვის კრემლის შეფიცული ყაჩაღები" („დეილი ტელეგრაფ"-ი, 1926 წ., 22 ივნისი).

ასეთ გამოლაშქრებას აქვს ადგილი ახალშენთა საქმეების სტატსსეკრეტარ სერ სამოელ ხორნის, სამხედრო საქმეთა სტატსსეკრეტარ სერ ლემინგ ვორტინგტონ ევანსის და სხვათა გამოსვლებში, რომ არაფერი ვსთქვათ კონსერვატორული პარტიის თანამოაზრეებზე, როგორიც არის, კუკი, რომელმაც კონსერვატორულ პარტიის კონფერენციაზე სკარბოროში 1926 წ. 7 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობას უწოდა „საერთაშორისო სისხლისმსმელთა ჯგუფი" („მორნინგ პოსტ"-ი, 1926 წ. 8 ოქტომბერი), როგორიც არის, მაგალითად, კომანდორი ლოკკერ ლემპსონი, სერ ვილიამ დევისონი და სხვ. უფრო მკაცრად საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ ილაშქრებს მმართველი კონსერვატიული პარტიის პრესა, რომელიც მუდმამ დღე ლანძღავს საბჭოთა დაწესებულებებს, საბჭოთა მთავრობას და მის წარმომადგენლებს ლონდონში და რომელიც ავრცელებს დაუჯერებელ ფანტასტიურ ჭორებს სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მდგომარეობის შესახებ.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დიდბრიტანიის წარმომადგენელთ მოსკოვში, რომელნიც სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ერთად ერთგვარი პრივილეგიებით სარგებლობენ, საბჭოთა პრესის მხრით არასოდეს არ შეხვედრიათ ისეთი შეურაცხყოფა, და ლანძღვა-გინება, როგორსაც ხვდებოდენ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელნი ლონდონში ინგლისური კონსერვატიული პრესის მხრით.

5) ზემოჩამოთვლილ მკაცრ გამოლაშქრების მსგავსს რასმე ინგლისის მისამართით ან ცრუ გამოგონებას მის შესახ. ვერ იპოვით ვერც ერთ საბჭოთა პრესაში საერთოდ და ვერც იმ წერილებსა და სიტყვებში, რომელზედაც მითითებულია დიდბრიტანეთის მთავრობის ნოტაში. მართლაც, არ შეიძლება ანტიბრიტანულ კამპანიად ჩაითვალოს დიდბრიტანეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის და მისი საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების ანალიზი და შეფასება, ანდა პარტიულ მოღვაწეთა პრინციპიალური მტკიცება მსოფლიო რევოლიუციის აუცილებლობის და აღმოსავლეთის ეროვნულ - გამანთავისუფლებელ მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ, მით უფრო არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთად ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ გამოთქმული აზრი ფიზკულტურის მნიშვნელობის შესახებ რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის თვალსაზრისით, და არც კამენევის დანიშვნა ელჩად იტალიაში. კამენევს წარმოუთქვამს წარსულში პარტიის ფარგლებში ესა თუ ის მოსაზრებანი თავის პარტიის ამოცანების შესახებ.

რაც შეეხება გაზეთ „იზვესტიას", რომელიც ითვლება ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოდ იმ მხრივ, რომ მასში აუცილებლივ იბეჭდება მთავრობის ყველა დეკრეტები და განკარგულებები, ის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გაზეთთაგანს, რომელიც ემსახურება ასი ათასობით მკითხველს და ვალდებულია მააწოდოს მათ მათთვის საინტერესო ცნობები, მათ რიცხვში მოწოდებები და რეზოლიუციები როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ დაწესებულებათა. გამომცემი დაწესებულება ასევე ნაკლებ პასუხისმგებელია ასეთი მოწოდებების და რეზოლიუციების შინაარსზე ისევე, როგორც განცხადებებზე ანტისაბჭოთა ხასიათის გამოსვლების შესახებ, მათ რიცხვში ინგლისის მინისტრების ზემოაღნიშნული სიტყვების შესახებ. საჭიროა კიდევ განმეორება, რომ რაიმე მასალების გამოქვეყნება და რაიმე სიტყვიერი გამოსვლა საბჭოთა კავშირის ფარგლებში არ წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის რაიმე ვალდებულებათა დარღვევას.

6. დიდიბრიტანეთის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას, როგორც სჩანს, იწვევს საბჭოთა მოღვაწეობის მიერ გამოთქმული აზრი ბრიტანელი პოლიტიკის ანტისაბჭოთა მიმართულების შესახებ მესამე ქვეყანაში. მაგრამ არა ნაკლები უფლებით და საბუთით შეგვეძლო დაგვეხასიათებია, როგორც აკვიატებული იდეა. დიდიბრიტანეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა და მთავრობის წევრთა მუდმივი მითითებები ვითომდა ეგრედწოდებულ „საბჭოთა აგენტების" ყოვლად არსობაზე და ყოვლად შემძლეობაზე, იმ „საბჭოთა აგენტების", რომელთაც სთვლიან ბრიტანეთის იმპერიის ყველა გართულებათა მიზეზად დედა მიწის ზურგის თითქმის ყველა კუთხეებში.

7. საბჭოთა მთავრობა უდიდეს მწუხარებას გამოსთქვამს დიდბრიტანეთის მთავრობის ნოტაში აღნიშნულ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე. მთავრობა მაინც ფიქრობს, რომ ამ სამწუხარო მოვლენის ახსნა ურთიერთისადმი ბრალდებების წაყენებით და ორივე ქვეყნის პრესის არამეგობრული კილოთი იქნებოდა მიზეზი შედეგით შეცვლა და შედეგის შეცვლა მიზეზით.

საბჭოთა მთავრობა უზრდელობათ და შეუფერებლად ჩასთვლიდა აგრეთვე ასეთი მოვლენების ახსნის ძიებას დიდი ბრიტანეთის ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეთა ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებში. იგი მზადაა იფიქროს, რომ ამ დამოკიდებულებათა არანორმალობა გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ ორივე ქვეყნების წარმომადგენლობები არ შეეფერებიან დიდ ბრიტანეთისა და საბჭ. კავშირის დამოკიდებულებათა განვითარების ინტერესებს. საქმე იმშია, რომ თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირისადმი დიდი ბრიტანეთის მთავრობა შეგნებულად სტოვებს საერთოდ შემოღებულ საერთაშორისო ნორმებს, ჩვეულებებს და სრულიად ელემენტარულ წესიერებასაც. იგი პერიოდულად აყენებს საბჭოთა მთავრობის მიმართ ზოგად დაუსაბუთებელ ბრალდებებს, ისე რომ არც კი იხილავენ მას. იგი უარს აცხადებს საურთიერთშორისო პრეტენზიებისა და საჩივრების მოგვარებაზე, როგორც დიპლომატიური, აგრეთვე სპეციალური კონფერენციების, კომისიების და დელეგაციების საშუალებით; იგი უარს ამბობს კონფლიქტების მოგვარების ჩვეულერივ დიპლომატიურ საშუალებებზე და ნებას აძლევს თავის-თავს ელაპარაკოს საბჭოთა მთავრობას მუქარისა და ულტიმატუმების ტონით; დასასრულ, იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და დაჟინებით სცდილობს თავის ნოტებში კავშირის ფორმალური მთავრობის მაგიერ—ასეთად ჩასთვალოს პარტიული ან საერთაშორისო ხასიათის დაწესებულებანი. დამოკიდებულებათა ეს არანორმალობა გამოისახა იმაში, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ თავის ნოტაში ნება მისცა თავის-თავს გამოეჩინა უპრეცედენტო და გაუგონარი ტონი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის—ჩიჩერინის მიმართ.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დაწესებული რეჟიმი საბჭოთა კავშირის მიმართ, აქეზებს და ჰკვებავს იმ მტრულ კამპანიას, რომელიც თავის გამოსახულებას ჰპოულობს საბჭოთა სახელმწიფოსათვის შეურაცხმყოფელ გამოსვლებში ინგლისის პარლამენტში, როგორც პარლამენტის წევრთა, ისე თვით მთავრობის წევრთა და ინგლისის პრესის მხრივ.

ეს კამპანია შეფასებას პოულობს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზროვნებაში და საბჭოთა მოღვაწეების სიტყვებსა და წერილებში, რომელთა ჩამოთვლაც შეადგენს ბრიტანეთის ნოტის მთავარ შინაარს. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ბრიტანეთის მთავრობის მუდმივი ცდა დაამციროს ან სავსებით მოსპოს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ფაქტის მნიშვნელობა, და აგრეთვე ამას წინედ გამოქვეყნებული სავსებით სწორი ცნობები იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის კაბინეტის ცალკე წევრები კვლავ განაგრძობენ ურთიერთობას და მოლაპარაკებებს კონტრ-რევოლიუციის წარმომადგენლებთან და მეფის ყოფილ დიპლომატებთან, რომელნიც ინტერვენციი' განმეორების სასარგებლოდ მუშაობენ, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზრს არ აძლევს საშუალებას დაივიწყოს ის როლი, რომელსაც დიდი ბრიტანეთი თამაშობდა პირველ ინტერვენციაში.

ამხ. ლიტვინოვი

8) თავისი ნოტის ბოლოში სერ ოსტინ ჩემბერლენმა დროულად და შესაფერისად სცნო წამოეყენებია სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის სრული შეწყვეტის მუქარა იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა კავშირი არ შეასრულებს იმ ახალ მოთხოვნილებებს, რომელნიც არ გამომდინარეობენ ინგლის-საბჭოთა არსებულ შეთანხმებათა ან ურთიერთ ფორმალურ ვალდებულებათაგან.

აცხადებს რა, რომ მუქარა საბჭოთა კავშირისადმი ვერავის ვერ შეაშინებს საბჭოთა კავშირში, საბჭოთა მთავრობა ნებას აძლევს თავის თავს გამოსთქვას რწმენა, რომ 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების დადება, ისე როგორც დიპლომატიური ურთიერთობის შემდეგი აღდგენა, ეთანხმებოდენ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ბრიტანეთის იმპერიის ხალხთა ინტერესებს და მოთხოვნილებებს. თუ დიდი ბრიტანეთის დღევანდელი მთავრობა ფიქრობს, რომ ინგლის-საბჭოთა სავაჭრო და სხვა ყოველგვარი დამოკიდებულების შეწყვეტა გამოწვეულია ინგლისის ხალხის მოთხოვნილებებით და თითქოს ეს მიმართული იქნება ბრიტანეთის იმპერიის და საყოველთაო მშვიდობიანობის საქმის საკეთილდღეოდ, მაშინ, რასაკვირველია, ის მოიქცევა სათანადოთ და იკისრებს თავის თავზე სრულ პასუხისმგებლობას აქედან გამომდინარე შედეგებზე.

9. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ადასტურებს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობის ნოტაში მოყვანილი განსვენებულ კრასინის განცხადებები ორ ქვეყნის შორის არსებულ ყველა სიძნელეების და ურთიერთ საჩივართა მიზეზების აღმოფხვრისა და სავსებით ნორმალური ურთიერთობის დამყარების სურვილს—ნამდვილად ეთანხმებიან საბჭოთა მთავრობის ურყევ და გულწრფელ სურვილებს. ასრულებს რა საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების ლტოლვას მშვიდობიანობისადმი, დიდიბრიტანეთის ფართე ხალხური მასების იგივე ლტოლვასთან შეფარდებით, საბჭოთა მთავრობა შემდეგშიაც გაჰყვება თავის მშვიდობიანობის მოყვარე პოლიტიკას, რომელიც გმობს ყოველგვარ აგრესიულობას სხვა ქვეყნების მიმართ. ის გულწრფელად მიესალმება დიდბრიტანეთის მთავრობას, თუ უკანასკნელი შეუდგება საბჭოთა მთავრობას ამ მშვიდობიანობის გზაზე.

გთხოვთ, სერ, ზემოაღნიშნული აცნობოთ დიდიბრიტანეთის მთავრობას და მიიღოთ ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემა.

ლიტვინოვი.

მოსკოვი, 26 თებერვალი, 1927 წელი.

მიღებულია დილის 5 საათზე.

პილსუდსკის რესპუბლიკაში

გერმანია და პოლონეთი

ვარშავა, 25 თებერვალი. სეიმის სამხედრო კომისიის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა დემონსტრატიულად მოითხოვეს, რომ პრემიერმა გააკეთოს მოხსენება, თუ რაა გაკეთებული იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიოს გერმანიის გეგმებს პოლონეთზე თავდასხმის შესახებ.

სოციალ - დემოკრატების პარტიის დეპუტატებმა ზალესკიმ, რომელიც გამოვიდა სიტყვით, განაცხადა, რომ გერმანია არ ფარავს თავის აგრესიულ ზრახვებს პოლონეთის მიმართ.

დომბროვსკიმ განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა შეიტანოს კანონპროექტი ხალხის მომზადების შესახებ ომის შემთხვევისათვის. (ადს)

ვოევუდსკის საქმე

ვარშავა, 26 თებერვალი. ამ დღეებში მოსალოდნელია სეიმის სასამართლოს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ გლეხური პარტიის დეპუტატია ვოევუდსკის საქმეზე. ვოევუდსკიმ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მოითხოვს სასამართლოს სხდომის სტენოგრამის გამოქვეყნებას. (ადს)

გლეხების მასიური დემონსტრაციები

ვარშავა, 26 თებერვალი. „რეჩ პოსპოლიტი" იუწყება, რომ უკანასკნელ კვირეში პოლონეთის აღმოსავლეთის ოლქებში ხდება გლეხების მასიური დემონსტრაციები, მოწყობილი ბელორუსის გრომადის მიერ. **უკანასკნელ დღეებში ასეთ დემონსტრაციებს ადგილი ჰქონდათ დაბა სკიდელში, სადაც დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2000 კაცმა. ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა ოშმიანში, ვილეიკაში, მოლოდეჩნოში და ლებედევში.** (ადს)

საარჩევნო კანონის რეფორმის გარშემო

ვარშავა, 26 თებერვალი. პოლონეთის სეიმის საკონსტიტუციო კამათი კანონპროექტის გარშემო სეიმის არჩევნების კანონების შეცვლის შესახებ. მემარცხენე პარტიების წინადადება ამ საკითხის გარშემო კამათის შეწყვეტის შესახებ, უარყოფილ იქნა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობის მიერ. კომისიამ დაადგინა მოითხოვოს, რათა მთავრობამ განსაზღვროს თავის დამოკიდებულება კანონპროექტისადმი. (ადს)

კანტონელები უახლოვდებიან შანხაის

შანხაი გავსებულია ჯარით

ლონდონი, 25 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, შანხაიში ზედი-ზედ მიდის ეშელონები, რომლებიც გავსებულია ჩჟა-ცზუ-ჩანის ჯარებით. დღეს ღამით მოელიან სამხედრო მოწყობილობით დატვირთულ სპეციალურ მატარებლების მოსვლას. ამ მატარებელს მიუბამენ ვაგონებს, რომელშიაც იმყოფება სუნ-ჩუან-ფანი და მისი შტაბი. (ადს)

დიპლომატიური კორპუსი შანხაის უშიშროების შესახებ

პეკინი, 25 თებერვალი. გაზეთი „ჩინ-ბაო იუწყება, რომ ინგლისის პეკინელი ელჩის ლემპსონის მოწოდებით ინგლისის მისიაში გაიმართა დიპლომატიური კორპუსის თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა შანხაის უშიშროების საკითხი. ზოგიერთი ელჩები მოითხოვდენ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას და დახმარების გამოთხოვას საკუთარ მთავრობისაგან. თათბირმა მიიღო ოთხი რეზოლიუცია: 1) სასტიკი ნეიტრალიტეტის დაცვა ჩრდილოეთისა და სამხრეთს შორის ბრძოლის დროს; 2) გაფრთხილებულ იქნან ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბელადები და მათი ყურადღება მიექცეს 1901 წლ. ოქმს (რომელიც ხელმოწერილია ბოქსერთა აჯანყების შემდეგ); 3) გამოთხოვილ იქნას დახმარება საკუთარ მთავრობისაგან და 4) შესდგეს განსაკუთრებული კორპუსი უცხოელთათვის დახმარების გასაწევად იმ შემთხვევაში, თუ შანხაიში გართულდება მდგომარეობა. (ადს)

ამერიკელების ნაღმოსნები შანხაიში

ლონდონი, 25 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ შანხაიში ჩავიდა სამი ამერიკული ნაღმოსანი

ახალი ჯარების გაგზავნა შანხაიში

ლონდონი, 25 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ შეერთებულმა შტატებმა გაგზავნეს შანხაიში სამხედრო სატრანსპორტო გემი, რომელზედაც იყო 1200 საზღვაო ქვეითი ჯარის კაცი. გემი უკვე ჩავიდა შანხაიში. (ადს)

ნაციონალური ჯარები შანხაის უახლოვდებიან

ნიუ - იორკი, 25 თებერვალი. **„იუნაიტედ პრეს"-ის ცნობით, ნაციონალურმა ჯარებმა გაიარეს კაბინი, რომელიც მდებარეობს 40 ვერსის მანძილზე შანხაის სამხრეთ - დასავლეთით. ჯარები სწრაფად უახლოვდებიან შანხაის.**

ინგლისის ჯარებმა შანხაიში გადასხეს არტილერია. (ადს)

ჩინეთის მშრომელთა პროტესტი

ხანკოუ, 25 თებერვალი. ნაციონალური დეპეშათა სააგენტო იუწყება: „24 თებერვალს ხანკოუში შესდგა მასიური საპროტესტო დემონსტრაციები შანხაიში ინგლისის ჯარების კონცენტრაციის წინააღმდეგ. **მუშაობა შეწყდა მთელს ქალაქში. პროცესიებში და მიტინგებზე მონაწილეობა მიიღეს ყველა მუშებმა და მოსამსახურეებმა".**

ჩინელი მუშები დახმარებას თხოულობენ

მოსკოვი, 26 თებერვ. პროფინტერნმა მიიღო დეპეშა სრ. ჩინეთის შრომის ფედერაციისაგან, რომელშიაც ნათქვამია: „შანხაის მუშები გაფიცული არიან იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ ხელი შეუშალონ რევოლიუციონური არმიის მიერ შანხაის აღებას. გაფიცულებს მხეცურათ უსწორდებიან. გააკეთეთ ყველაფერი, რომ შეაფერხოთ იმპერიალისტური ინტერვენცია". (ადს).

უ-პეი-ფუს ბანაკი იშლება

პეკინი, პრესის ცნობით, უ-პეი-ფუს ბანაკში სრული რღვევაა. ხენანის პროვინციის გენერლების უმრავლესობა შეუთანხმდა ეროვნულ ჯარს. გენერალი ჩინ-იუ-ნაუ აწყობს ხენანის უშიშროების არმიას. რომლის მიზანიც იქნება მუკდენის ჯარების მოგერიება ჩრდილოეთიდან. (ადს).

მორიგი გამცემლობა

ლონდონი, 26 თებერვ. ლონდონის პროფსაბჭომ თხოვნით მიმართა გენერალურ საბჭოს მიიღოს პროფსაბჭოს დელეგაცია და მასთან ერთად განიხილოს სრულიად ინგლისის კონფერენციის მოწვევის საკითხი ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის განსახილველად და აგრეთვე საკითხი მთელს სახელმწიფოში დემონსტრაციების მოწყობის შესახებ. გენერალურმა საბჭომ არ მიიღო დელეგაცია იმ მოსაზრებებით, რომ საკითხი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში განხილული იყო ეროვნულ გენერალურ საბჭოს გაერთიანებულ კომიტეტში და მუშათა პარტიის აღმასკომში. (ადს).

შანდუნის ჯარები

ლონდონი, 25 თებერვ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, შანხაიში ნანკინიდან ჩავიდა შანდუნის ჯარების რაზმი, რომელიც 3.000 კაცისაგან შესდგება.

სააგენტოს ცნობით, შანდუნის ჯარები შანხაიში დანარჩენი ჩავლენ ეშელონებით 5.000 კაცი დღეში. ჯარები დაბანაკებულ იქნება საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე.

ჩჟან-ცზუნ-ჩჟანმა ჩაიბარა ცზია-სუს პროვინციის სამხედრო სარდლობა.

უცხოელები, რომლებიც გაიარტოებულ პუნქტებში სცხოვრობენ, გადადიან საერთაშორისო უბანში მღელვარების მოლოდინში.

ანტი-ინგლისური ბოიკოტი

პეკინი, 25 თებერვ. „ნიპონ-დემპოს" სააგენტოს ცნობით პროფკავშირთა საბჭომ უჩანში (ხუ-ბეის პროვინცია) შეუდგა ანტი-ინგლისურ ბოიკოტის გატარებას. ვაჭრებმა შესწყვიტეს ინგლისის გემებისათვის სურსათ-სანოვაგის და სათბობი მასალის მიწოდება. ხელზე მოსამსახურეები ბოიკოტს უცხადებენ ინგლისელებს (ადს).

პეკინის დიპლომატიურ კორპუსის დეკლარაცია

ლონდონი, 25 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „პეკინის დიპლომატიურმა კორპუსმა მიიღო შემდეგი დეკლარაცია: „ვინაიდან შანხაის რაიონებში სწარმოებს საომარი მოქმედება, რომელმაც შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს უცხოელთა ქონებრივ და პირად მდგომარეობაზე, დიპლომატიური კორპუსი ფიქრობს, რომ მეგობრული მხარეები მიიღებენ ზომებს ისეთ ინცინდენტების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც აიძულებენ უცხოელთ მიიღონ საჭირო ზომები". (ადს).

ჩჟან-ცზუ-ჩანის ჯარები შანხაიში

პეკინი, 25 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ჩჟან-ცზუ-ჩანის ჯარების ერთი ნაწილი, 3.000 კაცის შემადგენლობით შევიდენ შანხაიში. (ადს).

ინგლისის ფლოტი ჩინეთის წყლებში

ლონდონი, 25 თებერვალი. ოფიციალური ცნობების მიხედვით ჩინეთში ამჟამად იმყოფება ინგლისის 12 კრეისერი, 9 ნაღმოსანი და 12 წყალქვეშა ნავი, არის აგრეთვე კანონერკები და სხვა წვრილი სამხედრო გემები. (ადს).

დევნა გრძელდება

ლონდონი, 25 თებერვალი. შანხაიდან იუწყებიან, რომ მიუხედავათ ლი-ბაო-ჩენის განცხადებისა გრძელდება დაპატიმრებები, როგორც ქალაქის ჩინურ ნაწილში, ისე უცხოელთა უბანშიც. დაპატიმრებულია 17 კაცი შანხაის პროფკავშირთა საბჭოს აღმასკომის წევრები.

შანხაის პროფკავშირთა საბჭოს განცხადება

პეკინი, 26 თებერვ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, შანხაის პროფკავშირთა საბჭომ განაცხადა, რომ ღებულობს ზომებს გაფიცვის შესაწყვეტათ.

სააგენტო აღნიშნავს, რომ საფეიქრო ფაბრიკების მუშებმა და აგრეთვე ტრამვაიმ და ფოსტამ თითქმის მთლიანად განაახლეს მუშაობა. დააპატიმრეს 14 ფეიქარი მუშა, რომლებიც მოუწოდებდენ გაფიცვისაკენ.

პოლიცია და ჯარისკაცები თავს დაესხენ უნივერსიტეტს და დააპატიმრეს 60-ზე მეტი სტუდენტი. გარდა ამისა, დაპატიმრებულია 20 მეზღვაური სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ აჯანყებულ კრეისერებიდან (ადს).

პეკინის ფინანსთა მინისტრის გადადგომა

პეკინი, 26 თებერვ. გადადგა პეკინის ფინანსთა მინისტრი (ადს).

უცხოელთა ინტერესები

პეკინი, 26 თებერვ. ჩუნ-მეის სააგენტოს ცნობით, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა პეკინში პეკინის გარეშე საქმეთა სამინისტროს განუცხადეს პროტესტი შანხაის გაფიცვის წინააღმდეგ, ვინაიდან ის ქმნის საფრთხეს უცხოელთა ინტერესებისათვის. წარმომადგენლებმა სთხოვეს პეკინის მთავრობას მიიღოს სათანადო ზომები უცხოელების ინტერესების დასაცავად (ადს).

„ჩაინა კურიერ"-ის რედაქტორი.

პეკინი, 26 თებერვ. შანხაის სამხედრო კომენდანტმა შანხაის სავაჭრო პალატას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც უარყოფს ხმებს ნაციონალისტური გაზეთის „ჩაინა კურიერ"-ის რედაქტორის ცნობილ ჟურნალისტის სეი-ფუ-შანის სიკვდილით დასჯის შესახებ და აცხადებს, რომ სეი-ფუ-შანი იმყოფება ციხეში.

სეი-ფუ-შანი ჩინეთის პოლიციამ დააპატიმრა 4 თებერვალს საერთაშორისო უბანში და გაგზავნა შანხაის კომენდანტის სამმართველოში

ლემპსონი ბანკეტს უმართავს ჩჟან-ძო-ლინს

პეკინი, 25 თებერვ. ინგლისის ელჩმა მელს ლემპსონმა ჩჟან-ძო-ლინის პატივსაცემად გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო აგრეთვე პეკინის მთავრობის პრემიერი ველინგტონ-კუ (ადს).

ფრანგები შანხაიში

პარიზი, 25 თებერვ. „ჰუმანიტე" იუწყება, რომ ორანიდან შანხაიში გაიგზავნა საფრანგეთის ჯარების ბატალიონი. მეორე ბატალიონი მზადაა გასამგზავრებლად, ხოლო მესამე ადგებენ ინდო-ჩინეთში (ადს).

მდგომარეობა შანხაიში

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. „ასოშიეტედ პრეს"-ის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება:

„პროფესიონალურმა კავშირებმა შესწყვიტეს გაფიცვა, მაგრამ ამავე დროს განაცხადეს, რომ ისინი გაფიცვას განაახლებენ, როგორც კი დადგება სათანადო მომენტი. შანხაის თავდაცვის კომისარმა ლი-ბაო-ჩენმა (სუნ-ჩუან-ფანის მიერ) გასცა ბრძანება სიკვდილით დასჯის შეწყვეტის შესახებ. გაფიცულები უბრუნდებიან სამუშაოს.

23 თებერვალს სუნ-ჩუან-ფანის ხელისუფლების წარმომადგენლები თავს დაესხენ გომინდანის მიტინგს, რომელიც გაიმართა საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე, და დააპატიმრეს გომინდანის 30 მოღვაწე. დაპატიმრებულნი წაიყვანეს ლი-ბაო-ჩენის შტაბში და მათი ბედი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

იუწყებიან, რომ ხელისუფლებამ დააპატიმრა აგრეთვე ბევრი სხვა გომინდანელები, რომლებიც საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ" (ადს).

200 კაცის დასჯა სიკვდილით

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. „ასოშიეტედ პრეს"-ის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება:

„ლი-ბაო-ჩენის მიერ გამოქვეყნებული მოწოდება აღიარებს, რომ შანხაიში 5 დღის განმავლობაში სიკვდილით დასაჯეს 100 კაცი. უცხოეთის თანამდებობის პირ..ი კი სთვლიან, რომ სიკვდილით დასჯილი იქნა სულ 200-მდე კაცი.

ხმების თანახმად, სუნ-ჩუან-ფანის ჯარები იმყოფებიან სუნ-ცზიანში შანხაიდან 35 კილომეტრის დაშორებით და სძარცვავენ და არბევენ ქალაქს. სუნ-ჩუან-ფანის სარდლობამ დისციპლინის აღდგენის მიზნით სიკვდილით დასაჯა მრავალი ჯარისკაცი.

ჩჟან-ცზუნ-ჩჟანის ჯარები გადადიან იან-ცზის ჩრდილოეთზე და მიდიან ნანკინიდან, იკავებენ რა ზაში ჩინ-ცზიანს, ჩან-ჩჟოუს და სხვა ქალაქებს.

სუნ-ჩუან-ფანის ოჯახი გაემგზავრა ტიან-ძინში" (ადს).

უცხოელთა ჯარები შანხაიში

ლონდონი, 26 თებერვალი. შანხაიდან მიღებულ ცნობების მიხედვით უცხოელ ჯარების რიცხვი, რომლებიც იმყოფებიან უცხოელთა უბანში, 10.000 კაცამდე აღწევს. ამ რიცხვში არ შედის საზღვაო-ფლოტის ჯარების რიცხვი, რომელიც შანხაის ნავთსადგურებში მდგომ 25 გემზე იმყოფებიან. (ადს).

ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელი

ტოკიო, 25 თებერვალი. „შიმბუნ-რენგო"-ს სააგენტო იუწყება, რომ ტოკიოში ჩავიდა ჩინეთის ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელი ცზი-ტიან-ჩუ. მან განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა იმისათვის, რათა აუხსნას იაპონიის მთავრობას ეხლანდელი მდგომარეობა და ნაციონალური მთავრობის მომავალი პოლიტიკა.

ნაციონალური ჯარები შანხაისთან

ნიუ იორკი, 25 თებერვალი. შანხაიდან გადმოცემულ ცნობით, ნაციონალური არმიის ჯარებმა დაიკავეს სუნ-ცზიანი, რომელიც 40 კილომეტრით არის დაცილებული შანხაიდან.

ეს ცნობა ჯერ არ არის დადასტურებული.

ინგლისელები ემზადებიან.

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. „ასოშიეტედ პრეს"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კონსულების თხოვნით ინგლისის ჯარებმა საერთაშორისო უბნის გარეთ დაიკავეს 35 კილომეტრის სივრცე ზოლით, რომელშიაც ქალაქის ჩინური ნაწილიც შედის.

ამერიკის ჯარები ჯერ არ გადმოუსხამთ, რადგან ამერიკელ ხელისუფლების აზრით, არსებული მდგომარეობა არ მოითხოვს საზღვაო ქვეითი ჯარის გადმოსხმას ამერიკელების ქონებისა და სიცოცხლის დასაცავად.

3.000 კაცისაგან შემდგარმა ინგლისურმა ჯარმა არტილერიით გაიარა ქალაქი და დაიკავა საომარი პოზიციები.

კანტონის ჯარები უახლოვდებიან შანხაის.

პეკინი, 25 თებერვალი. ჰანჯოუდან კაშინისაკენ მიიმართებიან ნაციონალური ჯარების ეშელონები. ფიქრობენ, რომ სუნ-ჩუან-ფანის ჯარების რიცხვით სუნცზიანში სუნცზიანის დაცვა შეუძლებელია. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის გეგმები.

პეკინი, 25 თებერვალი. სუნ-ჩუან-ფანის ჯარები უწესრიგოთ იხევენ შანხაისაკენ და ძარცვავენ სოფლებს. საეჭვოა, რომ სუნ-ჩუანფანმა მოახერხოს სუნ-ციანის დაცვა, რადგან ნაციონალური ჯარები მოიწევენ წინ. ჩჟანცუნ-ჩანი ჩავიდა ნანკინში და შეუდგა ნანკინის ოლქის უფროსის თანამდებობის აღსრულებას. 30.000 ჯარისკაცი, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება, გადაგზავნილი იქნება შანხაის დასაცავად. (ადს).

ხენანელების შეთანხმება სახალხო არმიასთან.

პეკინი, 25 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ჩინ-იუ-ნაომ მოახერხა შეთანხმების დამყარება ფინ-იუ-სიანთან. ამ შეთანხმების ძალით, ხენანელების მოქმედება მუკდენელების წინააღმდეგ შეფარდებული იქნება სახალხო არმიის მოძრაობასთან (ადს).

უ-პეი-ფუ გარბის.

პეკინი, 25 თებერვალი. „ჟურნალ დე-პეკინ"-ის ცნობით, უ-პეი-ფუმ გადაიტანა თავისი სამხედრო ბანაკი ჩენ-ჩჟოუდან კუნსიენში, რომელიც 75 კილომეტრით არის დაშორებული ჩენ-ჩჟოუდან და იმყოფება ამ ქალაქის ჩრდილოეთ დასავლეთით (ადს).

(დეპეშების გაგრძელება მე-4 გვ.)

ჩემბერლენის ნოტის გამოძახილი

ლონდონის საქმიანი წრეები შეცდომად თვლიან საბჭოთა კავშირისათვის გაგზავნილ ნოტას

„ინგლისელმა კრედიტორებმა იმედები უნდა დაამყარონ მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესებაზე საბჭოთა კავშირიდან"

მუშათა პარტიის ლიდერები ურჩევენ მთავრობას შესწყვიტონ ანტი-საბჭოთა კამპანია

ინგლისის მუშათა მასები კონსერვატორების პროვოკაციის წინააღმდეგ

ინგლისის კაბინეთის რყევები

ლონდონი, 25 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისის კაბინეთი განაგრძობს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განხილვას. გათვალისწინებულია ორი შესაძლებლობა: ინგლისში საბჭოთა წარმომადგენლობის გადაქცევა დიპლომატიური მისიიდან სავაჭრო დელეგაციად, ან იმ სპეციალურ პრივილეგიების შეზღუდვა, რომლებითაც ბევრი საბჭოთა მოსამსახურე სარგებლობს ლონდონში.

კორესპონდენტი დასძენს, რომ კაბინეთის წევრთა უმრავლესობას ვერ გამოურკვევია იმის მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება საბჭოთა დაწესებულებების რუსული პერსონალის შემცირება იმ მიზნით, რომ მთავარი საკანცელარიო თანამდებობანი გადაეცეს ინგლისელ მოქალაქეებს. არავითარ სხვა მთავრობის საელჩოს ნება არ ჰქონიათ ასე მრავალრიცხოვანი მოსამსახურეები ჩამოეყვანათ აქ. (ადს).



ოსტინ ჩემბერლენი
ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი

როგორ მოხდა ნოტის გადაცემა

ლონდონი, 25 თებერვალი. ინგლისის ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი შედგენილია წერილის სახით საქმეთა რწმუნებულის როზენგოლცის სახელზე.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის მიერ მიღებულ ცნობებით, გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი 23 თებერვალს დილით გამოცხადდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობაში ნოტის გადასაცემად, მაგრამ როზენგოლცი არ დახვდა. ამის გამო გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ნოტა მეკარეს დაუტოვა.

ამრიგად, პრესამ ნოტის შინაარსი გაიგო უფრო ადრე, ვინემ საბჭოთა კავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლონდონში. (ადს).

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 25 თებერვალი. თემთა პალატაში კონსერვატიულმა დეპუტატმა **კლარიმ** შინაგან საქმეთა მინისტრს მისცა შეკითხვა: იცის თუ არა მან, რომ ინგლისში ანტი-ბრიტანულ მუშაობას ეწევიან ზოგიერთი კომუნისტი აგიტატორები, რომელთაც ფულს აწვდის მესამე ინტერნაციონალი?

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯოინსონ **ხიკსმა** უპასუხა, რომ ის მუდამ ყურადღებას აქცევს კლარის მიერ აღძრულ საკითხის ამ მხარეს.

ამის შემდეგ **ლენსბერიმ** შეიტანა შეკითხვა: რამდენი ხანი დაჰყვეს ჩიჩერინმა, ლიტვინოვმა და ბოროდინმა ინგლისის ციხეში გაუსამართლებლად? ხიკსმა უპასუხა, რომ ლენსბერის მიერ დასახელებულ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მანამდე, სანამ ის შეუდგებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის შესრულებას, და წინადადება მისცა ლენსბერის შეკითხვა შემოეტანა წერილობითი ფორმით.

შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტრს მისცეს რამდენიმე შეკითხვა საბლინთან ურთიერთობის შესახებ საყოველთაო გაფიცვის დროს.

ხიკსმა განაცხადა, რომ ის ერთხელ შეხვდა საბლინს და, გარდა ამისა, როგორც ის ფიქრობს, საბლინმა ინახულა მისი ერთ-ერთი მდივანი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში.

„ორივე შემთხვევაში — სთქვა ხიკსმა — საბლინთან ლაპარაკს არ ჰქონია იმდენად მნიშვნელოვანი ხასიათი, როგორც შეკითხვებშია მოყვანილი. მე არავითარი სამადლობელი წერილი არ გამიგზავნია საბლინისათვის რუსების მიერ (ლაპარაკია თეთრგვარდიელებზე) მთავრობისათვის სამსახურის გაწევის გამო და არც არაფერი ასეთი სამსახურის შესახებ. საბლინი მე მწერდა, რომ მის თანამოქალაქეთა ნაწილი გამოეხმაურა მთავრობის მოწოდებას მოხალისეთა რაზმებში ჩაწერის შესახებ აუცილებელ საზოგადოებრივ სამუშაოების შესასრულებლად (ლაპარაკია შტრეიკბრეხერებზე). ჩემი სახელით საბლინს გაეგზავნა დასტური მისი წერილის მიღების შესახებ. პირადათ მე არ მინახავს საბლინის წერილი". (ადს).

პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრი

მაკდონალდი აფრთხილებს მთავრობას

ლონდონი, 25 თებერვ. მაკდონალდმა საბჭოთა მთავრობისათვის გაგზავნილ ინგლისის ნოტის შესახებ განაცხადა:

„მე ვფიქრობ, რომ ნოტა უფრო წააგავს მოწინავე წერილს, ვინემ გარეშე საქმეთა სამინისტროს დოკუმენტს. თვით ამ მიმართვის ფაქტი არაფერს ნიშნავს, გარდა კარგისა, ვინაიდან თუ ჩვენ გვაქვს რუსეთისადმი პრეტენზიები, საჭიროა რომ ისინი ჩამოყალიბებული და ოფიციალურად განხილული იქნენ. კითხვა იმაშია — არის თუ არა ეს პირველი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლისაკენ. თუ ეს ასეა, **მე მინდა საჯაროთ გავაფრთხილო მთავრობა და ქვეყანა, რომ ეს მხოლოდ კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს შექმნის და მუშაობის განვითარების** კიდევ უფრო მეტ საშუალებას მისცემს იმათ, ვინც ბოროტად მუშაობს იმ მიზნით, რომ ზიანი მოგვაყენონ ჩვენ მსოფლიოს ყველა ქვეყნებში.

ლონდონი, 25 თებერვ. ინგლისის ნოტის გამო მაკდონალდმა „მანჩესტერ გარდიენ"-ის ლონდონელ კორესპონდენტს განუცხადა შემდეგი:

„თუმცა მე მძაგს მოსკოვის მეთოდები და ვერც ერთი წუთით ვერ მოვითმენდი მის პროპაგანდას, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია ჩვენი ნოტის საპასუხოდ სთქვას: უმჯობესია თქვენ თავს შეხედოთ ისეთ რამეებს, რაც „იზვესტიაში" და „პრავდაში" არის გამოქვეყნებული ჩვენ ვნახავთ ორჯერ უფრო მეტი რაოდენობით „მორნინგ პოსტში" და სხვა გაზეთებში.

მაკდონალდმა დასძინა, რომ სიტყვები, წარმოთქმული საბჭოთა კავშირში ინგლისის წინააღმდეგ მით განსხვავდებიან ინგლისში წარმოთქმულ სიტყვებიდან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რომ ასეთი სიტყვებით გამოდიოდენ კაბინეტის პასუხისმგებელი წევრები, როგორიც არის ჩერჩილი, ჯონსონ ხიკსი და ემერი.

„ჩვენ—განაგრძო მაკდონალდმა—არ შეგვიძლია დავეყრდნოთ ჩვენს საწინააღმდეგო გამოლაშქრებას, რასაც შეიცავდა იმ პირთა სიტყვები, რომელთაც ასე საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავს რუსეთში,—ამიტომ მე შემიძლია შიში გამოვსთქვა დისკუსიის შედეგის შესახებ" (ადს).

ინგლისი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით

ლონდონი, 25 თებერვ. მუშათა პარტიის წევრმა და მაკდონალდის კაბინეტის ყოფილმა მინისტრმა კლაინსმა ნოტის შესახებ განაცხადა:

„იმ შემთხვევაშიაც კი, რომ პოლიტიკის თვალსაზრისით სწორი იყოს ასეთი დეკლარაციით მიმართვა რუსეთისადმი, ცხადზე უცხადესია, რომ საამისო მომენტი ვერ არის ჯეროვნად შერჩეული".

„აგრეთვე აღნიშნა, რომ ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის ხელსაყრელია რუსეთ-ინგლისის ვაჭრობის გაუმჯობესება.

კუკის განცხადება

„ინგლისის მთავრობას სურს ურთიერთობა კუკმა ნოტის შესახებ განაცხადა:

„ინგლისის მთავრობას სურს ურთიერთობა გასწყვიტოს რუსეთთან იმიტომ, რომ საბჭოთა მუშებმა ფინანსიური დახმარება აღმოუჩინეს მემაღაროებს. თუ უკმაყოფილების მიზეზს წარმოადგენენ სიტყვები და წერილები, საბჭოთა მთავრობას ეჭვს გარეშე მეტის საბაბი აქვს საჩივრისათვის".

ლემპსონი უკმაყოფილოა

ლონდონი, 25 თებერვალი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ინგლისის ნოტის შესახებ უკიდურეს კონსერვატორების მიერ გაჩაღებულ ანტი - საბჭოთა კამპანიის მეთაურმა ლოკერ ლემპსონმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ნოტის პირველი გაბედული ფრაზები „შემდეგში იმდენად წყალ შერეულია, რომ გადაქცეულია უბადრუკ ლაყბობად". (ადს).

უცხოეთის პრესა ჩემბერლენის ნოტის შესახებ

საფრანგეთის პრესა

ბულგარელი „ფიგარო" კმაყოფილია

პარიზი, 25 თებერვ. მემარჯვენე—ბურჟუაზიული „ფიგარო" ეხება ინგლისის ნოტას საბჭოთა მთავრობისადმი და სწერს:

„ინგლისის მთავრობამ გაბედული გადაწყვეტილება გამოიტანა. მთავრობას მხარს უჭერს ერის დიდი უმრავლესობა. თვით მუშათა მთავრობის ყოფილი ფინანსთა მინისტრი სნოუდენიც აღიარებს, რომ ბოლშევიკები ინტრიგებს ეწევიან ინგლისის წინააღმდეგ, მათ დაარღვიეს ინგლისთან დადებული ხელშეკრულებაც. ინგლისის მაგალითს მთელმა ევროპამ უნდა მიბაძოს".

კონსერვატიული „გოლუა" სწერს:

„ჩვენმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა რომ ჯამი გაუკეთონ საბჭოთა კავშირის ცნობის შედეგებს, ისინი დარწმუნდებიან, რომ მოსკოვი აშკარად რევოლუციას ამზადებს საფრანგეთში და ცდილობს მის იზოლიაციას იტალიის, ესპანეთის და ინგლისისაგან. საჭიროა იერიშის მიტანა საბჭოთა საფრთხეზე მანამდე, სანამ ამბები თვითონვე შემოგვიტევდენ".

მემარჯვენე-ბურჟუაზიული „ომ ლიბრ" ფიქრობს, რომ ინგლისს საბუთი აქვს უკმაყოფილო იყოს საბჭოთა კავშირით, რომელმაც განაახლა ინგლისის და რუსეთის ძველი დავა აზიაში, შესძლო ჩინეთის სიმპატიის დაპყრობა და ჩინელების ამხედრება ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მემარცხენე-ბურჟუაზიული „ეერ" სწერს: „ინგლისის ნოტა უფრო გაფრთხილებაა, ვინემ პროტესტი. მანჩესტერის საფეიქრო მრეწველები ნერვიულობენ, მაგრამ როგორია დანარჩენ მრეწველების პოზიცია? მათ ხომ არ დაავიწყდათ საბჭოთა ბაზარი და საბჭოთა ნედლეული? ამის გამო ხომ არ გაიმარჯვა ჩემბერლენმა ჩერჩილზე და ხიკსზე?

„ტან" სწერს:

„ინგლისის ნოტა ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს. ეხლანდელი საბჭოთა პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო რევოლუციას, შეწყდება მხოლოდ პროლეტარიული დიქტატურის დაცემით. რჩება ერთი სერიოზული კითხვა—როდის გადავა ინგლისის მთავრობა სიტყვიდან საქმეზე"?

მემარცხენე-ბურჟუაზიული „ვოლონტე" ეხება ჩემბერლენის ნოტას და სწერს:

„არსებითად მოსკოვი ანგარიშს არ გაუწევს ინგლისის პროტესტს, ვინაიდან მას შეუძლია საპასუხოდ სთქვას, რომ ბრალდებები, დამყარებული გაზეთების წერილებზე და სიტყვებზე, არ არის დასაჯერებელი. ასეთ პირობებში მოსკოვს შეუძლია სთქვას, რომ ურთიერთობის შეწყვეტას პროვოკაციის ხასიათი ექნება. ჩემბერლენის ნოტაში გადმოცემულია ის გაბრაზება, რომელსაც იწვევს მოსკოვის ფხიზელი მუშაობა, ნოტა მოწმობს, რამდენად საგრძნობი ზიანი მიაყენა ამ მუშაობამ ინგლისს. ნოტა მოწმობს ლონდონის უმწეობას და წარმოადგენს დიდ შეცდომას, თუ ის არ წარმოადგენს საბაბს მოქმედებისათვის, რომელიც შესძრავს მთელს მსოფლიოს".

საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" სწერს:

„საბჭოთა კავშირის არსებობის ფაქტი, რომელსაც იმედით შესცქერიან მრავალი მილიონი ჩაგრულები, საბჭოთა კავშირის საპასუხო სიმპატიები ამ მილიონებისადმი,—აი დანაშაული, რომელსაც ჩემბერლენი აბრალებს საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს, ამაში მდგომარეობს შეთქმულება, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწყობს მთელი მსოფლიოს მუშების დახმარებით. ამ შეთქმულების მოწყობას საბჭოთა კავშირი მომავალშიაც განაგრძობს" (ადს).

გერმანიის პრესა

ბერლინი, 25 თებერვ. ვოლფის სააგენტო იტყობინება:

საბჭოთა მთავრობისათვის ინგლისის ნოტის გადაცემის გამო, ოფიციოზური „დოიჩე დიპლომატიშე უნდ პოლიტიშე კორესპონდენც" სწერს:

„გერმანიაში ნდობით უყურებენ ინგლისელ მოღვაწეებს და ფიქრობენ, რომ ისინი არ გადადგამენ არავითარ ნაბიჯებს, რომელსაც შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს ახლად არსებულ ისედაც მერყევ მდგომარეობას ევროპაში და მთელს მსოფლიოში" (ადს).

ბერლინი, 25 თებერვ. გერმანიის ყველა მიმართულების გაზეთები ეხებიან ჩემბერლენის ნოტას და დიდ შიშს გამოსთქვამენ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გამწვავების შესაძლებელ შედეგების გამო.

„დოიჩე ტაგესცაიტუნგ" აღნიშნავს, რომ ინგლისი ცდილობს იშოვოს სხვა ქვეყნები, რომელნიც თანახმა იქნებიან საჭირო შემთხვევაში ინგლისის ფინანსიური დახმარებით იკისრონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმის გადატანა. უკვე უდავოდ გამორკვეულია, რომ ინგლისი ლოკარნოს ხელშეკრულებით და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლით ფიქრობდა გერმანიის მჭიდროთ დაკავშირებას დასავლეთის სახელმწიფოებთან, მას შესაძლებლად მიაჩნია გერმანიის მონაწილეობა საინტერვენციო ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის გამო, ბერლინში დადებულმა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ უსათუოდ ხელი შეუწყოს ინგლისის და პოლონეთის დაახლოვებას" (ადს)

მშრომელი მასები კონსერვატორების პროვოკაციის წინააღმდეგ

გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ბერლინი, 25 თებერვალი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ინგლისის იმპერიალიზმი საბჭ. კავშ. მოსპობით ემუქრება იმისათვის, რომ ის უსაზღვრო სოლიდარობას იჩენს ყველა ჩაგრულებისადმი. მუშებმა პროლეტარული სოლიდარობის რკინის კედელი უნდა აღმართონ რუსეთის მუშების და გლეხების სოციალისტური ქვეყნის დასაცავად. (ადს).

ინგლისის კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 25 თებერვალი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება მთავრობის ნოტის გამო.

მოწოდება ყურადღებას აქცევს ინგლისელ მინისტრების სიტყვებს, რომელნიც შეიცავენ შეურაცმყოფელ გალაშქრებას საბჭოთა მთავრობის, მის ხელმძღვანელ წარმომადგენლების და საერთოდ საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ. კომპარტიის ცეკა აფრთხილებს მუშათა მასსებს და მუშათა ორგანიზაციებს, რომ ბოლდუინის მთავრობის პოლიტიკას ომის სუნი უდის.

მოწოდება მოითხოვს, რომ მუშათა პარტია და პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ ყველაფერი გააკეთონ რაც კი შეუძლიათ იმისათვის, რომ მუშები მომზადებულ იქნენ ომისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და კონსერვატიული მთავრობის ჩამოსაგდებად.(ადს).

ხელები შორს საბჭოთა კავშირიდან

„ვერ შეგვაშინა კერზონმა, ვერ შეგვაშინებს ჩემბერლენიც"

დნეპროპეტროვსკი, 26 თებერვალი. მთელ რიგ ქარხნებში შესდგა მუშათა მიტინგები. მიღებულ რეზოლუციებში ნათქვამია:

ჩვენ ვერ შეგვაშინა კერზონმა, ვერ შეგვაშინებს ჩემბერლენიც. ჩვენ დარწმუნებული ვართ საბჭოთა მთავრობა ღირსეულ პასუხს გასცემს ინგლისელი კონსერვატორების მთავრობას. (ადს).

განათლების მუშაკთა პროტესტი

კიევი, 26 თებ. პეტროვის რაიონის განათლების მუშაკთა მრავალრიცხოვანმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელთანაცაა მთელი კავშირის მშრომელი მასა, შესძლებს ღირსეული პასუხი მისცეს კონსერვატიული მთავრობის გამოსვლას.

კრებამ დაადგინა მოუწოდოს ინგლისის განათლების მუშაკებს, მიიღონ ყოველი ზომა, რომ ინგლისის მთავრობამ ვერ შესძლოს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა და ახალი ავანტიურის მოწყობა. (ადს).

ნიკოლაევში

ნიკოლაევი, 26 თებერვალი. მუშების მრავალრიცხოვან მიტინგზე გამოაქვეს რეზოლუციები, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ შესაფერი პასუხი გასცეს ჩემბერლენის ნოტაზე. (ადს).

მეჭდავთა რეზოლუცია

ხარკოვი, 26 თებერვალი. უკრაინის მეჭდავეთა ყრილობამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ჩემბერლენის ნოტის წინააღმდეგ. რეზოლუციაში ნათქვამია:

„ყრილობა გადაჭრით აცხადებს, რომ მთელ მუშათა კლასი და გლეხობა მტკიცედ სდგას ოქტ. მონაპოვართა სარაჯ-ზე, თუმცა მხურვალე მომხრეა მშვიდობიანობის, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ საჭირო დარჩა, მზად არის ღირსეული პასუხი გასცეს მსოფლიო ბურჟუაზიის იერიშებზე. ყრილობა ერთხმად მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ მთავრობას მტკიცე პასუხი გასცეს ჩემბერლენის უსაფუძვლო მოთხოვნილებებზე". (

მოსკოვის პრესა ჩემბერლენის ნოტის შესახებ

ჩემბერლენის ნოტა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ამ უკანასკნელ დროს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოწყებულმა გაფართოებულმა კამპანიამ, რომელიც დაიწყო კონსერვატიული პარტიის შუბლ-მაგართა ფრთამ, გამოიწვია ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების ერთგვარი გართულება. იმათგან, ვინც მართავს ინგლისის საგარეო პოლიტიკას, დიდი ბრიტანეთის მთავრობის პასუხისმგებელ ხელმძღვანელთაგან იყო დამოკიდებული ურთიერთობის გაუარესება ორ ქვეყნის შორის, ამ ურთიერთობის ჩაყენება მშვიდობიან კალაპოტში და მისთვის ნორმალური და საქმიანი ხასიათის მიცემა. ხოლო საბჭოთა მთავრობისათვის ჩემბერლენის მიერ გამოგზავნილი ნოტა, და თვით ამ „საბრალმდებლო" ნოტის ჩაბარების ფაქტი, ნოტის; რომელიც შედგენილია დაუშვებელი სასტიკი კილოთი და შეიცავს მუქარასაც კი ჩვენი მთავრობის მიმართ, მოწმობს იმას, რომ ინგლისის მთავრობამ გადადგა ნაბიჯი მინუსის და არა პლიუსის ნიშნით ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულებისათვის.

გავარკვიოთ ინგლისის ნოტის შინაარსი და პოლიტიკური აზრი.

მისტერ ჩემბერლენის ნოტა, უდავოა, განირჩევა ერთგვარი თავისებურობით ანალოგიურ „დოკუმენტებისაგან", რომლებითაც დღემდე მოქმედობდა ჩვენს წინააღმდეგ ინგლისის მთავრობა.

ამ ჯერზე ინგლისის ნოტა არ ემყარება შეთითხნილ ყალბ დოკუმენტებს, როგორც იმდენად ღირსშესანიშნავი, რამდენადაც უხეირო „ზინოვიევის წერილია". სულ ერთია დღეს უკვე ვეღარ მოხერხდებოდა ყალბი საბუთებით სარგებლობა და კერიანტელის დაყენება ყალთაბანდურად დამზადებული წერილის საშუალებით, როგორც ეს იყო ოდესღაც. დღეს უკვე ყველამ, და პირველ ყოვლისა თვით ინგლისში, სულ ერთია არ დაუჯერებდა „ზინოვიევის წერილს". ამნაირად ჩემბერლენის ნოტა მოწმობს ჩვენდამი წინანდელი დამოკიდებულების ერთგვარ გაკოტრებას.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისის ნოტას შეეძლოს დაეყრდნოს ყველა დიდმნიშვნელოვან სიგელებისათვის ჩვეულ დარბაისლობით, იმ სიგელების, რომლისაც უგზავნიან ერთი მეორეს მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები. ინგლისის ნოტაში ვერ ნახავთ ვერც ერთ კონკრეტიულ ბრალდებას, ვერც ერთ კონკრეტიულ გამომჟღავნებას, ვერც ერთ კონკრეტიულ ფაქტს, რომელიც ადასტურებდეს ორ სახელმწიფოს შორის არსებულ ხელშეკრულებათა პირობების დარღვევას ჩვენს მხრივ. არავითარი ამის მსგავსი არ არის ინგლისის ნოტაში.

სამაგიეროდ ინგლისის ნოტაში, რომელიც ერთგვარ სადისკუსიო ხასიათს ატარებს, უხვად არის თავმოყრილი საკ. კომ. პარტიის ლიდერების სიტყვების ნაწყვეტები, ამონაწერები ჩვენი პრესის წერილებიდან და პარტიულ კონფერენციებსა და კომუნისტური ინტერნაციონალის სხდომებზე გაკეთებულ მოხსენებებიდან. სამაგიეროდ გადაჭრელი მნიშვნელობა აქვს მიცემული ჩვენი ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მოსაზრებებს ფიზკულტურაზე და საერთაშორისო ისტორიის ანალებში შეტანილია ფაქტი, რომ „ცაკის იზვესტიის" გამომცემლობა არ იხდის გადასახადებს. ყველაფერი ეს შეზავებულია საკვეთ ლორდების ოხუნჯობით, რაც არავითარ შემთხვევაში პატივს არ სდებს ჩარლზ დიკენსის ჩამომავალთ, და ამგვარი კბილის გაკვრით, როგორიც, მაგალითად, გამოთქმა: „ჩიჩერინის ნერვიული ტვინი", რაც ძალაუნებურად გვაფიქრებინებს იმას, რომ თვით მისტერ ჩემბერლენის ნერვები ყოველთვის არ არიან შეწყობილი ტვინთან.

ნოტა, რასაკვირველია, აერთაიგივებს საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და საბჭოთა მთავრობას. ჩვენ მეათასეჯერ აღარ შევეცდებით ამ „ობივატელურ" სიბრძნის გაბათილებას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ბრალდება, რომ საკ. კომ. პარტია და საბჭოთა მთავრობა „არის ერთი და იგივე", იმდენადვე უტიფარია, რამდენადაც მაგალითად, ის, რომ თითქოს ბრიტანეთის მთავრობა და ინგლისის კონსერვატიული პარტია არის ერთი და იგივე და უკანასკნელის ყველა მოქმედება თითქოს ნიშნავდეს პირველის მოქმედებას.

რანაირადაც არ უნდა ვატრიალოთ ნოტაში მოყვანილი სიტყვების ნაწყვეტები, მათგან მაინც იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, რომ თითქოს საბჭოთა მთავრობა „ახდენს მსოფლიო რევოლიუციას", აწყობს „ინგლისის გაფიცვას" და სხ. თუ ჩვენი ბელადები აცხადებენ, რომ, ვთქვათ, ჩინეთში ფართოვდება მძლავრი რევოლიუციონური მოძრაობა, მიმართული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ამით მხოლოდ აღინიშნება და სრულიადაც არ იქმნება ობიექტიური ისტორიული პროცესი.

ხოლო თუ ინგლისის ნოტა ჩვენ დანაშაულად გვითვლის თანაგრძნობას და სიმპატიებს დაჩაგრულ ერებისადმი, შეგვიძლია დავარწმუნოთ ინგლისის მთავრობის წევრები, რომ ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენს საქმიან, სავაჭრო და დიპლომატიურ ვალდებულებებთან სწორედ ისევე, როგორც ის გარემოება, რომ ინგლისის კონსერვატიულ პარტიას აქვს უდავო და „ურყევი" სიმპატიები, ვთქვათ, იტალიურ ფაშიზისადმი. სხვადასხვანაირია სახელმწიფოები, სხვადასხვანაირია ხელისუფლების სათავეში მდგომი კლასები, სხვადასხვანაირია სიმპატიები, რომლებსაც ვერავითარი დიპლომატიური ნოტები ვერ მოსპობენ.

ინგლისის ნოტა ჩვენს მთავრობას აშკარად აბრალებს იმას, რომ მსოფლიო პოლიტიკის მოვლენების შეფასებას საკ. კომ. პარ. (ბ) წევრები უდგებიან რევოლიუციონური მარქსიზმის და ლენინიზმის პრინციპებით. ეს ბრალდება უაღრესად უპასუხისმგებლო ბრალდებაა, თვით კონსერვატიულ პოლიტიკოსების თვალსაზრისითაც კი. რას იტყოდენ ისინი, რომ ჩვენ მათგან მოგვეთხოვა კონსერვატიული პროგრამის, „ოჯახის, საკუთრების და რელიგიის" ღვთაებრივ პრინციპების დაგმობა? სულ ცოტა მაინც, ამას უწოდებდნენ ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევას. საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ასეთივე ჩარევას წარმოადგენს ის სასაცილო პრეტენზია, რომ აიძულონ საკ. კომ. პარტ. (ბ) წევრები დაგმონ კომუნისტური პარტიის პროგრამა.

როდესაც ჩემბერლენი უხეშად აბრალებს საბჭოთა მთავრობას შეურაცმყოფელ გამოსვლებს ბრიტანეთის მთავრობის წევრების მისამართით, ის ამით დგება ბრიტანეთის მთავრობისათვის აშკარად არახელსაყრელ პოზიციაზე.

ჯერ ერთი, მოყვანილი ციტატებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩემბერლენის აღნიშნული თეზისის დამტკიცება.

მეორე, რომ აღარ ვილაპარაკოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ათას უზრდელ წერილებზე, რომლებიც თავსდებოდა ინგლისის კონსერვატიულ პრესაში, ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა აი და მოგვეგონებია, ზრდილობის გულმავიწყ მესვეურებისთვის ინგლისის მთავრობის გავლენიან წევრთა, ასი და ათასი ასეთი გამოთქმა, გამოთქმა, რომელიც ძნელად ეგუება არა მარტო დიპლომატიურ, არამედ უბრალო ადამიანურ ლექსიკონსაც კი.

ჯოინსონ ხიკსის სიტყვები და გამოსვლები, ლორდ ბირკენხედის და ჩერჩილის „დახვეწილი სიტყვაკაზმულობა" კარგად არის ცნობილი არა მარტო ინგლისელ, არამედ საბჭოთა მკითხველისთვისაც. აღარ მოვიგონებთ მთელი ანტისაბჭოთა კამპანიის პრიმადონის, მისტერ ლემპსონის სიტყვებს, რომელიც მღერის ერთ ხმაზე თეთრგვარდიელ ავანტიურისტთან, საერთაშორისო „ოხრანკის" ალფონსთან, საბლინთან ერთად. მოვაგონებთ საბჭოთა მთავრობის ცუდი კილოსადმი მიძღვნილ ნოტის შემომქმედთ ვორტინგტონ ევანსის სიტყვას, კემბრიჯში თქმულს (აქვე უნდა ითქვას, რომ ვორტინგტონ ევანსი ინგლისში წარმოადგენს არა ფიზკულტურის ან ბოქსის, არამედ სამხედრო მინისტრს), რომელიც საბჭოთა მთავრობას შემდეგნაირად ახასიათებს: „მკვლელთა და ყაჩაღთა რევოლიუციონურმა ბანდამ ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება და განადგურებისაკენ მიჰყავს დიადი ერი".

მოვაგონებთ აქვე თვით ჩემბერლენის განცხადებას, თემთა პალატაში მის მიერ გაკეთებულს: „ვკისრულობ სრულ პასუხისმგებლობას როგორც ჩემი კოლეგების, ისე საკუთარ სიტყვებზე". ამის შემდეგ პირდაპირ განსაცვიფრებელია ის წინდაუხედავობა, როდესაც ბატონი ჩემბერლენი ბედავს ზრდილობის გაკვეთილის მოცემას ჩვენთვის.

უსაფუძვლოა ინგლისის ნოტის პრეტენზიები საბჭოთა მთავრობისადმი. არც კი ღირდა მათი დაწვრილებით განხილვა, რომ ისინი არ შეიცავდენ საკმაოდ აშკარა მუქარას დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისა ინგლისს და საბჭოთა კავშირს შორის. თქმა არ უნდა იმას, რომ საერთოდ ასეთი მუქარა, ისიც განსაკუთრებით დღევანდელ დროს, წარმოადგენს სულ უკანასკნელი ხარისხის საგარეო-პოლიტიკურ ავანტიურას. ასეთი ნოტის გაგზავნას თვით მაკდონალდიც კი სთვლის „ყველაზე სულელურ და ყველაზე მავნე საქციელად". ინგლისის მთელი მუშათა მოძრაობა, მისი ყველაზე ზომიერი ელემენტებიც კი, ილაშქრებენ ბრიტანეთის მთავრობის ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ. ჩვენ ჩვენის მხრივ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისის მთავრობა ასეთი პოლიტიკით მხოლოდ და მხოლოდ წააგებს, რაც მალე საგრძნობი გახდება ინგლისის კაბინეტის როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკურ პოზიციებზე.

მოსკოვი, 26 თებერვალი.

ჩემბერლენის ნოტა და „ინგლისის ერის ერთსულოვნება"

(„პრავდა"-ს მეთაური)

თავიდანვე აშკარა იყო, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ეს ერთად-ერთი თავისებური ნოტა-რეფერატი წარმოადგენდა ერთგვარ კომპრომისს კონსერვატიული პარტიის „შუბლ-მაგარ" ელემენტებისა და ჩემბერლენის მომხრეებს შორის. ამას ამოწმებს მრავალრიცხოვანი გამოძახილი ევროპიული და, პირველ რიგში ინგლისის პრესისა. ბურჟუაზიულმა „საზოგადოებრივმა აზრმა" არ დააყოვნა ბრიტანული ნოტის სარჩულის გაბილვა და იმის დამტკიცება, რომ უკანასკნელი წარმოადგენს მოწყალებას „შუბლმაგართადმი" და ერთად - ერთ საშუალებას კონსერვატიული პარტიის შერყეული, თუნდაც ფორმალური მთლიანობის აღსადგენად და ლონდონის კაბინეტის შიგნით გაღვივებულ წინააღმდეგობათა ჩასაქრობად.

მაგრამ ისეთი მუყაითი და ოინბაზი პოლიტიკური დიპლომატიც კი, როგორც არის ჩემბერლენი, უძლური აღმოჩნდა წამოეყენა სულ მცირეოდნად მაინც პოლიტიკურად ჯანსაღი კომპრომისი. როგორც ჩვეულებრივ ხდება, საზოგადოებრივ ბრძოლაში კომპრომისული გადაწყვეტილებები იშვიათად არიან მისაღებნი და მტკიცე. „შუბლმაგარნი" და „სირაქლემა თავიანები" (როგორც უწოდებენ ჩემბერლენის მომხრეებს არა საბჭოთა ინგლისელი კონსერვატიული ჟურნალისტები, „დეილი მეილიდან") მორიგდენ იმაზე, რაზედაც, ძნელად მორიგდებიან ისინი, ვის სმენასაც სწვის ჩვენი პარტიის ლიდერების სიტყვა და ვისთვისაც „არასიმპატიურია" ყოველგვარი მსჯელობა კომუნისტური სულით. აი ამ ჯერზე რატომ გაიძვერდა ინგლისის „სახელმწიფოებრივმა გენიოსმა" ციტატებზე, კარიკატურებზე და მესამე ხარისხოვან ოხუნჯობაზე. როგორც სჩანს, მხოლოდ წმინდა ტექნიკურმა გარემოებებმა შეუშალეს ხელი იმას, რომ ჩემბერლენმა არ მიაყოლა ნოტას ჩვენი პარტიული კონფერენციებისა და კომინტერნის სხდომების ყველა სტენოგრამები და მარქსისა და ლენინის თხზულებათა სრული კრებული, რომელიც სხვათა შორის საკმაო პატივისცემით სარგებლობს საბჭოთა მთავრობის წევრების შორისაც. არა ციტატები, არამედ დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლის მუქარა აძლევს ბრიტანეთის ნოტას პოლიტიკური დოკუმენტის მნიშვნელობას.

სულ სხვადასხვა მიმართულების პრესა აჯილდოვებს ნოტას პოლიტიკურ ნოტისათვის სათაკილო სახელწოდებით: „მოწინავე წერილი", „ჰაერში ნასროლი ყუმბარა", „ხმლით წყალის ჩეხვა" და „ყველაზე სალოდავი ჩხავილი"-ც კი. (ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ უკანასკნელ დახასიათებას, რომელიც ეკუთვნის კოლიკოველ ლოკერ ლემპსონის ნავთში ჩაწობილ კალამს, ჩემბერლენი ისევე მგრძნობიარად უწევდეს ანგარიშს, როგორც ვთქვათ, ნოტაში მოყვანილ საბჭოთა კარიკატურებს).

ინგლისის მთავრობის ანტისაბჭოთა გალაშქრება, უდავოა, მოწმობს ამ მთავრობის პოლიტიკურ სიბეცეს. არავითარი ხრიკებით, არავითარი ინსპირაციებით და პრესის შევიწროებით არ შეიძლება „იშვიათი ერთსულოვნების" და „მთელი ინგლისის ერის აღფრთოვანების" სურათის შეთითხვნა. ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ ინგლისის მუშათა პრესაზე, თუნდაც ზომიერ პრესაზე, რომელიც უარყოფს ჩემბერლენის გონებრივობას და სალი ოხუნჯობის უნარსაც კი. მთელი ინგლისის მუშათა კლასი სასტიკად გმობს ინგლისის ნოტას, მიუხედავად ბერლინის სოციალ - გაიძვერების ორგანოს „ფორვერტს"-ის ცდისა. რომელიც ცდუმორეული მოუწოდებს ინგლისის მუშებს კონსერვატიული რეჟიმი არჩიონ საბჭოთა რეჟიმს. საყურადღებოა, რომ მაკდონალდიც კი, რომელიც რატომღაც აჭიანურებს ნოტის გარშემო შეკითხვის შეტანას პალატაში და რომელიც ზრდილობიანად აღნიშნავს, რომ „მას სძულს მოსკოვის მეთოდი", სათუთმეტყველოდ შიშობს, რომ ნოტის მიერ დაწყებული დისკუსიის დასრულდება ჩემბერლენის საზარალოდ.

არ არის ქებული „ერთსულოვნება", აგრეთვე, ინგლისის ბურჟუაზიულ წრეებშიაც. „დეილი მეილის" ბანდიტებს „სისხლი უდუღთ ძარღვებში", წარმოიდგინეთ, ნოტის „ლმობიერების" გამო. „ვესტმინსტერ გაზეტ"-ის მაგვარი ლიბერალური პრესა განმარტავს, რომ ერთსულოვნება მხოლოდ კონსერვატორებს შორის სუფევს. იგივე ლიბერალური პრესა უკვე აგანსავ იოცებს იმ ზარალს, რომელიც შეუძლია მოჰყვეს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის შეწყვეტას.

ერთსულოვნება არ არის. ჩემბერლენის „კონკრეტიული ფაქტები" მხოლოდ ძალამიხდილ მოხუცთა თუ მოეჩვენებათ ნამდვილად კონკრეტიულად. ჩემბერლენის ნახტომი მათაც კი ვერ დაამშვიდებს. ვისი დამშვიდებაც უნდოდა ჩემბერლენს.

შუბლმაგართ წინანდებურათ „სწყურიათ სისხლი" და ამიტომ მეტს მოითხოვენ.

„პირველ ნაბიჯს" ურთიერთობის გაწყვეტისაკენ უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი, ასეთია ლემპსონებისა და ჩერჩილების იმედი. „დიდი კეტი და რუსეთის მძიმე ჩექმა"—ასეთია ლემპსონის ბრბოს პროგრამა, ბრბოსი, რომელიც იწყებს ძაღლისებურ წკავწკავს საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ. ტყუილად კი არ სთვლის ნოტას დასავლეთ ევროპიული პრესის უდიდესი ნაწილი. რომელსაც ჩემბერლენი „ნერვიულობას" სწამებს, მორიგ ნაბიჯად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მზადებაში.

ურყევ და ნამდვილად უდავო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ნოტამ ჩვენ, საბჭოთა მთავრობა კი არ გამოააშკარავა, არამედ გამოამჟღავნა ინგლისის მთავრობის პოლიტიკა. ინგლისის მთავრობას ნოტა მის წინააღმდეგვე მიმართული. ჩვენი ბრალი არ იქნება, თუ ინგლისის მთავრობა ამ ნოტით მოიმკის მწარე ნაყოფს.

მოსკოვი, 26 თებერვალი.

ინგლისის ნოტა

(„იზვესტია"-ს მოწინავე წერილი)

ხანგრძლივ და გააფთრებულ კამპანიის შემდეგ პრესაში, მთელ რიგ გამოსვლების შემდეგ პარლამენტში და კაბინეტის სპეციალურ სხდომებზე, ინგლისის მთავრობამ საბჭოთა კავშირის რწმუნებულს ლონდონში გადასცა ვრცელი ნოტა, რომელიც შეეხება ინგლის საბჭოთა ურთიერთობას. საერთაშორისო ურთიერთობაში მიღებულ ყოველგვარ წესების წინააღმდეგ, ნოტა ინგლისის პრესაში გამოქვეყნებულ იქნა არამც თუ მანამდის, სანამ ის მიაღწევდა საბჭოთა კავშირის მთავრობამდე, არამედ მანამდისაც კი, სანამ მას წაიკითხავდა საბჭოთა კავშირის რწმუნებული. ინგლისის მთავრობის ნოტა თავდება განცხადებით: „ისეთ მოქმედებათა განგრძობამ, როგორიც არიან ისინი, რომელთა შესახებ განცხადებულია პრეტენზია, ადრე თუ გვიან აუცილებელი უნდა გახადოს იმ სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის პირობები ასე აშკარად ირღვეოდა, და თვით ჩვეულებრივ დიპლომატიურ ურთიერთობის ჩაშლაც".

როგორც ვიცით, საბჭოთა მთავრობას ბრალს სდებენ ორ ძირითად „ბოროტმოქმედებაში": პირველი, ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევა; მეორე, ინგლისის ინტერესების დარღვევა ჩინეთში.

ინგლისის კონსერვატორების აზრით დასახელებულ „ბოროტმოქმედებებიდან" პირველი გამოიხატებოდა დახმარების გაწევაში ჯერ საყოველთაო გაფიცვისათვის, ხოლო შემდეგ მემაღაროების გაფიცვისთვის.

მეორე — ჩინეთში ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობის გაღვივებაში და სპეციალურად ინგლისელების წინააღმდეგ „წასისინებაში".

სწორედ ამ ორ „ბოროტმოქმედების" შესახებ გაჰკიოდა კონსერვატიული პრესა და ისტერიულად ყვიროდა ჩერჩილი, ხიკსი, ლოკერ ლემპსონი და ინგლისის კონსერვატორების სხვა ბელადები. სწორედ ამ „ბოროტმოქმედებათა" შესახებ განუწყვეტლივ შეჰქონდათ შეკითხვები პარლამენტის კონსერვატორ დეპუტატებს.

ასეთია ინგლისის კონსერვატორების მთავარი ბრალდებები საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართ. ამ „ბოროტმოქმედებათა" დამამტკიცებელ საბუთებს ნოტაში ვერ ვხედავთ. კიდევ მეტი, ნოტა ერთი სიტყვითაც არ ეხება მათ. ბრალდება სამთამადნო მუშათა გაფიცვისათვის დახმარების გაწევის შესახებ ნოტაში დაკავშირებულია იმასთან, რომ „იზვესტიის" 8 მაისის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც მოუწოდებდა მთელს მუშათა კლასს საყოველთაო გაფიცვისათვის მხარის დაჭერისაკენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის კაბინეტმა, დაბოლოს, გაიგო, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთ ვერავინ წაართმევს მათ ბუნებრივ უფლებას დახმარება გაუწიონ თავის კლასიურ ძმებს საზღვარ-გარეთ. ნოტა არ იმეორებს იმ ბრალდებებს, რომელთაც შეიცავდა ინგლისის მთავრობის წინანდელი მემორანდუმი.

რაც შეეხება საკითხს საბჭოთა კავშირის მიერ ინგლისის ინტერესების დარღვევის შესახებ ჩინეთში ინგლისელების წინააღმდეგ მიმართულ ნაციონალურ - რევოლიუციონურ მოძრაობის გაღვივების გზით, ამის შესახებ ნოტა ხმასაც არ იღებს. როგორც სჩანს, ინგლისის კაბინეტმა ვერ გაბედა შეეტანა ოფიციალურ დოკუმენტში ის „თეორია". რომელიც გრანდიოზულ ისტორიულ კატაკლიზმს ბოროდინის ანტი - ბრიტანულ რჩევად ხსნის.

მაშასადამე, საბჭოთა კავშირის ძირითად „ბოროტმოქმედებებმა" ინგლისის წინააღმდეგ, რომლებიც მთელ რიგ თვეების განმავლობაში ჰკვებავდენ ანტი-საბჭოთა კამპანიას, ვერ ჰპოვეს გამოხატულება ინგლისის კაბინეტის ოფიციალურ საბრალმდებლო აქტში.

მაშ რაშია დამნაშავე ნოტის აზრით საბჭოთა კავშირის მთავრობა? პირველ ყოვლისა მსოფლიო რევოლიუციაში. ჩვენ არ ვიცით არც ერთი დოკუმენტი, რომელშიაც საბჭოთა კავშირის მთავრობას ოდესმე და ვისმესთვის მიეცეს ვალდებულება, რომ ის თავის მოქალაქეებს, აუკრძალავს ისეთი სიტყვების წარმოთქმას, რომლებიც შეიცავენ რწმენას მსოფლიო რევოლიუციის აუცილებლობაში, რამდენადაც ეს სიტყვები წარმოთქმული იქნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ასეთი „აგიტაციის" ყველა მაგალითები ეკუთვნიან ამხ. ბუხარინის, ვოროშილოვის და უნშლიხტის სიტყვებს, რომლებიც წარმოთქმულ და გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. თუ ინგლისის მთავრობა სთვლის, რომ ასეთი სიტყვები უშუალოდ მიმართულია ინგლისის კონსტიტუციის საფუძვლების წინააღმდეგ, მაშინ რას ფიქრობს ის რომში წარმოთქმულ ჩერჩილის სიტყვების შესახებ, სადაც ის აშკარად მოუწოდებდა „ბოლშევიკური რეჟიმის" დამხობისაკენ?

ძნელი გასაგებია რაში გამოიხატება საბჭოთა კავშირის „ბოროტმოქმედება" ინგლისის მიმართ და რით არის გამოწვეული ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა გაგულისება? ინგლისის მთავრობის ნოტა ვერ აღწევს მიზანს. თუ ნოტის ავტორები სთვლიან, რომ ნოტა გაადიდებს ინგლისის მთავრობის პრესტიჟს იმ ქვეყნებში, სადაც ეს პრესტიჟი (ჩინეთში) უკანასკნელ დროს სისტემატიურათ ეცემა, მაშინ ასეთი იმედი ინგლისის კაბინეთის სუბიექტიური რწმენის საქმედ უნდა ჩაითვალოს. ამის შესახებ ჩვენ ცოტათი სხვა აზრის ვადგევართ. თუ ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირთან ლაპარაკი შეიძლება დაუსაბუთებელი მსჯელობის საშუალებით და ისეთი ტონით, რომელიც 1927 წელს დაუშვებელია, რომელიც გნებავთ კოლონიალურ ქვეყნის მიმართ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ხალხი, რომელთაც ასეთი შეხედულება აქვთ სასტიკათ იმედგაცრუებული დარჩება. ამ ნოტის შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ „მთავრობამ გადასდგა უაღრესად სულელური და საზიანო ნაბიჯი". არ გვსურს რა დავიმსახუროთ საყვედური ინგლისის „შეურაცყოფაში", ჩვენ თავს ვიკავებთ მაკდონალდისთვის სოლიდარობის გამოცხადებისაგან.

მოსკოვი, 26 თებერვალი.

ჩემბერლენის მერანი

მიჰქრის, მიმაფრენს მოსკოვისკენ მე ჩემი ნოტა...



პატარა ფელეტონი

ჩემბერლენმა რა მოჰროტა ანუ ჭკუათხელის ნოტა

(საუბარი ამხ. ხოზიკასთან)

მითხრეს: ხოზიკ, გაგვიმართე
მცირეოდენ საუბარი
ჩემბერლენის ნაჩმახავზე
რა აზრის ხარ ის გვითხარი.
ვუპასუხე: რადგან ასე
საჭიროა აზრი ჩემი,
მე ვიტყვი და თქვენი იყოს
შემდეგ საქმე დანარჩენი.
შეიძლება ჩემს საუბარს
მოჰყვეს დიდი გართულება,
რადგან ოსტინს ციტატებში
საკბილო რომ ეგულება.
ვიცი, როცა წაიკითხავს
ამ საუბარს იგი, ჩემსას,
გამოიყვანს უსათუოდ
თავისებურ განაჩენსაც.
ამ საუბრის შემდეგ გავა
დრო და ხანი ძლიერ ცოტა,
რომ მეორე მოგვადგება
ჩემბერლენის კარზე ნოტა.
ჰოგვწერს იგი: თქვენ რათ გვენძრევით
ბრიტანეთის იმპერიას?!
ეს ხოზიკამ რა უთქვია,
გაზეთებში რა სწერია?!
ჰოგვწერს ნოტას. მაგრამ რაკი
საჭიროა აზრი ჩემი,
მე ვიტყვი და თქვენი იყოს
შემდეგ საქმე დანარჩენი.
ჩემბერლენის მოჩმახულზე
მე აზრი მაქვს ძლიერ კარგი:
ჩემბერლენიც, მისი ნოტაც
ზედმეტია ხოლმე ბარგი.
იმ თავითვე დაცდილი მაქვს
ასე არის მუდამ, მუდამ.
ზოგჯერ უნდა სწეროს ხოლმე
ნოტა ოსტინ აულაყუდამ.
აი, ეხლაც, ისევ მისი
ნოტა მოდის ჩაჩქაქითა,
გავსილია იგი ნოტა
რახა-რუხით ლაქლაქითა.
საპასუხოდ აზრადა მაქვს
მეც დავწერო ერთი ნოტა
(ჩიჩერინი ავად არის
მე შევწუხდე უნდა ცოტა).
მივსწერ: მისტერ ჩემბერლენო!
რა გეგონა ბრიყვო ნეტა,
რომ მოგვართვი ციტატებით
გაბერილი შენი ნოტა?!
თუ იფიქრე შეგვაშინე
და დაგვიფრთხე ხოლმე ძილი,
„იალლიში" ხარ ოსტინ ლორდო!
არ მოკვეთოს, ფრთხილად, კბილი.
ვინძლო ამგვარ გალაშქრებით
სჭამო ხილი ისე ტკბილი,
რომ შენ შვილსაც თვალწინ უდგეს
მილეშული გაკვეთილი.
რა იფიქრე, ჩიჩერინი
რომ წავიდა სამკურნალოდ,
დიპლომატი არ გვყავს მეტი
დავრჩებოდით სულ უძლოდ?
„ტკბილი ახის" მოძღვნისათვის
„მა, მადლობა ვაჟკაცურა.
ძღვნად მიიღე ოსტინ ნაცვლად
შენ მარილი... ინგლისურა.
შენც მიირთვი, გამოკვებე
ლემპსონიც და ხიკსიც შენი;
მაკდონალდიც, სნოუდენიც
მეფის ტახტს დამამშვენი.
ხოლო როცა დაგელიოს
შემოგკლდეს მათთვის კვება,
თავს ნოტებით ნუ იწუხებ
დიდათ ჯავრი ნუ ჩაგყვება:
შენ მოგიძღვნის საყოფს მუშა,
ან ჩინელი მოგცემს პასუხს,
თუ არა და ინდოეთი,
შამოგიჭერს თავზე მარწუხს!"
მე ვსთქვი, რადგან ასე მითხრეს
საჭიროა აზრი ჩემი.
მე ეს ვსთქვი და შემდეგ საქმე
თქვენი იყოს დანარჩენი.
თუ ოსტინმა გამოგზავნოს
ამ საუბრის გამო ნოტა,
მე მეტს ნულარ შემაწუხებ
დამასვენე, ხალხო, ცოტა!

ხოზიკა.

ჩემბერლენი მართალია

ყველა გაზეთები საშინლად აგინებენ ჩემბერლენის ნოტას. და განა მარტო გაზეთები. გაზეთის მკითხველები, მუშები, გლეხები და მოსამსახურეები ყველანი საშინელი აზრის არიან ნოტის შესახებ. უნეპმანესი სახის ნეპმანიც კი ჩემს გვერდით ტრამვაიში ცოლს ეუბნებოდა, რომ ნოტა სულელურია.

როგორც მშვიდობიანობის მოყვარე ფრთხილი და პირველ ყოვლისა ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნავი ადამიანი, მე ჩემს თავს ნებას მივცემ, ჩავერიო და შევასუსტო გადაჭარბებული საყვედურები და თავლანძღვა ინგლისელ მინისტრის მიმართ და აღვადგინო სამართლიანობა იმდენად, რამდენადაც ეს სამართლიანობა შებილწულია.

აშკარად უნდა ვსთქვა; მე ვფიქრობ, რომ ჩემბერლენი თავისებურად მართალია, ის საქმეზე ლაპარაკობს, თქვენ კი მისდგომიხართ და ლანძღავთ. ავიღოთ რიგ-რიგობით.

ჩიჩერინი. აქვს კაცს ერთი ნაკლი, ხომ არ შეიძლება ამის უარყოფა. უყვარს ინფორმაციის ცუდი წყაროები, კარგ წყაროებს არც კი მიეკარება.

ინფორმაციის კარგი წყარო ნათლად და გარკვევით გვეუბნება: ინგლისი საბჭოთა კავშირის მეგობარია, აგრეთვე მამა და გამბედნიერებელი.

ჩიჩერინს არც კი უნდა გაიგონოს ეს, მას სულ ცუდი წყაროები იზიდავს. ამ საძაგელ წყაროდან კი ის დაასკვნის, რომ ინგლისი ჩვენ ფისით გვითითხნის ქვეყანას ყოველი მხრიდან, ლიტვიდან დაწყებული სპარსეთამდე.

უკანასკნელ ხანებში ჩიჩერინი ავადაც კი გახდა ინფორმაციის ამ ცუდი წყაროების წყალობით. წავიდა სამკურნალოდ სხვა წყალის წყაროებზე.

და რას ვხედავთ — იმის მაგიერ, რომ შესვა წყალი სადმე ლონდონში, ის ჯიუტობს და მკურნალობს გერმანიის წყლებით.

განა შეიძლება დამშვიდებით უცქირო ამას, არ აღელდე. განა შეიძლება ამაზე არ მიუთითო! ჩემბერლენმაც მიგვითითა. აბა რა არის აქ ცუდი.

ახლა მეორე სახალხო კომისარი ვოროშილოვი. აგროვებს ახლად გამოშვებულ მეთაურებს და პოლიტმუშაკებს. ეუბნება სიტყვას.

ერთი შეხედეთ რაზე ესაუბრება. ომზე ლაპარაკობს.

შეეძლო ელაპარაკა სოკოებზე, თევზის ჭერაზე, ველოსიპედის უპირატესობაზე გარმონიკის წინაშე, მზის დაბნელებაზე, სირაქლემას კვერცხებზე და განა ცოტაა სამხედრო მინისტრისთვის წითელ ოფიცრებთან სალაპარაკო თემები.

ის კი, დახეთ, ომზე ელაპარაკება. და, რაც მთავარია, ახსენებს ინგლისს. საკვირველია, სოცარია და პირდაპირ უხერხული.

სრულიად შეუფერებელია ამხ. სემაშკოს საქციელი. პირდაპირ საკვირველი კაცია ეს სემაშკო. ადამიანი დღის სინათლეზე ყველას თვალწინ სასტიკად სდევნის ინგლისის უსუსურ იმპერიას.

პირდაპირ დღე არ გაივლის, რომ ამ წრე გადასულმა პიონერებმა არ გაილაშქრონ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ.

როდისაა ეს კარგი. ნიკოლოზ ალექსანდრის ძევ. თქვენ ოსტინ ჯოზეფოვიჩი მიგითითებთ, თქვენ კი ცხვირს აბზუებთ.

საერთოდ რას გავს ეს: სახალხო კომისარი დალაპარაკობს მსოფლიო რევოლუციაზე. კომუნისტურ აზრებს ავრცელებს. პირდაპირ დამღუპველი შეთავსებაა!

ამის მაგიერ საჭიროა უბრალო წესრიგის შემოღება: დაგინიშნეს სახალხო კომისრად, ჩააბარე პარტბილეთი და გადაირიცხე უპარტიოთ. მორჩა და გათავდა. როცა გატარებული იქნება პირველი ასეთი ცდა სახალხო კომისრებზე, შემდეგ უნდა გადავიდეთ მათ მოადგილეებზე, შემდეგ კოლეგიის წევრებზე, სამმართველოების უფროსებზე, საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეებზე და ასე უკანასკნელ მილიციონერამდე. გარწმუნებთ თქვენ, რომ ჩემბერლენი სავსებით კმაყოფილი იქნება. ნოტას როდი მოგწერდათ, თვითონ ჩამოვიდოდა სტუმრად.

მე აღარ ვლაპარაკობ ასეთ ხელიდან წასულ პიროვნებებზე, როგორც ბუხარინი. მას არავითარი თანამდებობა მთავრობაში არ უჭირავს. პატარა ჩინი აქვს: საბჭოთა პარლამენტის უპასუხისმგებლო დეპუტატი და მოსკოვის საქალაქო ტელეფონის ქსელის აბონენტი. რაც უნდა ის ილაპარაკოს, ისიც კი სთქვას თუ უნდა, რომ თითქოს ჩინეთში არ უყვართ ინგლისელები. მაგრამ რათა აქვთ ნაცნობობა ამ ბუნტოვშჩიკთან და ცეცხლის წამკიდებელთან საბჭოთა მთავრობის ორგან წევრებს. ჩემს განკარგულებაში არის ნამდვილი სურათი, სადაც კომინტერნის ამ მრისხანე მოღვაწესთან მშვიდობიანად საუბრობს, თქვენ გგონიათ ვინ, — თვით საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე რიკოვი.

თქვენ იტყვით, რომ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრიც კი არის გადაღებული ხელი-ხელ ჩაკიდებული ინგლისის ფაშისტების ბელადთან, უკიდურეს შავრაზმელ ლოკერ ლემპსონთან. მერე რა ვუყოთ, ძვირფასო ამხანაგებო. იქ ინგლისია, აქ კი რუსეთი. ჯერ კიდევ მცხოვანმა ანტონ ჩეხოვმა თავის ნაწერების სრულ კრებულში საფუძვლიანად აღნიშნა ჩვენი ქვეყნის შესახებ:

„ეს შენ ინგლისი ხომ არ გგონია", რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო.

„საკავშირო ცაკის უწყებების" საქციელი მე პირდაპირ არ მესმის, გაზეთს უცლიან და აფუჭებენ. გადასახადებისაგან განთავისუფლება ის კი სიხარულად მიიწევს და პატივცემულ მინისტრებს შეურაცყოფს.

რამდენჯერ ველაპარაკე „იზვესტია"-ს კარიკატურისტს:

„რა არის ეს ჩემო ძმაო, რომ გადაეკიდე ამ უცხო ვაჟკაცებს. განა ცოტა გაქვს შინაური თემები? აგარაკი დაგეხატა ან სიდედრი, სიდედრი აგარაკზე, აგარაკი სიდედრზე. რამდენი მტკივნეული საკითხებია მიმდინარე მომენტის დღის წესრიგში! დაგეხატა რიგი კოოპერ. წინ, საბინაო ამხანაგობა, ჩიტები, ხვეიხები. შენ კი გადაჰკიდებიხარ ამ უცხოელებს და მოსვენებას არ აძლევ. ინგლისს გინდა აწყენინო. ამ ერთი იფიქრე ვის უბედავ ამას!"

არ დამიჯერა, გამოჰხატა კარიკატურა. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ—ლიტველ კომუნისტებს ახრჩობენ, ჩემბერლენი კი ტაშს უკრავს! გავებით ხათაბალაში. ახლა ბოდიში უნდა მოვიხადოთ და ამ მიზნით სურათი დავხატოთ პირიქით: ლიტველი კომუნისტები ტაშს უკრავენ, ჩემბერლენს კი...

— მმ...

კიდევ ბევრი საბუთი მოჰყავს ჩემბერლენს. თითეული სტრიქონიდან სჩანს, რომ კაცი გულით ლაპარაკობს და არა ისე, ჰაერზე. ეჭვს გარეშეა, შეურაცყოფილია მინისტრი. საწყენი აქ არაფერია. ადამიანურათ უნდა ვიგრძნოთ ეს და ვაპატიოთ.

მ. კოლცოვი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

თბილისის საბჭოების მეექვსე ყრილობა

პირველი სხდომა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს, 25 თებერვალს, დღის 12 საათზე, ოპერის თეატრის შენობაში გაიხსნა თბილისისა და მისი მაზრის საბჭოების მეექვსე ყრილობა.

ამხ. სუხიშვილის სიტყვა

ყრილობა გახსნა ამხ. **ლადო სუხიშვილმა**, რომელმაც თბილისისა და მისი მაზრის მუშათა და გლეხთა წარმომადგენლებს შემდეგი სიტყვით მიმართა: თბილისისა და მისი მაზრის საბჭოთა მეექვსე ყრილობა იხსნება დიდ ისტორიულ მომენტში: იგი ხვდება საქართველოს გასაბჭოების მეექვსე წლის თავს. ექვსი წელია, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს და საჭიროა მოკლედ გავითვალისწინოთ ყველაფერი ის, რაც ამ ხნის განმავლობაში გაკეთებულა. უმთავრესი და პირველი, რასაც ჩვენ საქართველოს პირველ წლებშივე მივაღწიეთ, ეს არის ეროვნული საკითხის მოწესრიგება. საქართველოში მცხოვრებთა ერთა შორის ძმურ ურთიერთობის დამყარება; რაც ჩვენი შემდგომი აღმშენებლობის წინასწარ პირობას წარმოადგენდა. მხოლოდ ამ საკითხის მოგვარების შემდეგ შესაძლებელი გახდა იმ დიდი მშენებლობის დაწყება ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე, რომელიც შეუწყვეტლივ სწარმოებდა განვლილ ექვსი წლის განმავლობაში.

ამ მუშაობის შედეგად ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები: მრავალი ახალი ფაბრიკა - ქარხნები და უდიდესი ჩვენი სიამაყე—ზაჰესი, რომელიც უკვე დამთავრებულია და ამ მოკლე ხანში ამუშავდება. აღმშენებლობა მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება. მუშათა და გლეხთა დაუშრეტელი ენერგია შესძლებს ყველა იმ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვას, რომლებიც ჩვენს შემოქმედებას ელობება წინ.

ჩვენს მუშაობას მშრომელი ხალხის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვერ შეაფერხებენ ჩვენი მტრები, რომელთაც მოსვენებას არ აძლევს ჩვენ მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი. მშრომელი ხალხის მტრები არ ისვენებენ და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში გააძლიერეს სამტრო კამპანია ჩვენს წინააღმდეგ. ისინი ემზადებიან შემოტევისათვის. მაგრამ, როგორც წარსულში, ისე ეხლაც, ფუჭად ჩაივლის მათ მიერ ჩვენდა დასამხობად მომართული ცდა. მათ შემოტევას უშიშრად და შეუპოვრად მოიგერიებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა გაერთიანებული ნებისყოფა.

ამხ. ლადო სუხიშვილის სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში და ინტერნაციონალის ხმები.

ყრილობის პრეზიდიუმი

კომფრაქციის წინადადებით ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: მ. ცხაკია, კახიანი, ელიავა, ქართველიშვილი, სუხიშვილი, ივანოვ - კავკასკი, ბოლქვაძე, ასრიბეკოვი, სვანიძე, ლევანდოვსკი, თხილავა, ყურულაშვილი, ბერია, სალუქვაძე, ორახელაშვილი, ჯაფარიძე ვარო, შავერდოვა, რატნეკი, ალნიაშვილი, ალიტაგი-ზადე, დარახველიძე, ქავთარაძე, ფანცულაია, ტერ-ვართანოვი, ბურდული, შარაკელი, დემეტრაშვილი, სულავა, არაშკენი, შიოშვილი, ბულგაკოვი, იაგჯიანი, დევდარიანი, პროფ. მელიქიშვილი, პროფ. ნუცუბიძე, ლომთათიძე, ამირხანოვა, ბაირამოვი, პრიუხოვსკი, ანუსია ანტ., ორმოცაძე, ლორთქიფანიძე, პროფ. კეკელიძე, ხაჩატუროვი, პატარკაცი ნინა.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხანაგები სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, მოლოტოვი, კალინინი, რუძუტაკი, ტომსკი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ენუქიძე, ორახელაშვილი, კლარა ცეტკინი.

მისალმებანი

ბაქოს მუშათა დელეგაციის მისალმება

ბაქოს მუშათა დელეგაციის სახელით ყრილობას ესალმებიან ამხ. ამხ. **გალდინი და აკაევი**, რომელთაც ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით ეგებება.

ბაქოს მუშებმა, — განაცხადა ამხ. გალდინმა, — საჭიროდ სცნო თქვენს ყრილობაზე საგანგებო დელეგაციის გამოგზავნა იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ის ძმური კავშირი, რომელიც ამიერ - კავკასიის ერთა მშრომელ მასებს შორის არსებობს. მხოლოდ გამუდმებული თავდადებული შრომით მშენებლობის ფრონტზე და ერთი მთლიანი ფრონტით დარაზმულნი საგარეო საფრთხის წინააღმდეგ, შევსძლებთ ჩვენ—საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელნი — მტერთა თავდასხმის მოგერიებას.

ამხ. გალდინის სიტყვას და ამხ. აგაევის მიერ თურქულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვას ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება.

ყრილობის პრეზიდიუმის წინადადებით ბაქოს მუშების წარმომადგენელნი შეყვანილი არიან პრეზიდიუმში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მისალმება

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართველ მეცნიერთა სახელით თბილისის საბჭოთა ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართავენ პროფ. **შალვა ნუცუბიძე** და პროფ. **ან. რაზმაძე**.

არც ერთს ხელისუფლებას, — განაცხადა პროფ. ნუცუბიძემ, — იმდენი ყურადღება და თანაგრძნობა არ გამოუჩენია საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლებას. კერენსკის მთავრობა ყოველი ღონით ცდილობდა შეეფერხებინა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, ხოლო მენშევიკური ხელისუფლება ქართული უნივერსიტეტის არსებობისადმი იჩენდა გულგრილობას. მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება დაინტერესდა ქართული მეცნიერების კერით და ახლო მივიდა მის საჭიროებასთან. ამ დაინტერესებას მუშათა მთავრობა იჩენს არა მხოლოდ უკანასკნელ წლებში, არამედ მისი არსებობის პირველ დღიდანვე. საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობა და ყურადღება ქართული უნივერსიტეტისადმი თანდათან უფრო იზრდება და მტკიცდება. ეს მოვლენა ბუნებრივი არის, რადგან ქართული უნივერსიტეტის მომავალი დაკავშირებულია იმ ხელისუფლების და იმ მშრომელთა მომავალთან, რომელთა შვილები იზრდებიან და სწავლობენ ქართ. უმაღლეს სასწავლებელში.

პროფ. რაზმაძე ესალმება რა ყრილობას, ქართველ მეცნიერთა და უნივერსიტეტის სახელით, ამბობს, რომ საქართველოს უნივერსიტეტი დიდი ხანი არ არის რაც არსებობს, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში იგი ისე გაიზარდა და განმტკიცდა, რომ მისი მნიშვნელობა ცილდება არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის ფარგლებს. ასეთი მიღწევები აიხსნება იმ დიდი გატაცებით, რომელსაც იჩენდენ ჩვენი მეცნიერების მუშაკნი უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე. მეცნიერება საერთაშორისოა, მას არა აქვს საზღვრები; ყოველ ერს მეცნიერებაში შეაქვს თავისი წვლილი. ქართული უნივერსიტეტიც მოწოდებულია განამტკიცოს მეცნიერება ეროვნულ ნიადაგზე. მისმა ხანმოკლე არსებობამ დაამტკიცა, რომ მას სამისო უნარი შესწევს. ამჟამად ქართ. უნივერსიტეტის წინაშე სდგას პრაქტიკული ხასიათის ამოცანები. საბჭოთა ხელისუფლება მიზნად ისახავს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. საინდუსტრიალიზაციოთ წარმოებულ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ მეცნიერების მუშაკნი. მხოლოდ მეცნიერებისა და შრომის დაკავშირებით შეიძლება ამ დიდი ამოცანის წარმატებით შესრულება.

ვუსურვებ ქართველ ხალხსა და მის წარმომადგენლებს ამ მჭიდრო კავშირს მეცნიერებასა და შრომის შორის ქვეყნის საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლად.

ყრილობა უნივერსიტეტის წარმომადგენელთა სიტყვებს აღფრთოვანებით ხვდება.

სხვა მისალმებანი

შემდეგ ყრილობა ისმენს ექიმთა წარმომადგენელ ლორთქიფანიძის სიტყვას. ყრილობას მიესალმენ აგრეთვე პირველი რაიონის მუშათა სახელით ამხ. ს. დოლიძე, თბილისის საყუდის მუშათა სახელით თოდაძე, მეორე რაიონის მუშათა სახელით ვ. ვაშაკიძე, სტამბის მუშათა სახელით დ. ღოღობერიძე, ქართული წითელი ჯარის სახელით ამხ. ტყემალაძე, რკინის-გზის მეათე პოლკის სახელით შავერინოვი, ტყავ - ტრესტის მუშათა სახელით ჩარგიშვილი, წითელი ჯარის სახელით რომენკო, წალკის რაიონის გლეხობის სახელით მარკოზოვი, თურქ-ქალთა სახელით ბაგიროვა და აგრეთვე სხვ.

დასასრულ, ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებს დასკვნა გაუკეთა ამხ. ლ. სუხიშვილმა, რომელმაც სთქვა შემდეგი: ამ სხდომაზე მუშების, გლეხების და ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ წარმოთქმული სიტყვები მოწმობენ, რომ ამ ფენებს შორის დამყარებულია სრული კავშირი და თანამშრომლობა, რომ ჩვენში ფეხს იდგამს და მტკიცდება ნამდვილი საბჭოთა დემოკრატია. დღეს ჩვენთან არიან იმ ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ამ ექვსი წლის წინად არ ჰქონდათ რწმენა, რომ მუშური ხელისუფლება შესძლებდა სახელმწიფოს მართვა - გამგეობას და სამეურნეო მშენებლობას. მე ვფიქრობ, რომ ის, რაც აქ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ეს არის მათი ღრმა რწმენა. ამ რწმენით კი, ერთმანეთთან ხელი ხელ ჩაკიდებული, ჩვენ შევსძლებთ ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვას და ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღორძინებას. (ტაში).

ამხ. სუხიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ თავდება ყრილობის პირველი სხდომა.

მეორე სხდომა

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

დღევანდელი მომენტი,— დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. მახარაძემ,—მეტად საყურადღებოა არა მარტო შინაური მდგომარეობით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის მხრივაც. მარტო ის რად ღირს, რომ დღეს გამოქვეყნდა ინგლისის საპროტესტო ნოტა საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ მივადექით გარდატეხის მომენტს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს გარდატეხა არ არის ის, რომელზედაც ოცნებობენ ჩვენი მტრები და უცხოეთში გადახვეწილი მენშევიკები. საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში დგება ახალი პერიოდი, იწყება ქვეყნის მეურნეობის აღორძინება არაჩვეულებრივი ტემპით. სწორედ ქვეყნის აღორძინების საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე სდგას მეტად საყურადღებო ამოცანები, რომელსაც მე მინდა შევეხო ჩემს მოხსენებაში.

საბჭოთა არჩევნები

პირველ ყოვლისა, ამჟამად ყურადღებას იქცევს საბჭოთა გადარჩევის კამპანია, რომლისაკენაც არის მიპყრობილი მთელი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება. წელს მეორედ ტარდება არჩევნები, ფართე საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებზე, რომლის მიზანიც არის მშრომელთა მასები გახადოს საბჭოთა მართვა-გამგეობის აქტიური მონაწილე და საბჭოთა მეურნეობის უშუალო მშენებელი. საარჩევნო კამპანიის მიზანია, რომ საბჭოები გარდაიქცენ ნამდვილ სახელმწიფოებრივ ორგანოებად, რომელიც დაემყარება მუშებისა და გლეხების თვითშემოქმედებას. რასაკვირველია, ერთბაშად პირველ ხანებში,—ძნელია უნაკლოდ ჩატარება საარჩევნო კამპანიის, რომელიც ასე დიდ ამოცანებს ისახავს მიზნად, მაგრამ წრევანდელი არჩევნები, რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა, გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული. შარშანდელთან შედარებით, გადიდებულია, როგორც მუშათა და გლეხთა, ისე მუშა გლეხ ქალთა მონაწილეობა არჩევნებში. წელს, მუშათა დასწრება საარჩევნო კრებაზე უდრიდა 90 პროც. მასების ასეთი ფართე მონაწილეობა არჩევნებში მოწმობს იმას, რომ ჩვენში მტკიცდება საბჭოთა დემოკრატია, რომელიც საწინდარია ჩვენი სახელმწიფო მართვა-გამგეობის გაჯანსაღებისა და გაუმჯობესების.

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან

ჩვენი სახელმწიფო მმართველობის აპარატს კი მრავალი ნაკლი აქვს და მათ შორის, პირველია ბიუროკრატიზმი, რომლის წინააღმდეგ დიდი ხანია სწარმოებს ბრძოლა და, რომლის წინააღმდეგ პირველად ბრძოლა დაიწყო ჩვენმა ბელადმა ლენინმა. როგორც ლენინი ამბობდა, საბჭოთა კანონმდებლობა იძლევა ყოველგვარ საშუალებას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩვენი ვალია, გამოვიყენოთ ეს კანონები. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა ახალი მეთოდებით: ბრძოლა მასის ფართო მონაწილეობით. საჭიროა არა ერთდროულად, ერთბაშად შეტევა, არამედ ხანგრძლივი გამუდმებული ბრძოლა. ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს მასების სათანადოდ აღზრდას, რადგან ცნობილია, რომ ბიუროკრატიზმი იკიდებს ფეხს იქ, სადაც ხალხი ბნელია და უცოდინარი; მხოლოდ გათვითცნობიერებულ ხალხს შეუძლია კონტროლი გაუწიოს თავის ორგანოებს, მიუთითოს ამა თუ იმ გამაუმჯობესებელ და ნაკლოვანების აღმომფხვრელ ღონისძიებებზე. ბიუროკრატიზმი, რომელიც აფერხებს ჩვენს წინსვლელობას, მრავალი სახით იჩენს თავს. მაგალითად, ჩვენში ხშირად იწყება ისეთი დიდი საქმეების კეთება, რომლის დამთავრების საშუალება და უნარი ამ საქმის დამწყებლებს არ შესწევთ. როდესაც საქმე პასუხისმგებლობაზე მიდგება, მასზე ყველა უარს აცხადებს. ასე უთაოროდ დაწყებული საქმეები ძალიან ვნებას აყენებს ჩვენს საერთო მშენებლობას. მეორე ნაკლი, რომელიც მზის სინათლეზე უნდა იქნეს გამოტანილი, არის ჩვენში გავრცელებული უფლების გადაჭარბება. ზოგიერთი მუშაკი ითვისებს ზედმეტ უფლებებს, ბოროტად ხმარობს მათ, და ამით არღვევს სახელმწიფოს ნორმალურ, გეგმაშეწონილ მუშაობას.

ბიუროკრატიზმის დამახასიათებელია აგრეთვე აპარატის სირთულე, გაზვიადება, რომელიც არ აკლია ჩვენს დაწესებულებებს. უთვალავი ინსტანციები, სადაც კიდევ მაგრად ბუდობენ წინანდელი ხელისუფლების დაძველებული წესები, ბორკავენ ჩვენს საქმიანობას, სწორედ ამ ინსტანციების შესამცირებლად —პარტიის უკანასკნელი გადაწყვეტილების თანახმად. მიღებულია ზომები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ისეთ დაწესებულებათა რიცხვი, რომელთაც არ აქვთ წარმოებითი ხასიათი. ამ საშუალებით დაზოგვილ თანხებს ჩვენ მოვახმართ ჩვენი მეურნეობის საჭიროებას.

ჩვენი უმთავრესი ამოცანა

ერთი უდიდესი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას ამჟამად, არის ფასების შემცირება, რომლის შესახებ დიდი ხანია გამოტანილია გადაწყვეტილება მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არ გატარებულა. ამ გარემოების მიზეზი არის ერთი მხრით,—სათანადო დაწესებულებების უყურადღებობა ამ საკითხისადმი და მეორე მხრით, სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანოების გატაცება მოგებით. საჭიროა, ჩვენი სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოები არ გათამამდენ მონოპოლიური მდგომარეობით და განსაზღვრონ თავიანთი მოგება, რომელიც ხშირად 300—400 პროცენტს აღწევდა. ფასების შესამცირებლად ერთი უებარი საშუალება არის მოსპობა იმ შუამავალ სავაჭრო დაწესებულებების, რომელნიც არსებითად არაფერს არ აკეთებენ, და მხოლოდ სხვის ნაამაგარს ითვისებენ. ჩვენი მრეწველობის ნაწარმოები მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება მასისათვის მისაწვდომი, თუ მას ჩამოშორდება ზედმეტი ბარგი ამ შუამავლების სახით, გაიაფდება საქონელი, და ჩვენს სავაჭრო დაწესებულებებში განმტკიცდება ვაჭრობის მარტივი, — ფართო მასისათვის მისაღები წესები.

ინდუსტრიალიზაციისაკენ თუ აგრარიზაციისაკენ

იმ მნიშვნელოვან ამოცანებს შორის, რომელიც ამ მიმდინარე პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. ამას წინად მენშევიკების ერთ-ერთი ორგანო ამტკიცებდა, რომ საბჭოთა მრეწველობის განვითარება შეჩერდა: ხდება ქვეყნის არა ინდუსტრიალიზაცია, არამედ აგრარიზაცია, ე. ი. საბჭოთა ქვეყანა მიწის მეურნეობის ქვეყნად გადაქცევაო. მართალია, ეს მოსაზრება? ამას ამტკიცებს შემდეგი ციფრები: 1923—26 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ზრდა უდრიდა 52 პროც., ხოლო მრეწველობის—119 პროც. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა სამრეწველო ქვეყანაა, მაგრამ უკანასკნელი წლებში წარმოებული მშენებლობა უმთავრესად მიზნად ისახავს მრეწველობისათვის მკვიდრი საფუძვლის ჩაყრას. აბრეშუმის, ბამბის, ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხნები, რომელიც უკანასკნელ წლებში აგებული იქნა, წარმოადგენენ ჩვენი საქალაქო მრეწველობის განვითარების პირველ საფეხურს. ამჟამად სწარმოებს მუშაობა მაუდის დიდი ქარხნის ასაგებად თბილისში, ქაღალდის ფაბრიკის მოსაწყობად მდ. ზნიზზე, ნავთის დასამუშავებელი ქარხნების ასაგებად ბათომში, დიდი ელექტრო - სადგურის მოსაწყობად მდ. რიონზე, ცხადია, ეს ღონისძიებები აღორძინებს ჩვენს მრეწველობას, გაამრავლებს სამრეწველო მუშათა რიცხვს, და ამით მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობას.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად ნაკლები ყურადღება არ ექცევა ჩვენ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ნაკლებ შემოსავლიან კულტურების ნაცვლად ჩვენ ხელს უწყობთ ძვირფასი კულტურების: — ჩაის, ბამბის, აბრეშუმის, თამბაქოსა და ჭარხლის გავრცელებას. ამ კულტურების განვითარება საფუძველს წარმოადგენს ჩვენი საქალაქო მრეწველობის განსავითარებლადაც. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ჩაის კულტურას, რომელიც ერთი სპეციალისტის თქმით, საქართველოსთვის ოქროს მადანს წარმოადგენს. ამჟამად ამ მცენარით ჩვენში დათესილია 500—600 დესეტინა. ჩვენი გეგმით ამ 4—5 წლის განმავლობაში ჩაით გაშენებული პლანტაციები აყვანილი უნდა იქნეს 15—20 ათას დესეტინამდე. საამისოდ თანხები და სხვა საშუალებები უკვე გამონახულია და, თუ თესლის უქონლობამ არ დაგვაბრკოლა, ეს გეგმა აუცილებლად განხორციელებულ იქნება.

რომ დაძლეული იქნეს ის—მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც სათესი მიწის სივრცის ნაკლებობის სახით ელობება ჩვენს სასოფლო მეურნეობას, ჩვენი ხელისუფლება ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ჭაობების ამოსაშრობად ურწყავ და მწირ ადგილებში სარწყავ არხების გასაყვანად და სხვ.

სახალხო განათლების ფრონტზე

არა ნაკლები მუშაობა სწარმოებს სახალხო განათლების ფრონტზე. ჩვენ შევძელით ამ დარგში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაგვედგა წინ, გავხსენით სულ ახალი ტიპის სკოლები. საფაბრიკო- საქარხნო სასწავლებლები, მუშათა ფაკულტეტები, გლეხური ახალგაზრდობის სკოლები, რომელნიც თავისი მეცადინეობით და მუშაობით მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ჩვენი ხალხის ყოველდღიურ საქმიანობასთან. ამ სკოლათა საშუალებით მოკლე ხანში ჩვენ გვეყოლება ახალი თაობა, რომელიც ახალგაზრდული გატაცებით,ცოდნითა და ენერგიით ჩაებმება დიდ სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძე გადადის საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვაზე, და ამბობს:

ბურჟუაზიის ქვეყნების პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ქმნის ინგლისი, რომელმაც გუშინ ჩვენ გამოგვიგზავნა საპროტესტო ნოტა. ეს ნოტა მშვენივრად გამოხატავს ყველა ბურჟუაზიული ქვეყნების სულისკვეთებას დიდი ხანია, რაც ინგლისში სწარმოებს კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იმ ნოტით ინგლისის ლორდები უკვე აშკარად ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ. რას გვეუბნებიან ისინი ჩვენ? ისინი ამბობენ, თითქოს, ჩვენ ვარღვევდეთ 1921 წ. დადებულ ხელშეკრულებას, თითქოს, ჩვენ ხელს უწყობდეთ განმანთავისუფლებელ მოძრაობას,თითქოს, პროპაგანდას ვაწარმოებდეთ მათ ახალშენებში. მათ არა აქვთ არავითარი საბუთი, რომ დაგვიმტკიცონ ზემოწამოყენებული ბრალდებები. მაგრამ ეს არ არის მიზეზი მათი გულისწყრომისა. მიზეზი უფრო ღრმაა და საფუძვლიანი. მათ მოსვენებას არ აძლევს არსებობა ისეთი კავშირის, რომელიც მარტო თავისი არსებობით ამხნევებს და სულს უდგამს მთელი ქვეყნის დაჩაგრულ კლასების და ერების განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

უკანასკნელ დროს ბურჟუაზიულ ქვეყნებს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისს, ბედი ნაკლებად წყალობს. მემაღაროეთა გაფიცვამ მას უდიდესი ზარალი მიაყენა, რომელიც ჯერ არ მოშუშებულა, და განიცდის მისი შედეგების სიმწვავეს. ამას ზედ ერთვის ჩინეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობა. სანამ კანტონის მთავრობა კანტონის ფარგლებს არ გაშორებოდა, ინგლისი კიდევ ითმენდა, მაგრამ როცა ჩინეთის განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ხანკოუს მიაღწია და ყველა ქვეყნის იმპერიალისტების მთავარ საბუდარს — შანხაის მიადგა, ინგლისის იმპერიალიზმს უკვე მოთმინება დაეკარგა. არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირი, ინგლისი აჯანყებულ ჩინეთის წინააღმდეგ ჩაიდენდა მას, რაც არა ერთხელ ჩაუდენია სხვა კოლონიალურ თუ ნახევრად კოლონიალურ ხალხების მიმართ. ის სისხლში ჩაჰკლავდა ამ განმანთავისუფლებელ მოძრაობასაც. ეხლა ამას ვერ იზამს, რადგან არსებობს საბჭოთა კავშირი, რომელსაც გავლენა აქვს არა მარტო ჩაგრულ ერთა მასებზე, არამედ თვით ინგლისის მუშათა კლასზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის არსებობა ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში ინგლისის თავისუფალი ფარფაშის საშუალებას არ აძლევს. აი, რა აწუხებს, რა ალაპარაკებს ინგლისის ლორდებს.

მართლაც, ვისთვის არის დაწერილი ეს ნოტა. საბჭოთა კავშირის დასაშინებლად? ჩვენ კაი ხანია ვიცით ასეთი ნოტების ფასი. როგორც ლიბერალების გაზეთი „დეილი-ნიუზი" აცხადებს, ნოტა მიმართულია სამი სხვადასხვა აუდიტორიისაკენ: ერთი საბჭოთა მთავრობის, მეორე იმ პოლიტიკური წრეების, რომელთაც უკავია ნეიტრალი მდგომარეობა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ჩინეთში არსებულ ყველა გაუგებრობების წყარო „რუსული ინტრიგები", და მესამე შუბლმაგარი კონსერვატორების. ამ ნოტის მთავარი დანიშნულება სწორედ ამ წრეების და, უმთავრესად, შუბლმაგარ კონსერვატორების — ამ „უჭკუო" ხალხის ჩაჩუმებაა. ამ ნოტით ინგლისის მთავრობას სურს იმ ხალხის დაკმაყოფილება, რომელნიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტას, თუ რამდენად უშნოა ინგლისის მთავრობას ჩვენს წინააღმდეგ არა თუ გამოლაშქრების, არამედ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის, მოწმობს ამას წინად გამოქვეყნებული ჩემბერლენის მემორანდუმი, რომელიც წინააღმდეგი იყო ჩვენთან მდგომარეობის გამწვავების იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ნაბიჯი გამოიწვევდა მუშათა მოძრაობის გაერთიანებას ინგლისში. სწორედ ეს მუშათა მოძრაობა უბორკავს ხელს ინგლისს გამოილაშქროს ჩვენს წინააღმდეგ. მათ ეშინიათ პირდაპირ კონფლიქტის და ცდილობენ არა ომით, არამედ ასეთი დაშინებით მიაღწიონ მიზანს. თუ ეს მუქარა არავითარ გავლენას არ ახდენს საბჭოთა კავშირზე, სამაგიეროდ იგი იწვევს ემიგრანტული წრეების გამოცოცხლებას. მათ სულს უდგამს ანტი-საბჭოთა კამპანია, მოელიან რაღაცას, და ემზადებიან საამისოდ. იწყებენ მოლაპარაკებას სხვადასხვა ბურჟუაზიული მთავრობის წარმომადგენლებთან, კრავენ კავშირს ერთმანეთს შორის, აარსებენ ჟურნალებს, თხზავენ გეგმებს და სხვ. მაგრამ მათი იმედი ფუჭია. საბჭოთა კავშირი შესძლებს წარმატებით მოიგერიოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული იერიშები, აშკარად იქნება იგი, თუ ფარული სახით (ტაში).

მესამე სხდომა

თბილისის საბჭოს საქმიანობა

(ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება)

მე მინდა ჩემი საანგარიშო მოხსენება დავიწყო — განაცხადა მომხსენებელმა, — თბილისის საბჭოს მდგომარეობის მიმოხილვიდან, რომ ამით საშუალება მივცეთ თვითეულ საბჭოს წევრს წარმოდგენა იქონიოს იმაზე, თუ რა ავლა-დიდება იყო თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში და რა თანხებით შეეძლო მას ქალაქის სხვადასხვა საჭიროებათა დაკმაყოფილება. 1925—26 წლის ბიუჯეტის ჯამი გამოიხატა 23.084.324 მანეთში. ეს თანხა განაწილდა შემდეგნაირად: ქალაქის და მისი საჭიროებათათვის გადაიდო 11.438.000 მანეთი. დანარჩენი 10.710.000 მანეთი, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ბანკებიდან სესხის სახით, მოხმარდა ზემო-ავჭალის სადგურს და სხვა მშენებლობას. ამგვარად თბილისის აღმასკომის განკარგულებაში იყო მხოლოდ 11.432.000 მანეთი, რომელიც პროპორციულად განაწილდა ქალაქის მაზრისა და თემებს შორის.

ფინანსიურ მდგომარეობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ მომხსენებელი გადადის ქალაქის კეთილმოსაწყობად წარმოებულ მუშაობაზე. საანგარიშო წლის განმავლობაში კეთილმოწყობის განყოფილებას აღუდგენია და მოუკირწყლავს ძველი დანგრეული ქუჩები, რომლის საერთო სიგრძე უდრის 23.445 კვადრ. საჟ., გაუყვანია აგრეთვე კანალიზაცია 3.921 კვადრ. საჟენზე. აღუდგენია ძველი და გაუშენებია ახალი ბაღები. თბილისის გარშემო მდებარე გორებზე გაუშენებია ტყე 70 დესეტინის მანძილზე და სხ.

გადადის რა საბინაო აღმშენებლობაზე მომხ. აცნობს იმ ღონისძიებებს, რომელიც აღმასკომს მიუღია საბინაო ფონდის გასადიდებლად. აღმასკომი ერთი მხრით იღებდა ზომებს არსებული საბინაო ფონდის დასაცავად, ხოლო მეორე მხრივ, — აწარმოებდა მუშაობას ახალი საბინაო არეს შესაქმნელად. ქალაქის აღმასკომს მის უწყებაში მყოფ სახლების აღსადგენად და შესაკეთებლად სამი წლის განმავლობაში დაუხარჯავს მილიონი მანეთი. საბინაო ამხანაგობებს 400 ათასი მანეთი, კერძო სახლის მცხოვრებლებს 500.000 მანეთი. რაც შეეხება ახალი სახლების მშენებლობას, აღმასკომის მიერ აგებულია 28 სრულიად ახალი სახლი, კოოპერატიულ ამხანაგობებისაგან 43 სახლი. სახლების აგებას განაპირა უბნებში აწარმოებდენ აგრეთვე კერძო მოქალაქეები, უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კომუნალურ წარმოებებს და პირველად ჩერდება ტრამვაიზე. 1924—25 წელს მუშაობდა სულ 109 რონოდა, ძველი ვაგონების შეკეთებით და გაახლებით ვაგონების რიცხვი 1925—26 წლისათვის 145-მდე ავიდა. გარდა ამისა შეკვეთილია ახალი რონოდები, რომელსაც წელს მივიღებთ. 1925 წელს ტრამვაის რკინისგზის სიგრძე უდრიდა 42 ვერსს, ხოლო 1925—26 წლისათვის ტრამვაის ხაზი გაფართოვდა 54 ვერსამდე. ამასთან ერთად გაიზარდა ტრამვაის შემოსავალი. თანაბრად შემოსავლისა გაიზარდა გასავალიც, რომელიც, მეტწილად ხმარდებოდა თვით ტრამვაის მეურნეობის საჭიროებას. ტრამვაის მეურნეობის გაუმჯობესებასთან ერთად უმჯობესდებოდა ტრამვაის მუშათა ნივთიერი მდგომარეობა.

ასეთივე დიდი მუშაობა ჩაატარა კომუნალურმა განყოფილებამ წყალსადენის აღდგენის საქმეში. გაიზარდა როგორც აბონენტთა რიცხვი განაპირა რაიონებში წყალსადენის ქსელის გაყვანის გამო, ისე თვით მიწოდებული წყლის რაოდენობაც. ამჟამად არსებული წყალსადენი უკვე ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას, დეფიციტი უდრის 1.400.000 ვედროს. ამიტომ თბილისის საბჭომ დასვა საკითხი ახალი წყალსადენის გამოყვანის შესახებ, რომელიც წინასწარი ანგარიშით, 8 მილიონი მანეთი დაჯდება. ხარჯები წინასწარი მუშაობის საწარმოებლად უკვე შეტანილია მიმდინარე წლის ბიუჯეტში, სწარმოებს სათანადო პრაქტიკული მუშაობაც ამ მიმართულებით.

წარმატება ეტყობა ქალაქის ელექტრო-სადგურებსაც, რომელთა რიცხვი 1924—25 წელს უდრიდა 16-ს, ხოლო სიმძლავრე 4.084 ცხენის ძალას. თუ 1924—25 წელს ამ სადგურების მიერ გაცემული ენერგია 2.826.940 კილოვატ-საათს უდრიდა, 1924—25 წელს იგი შეადგენდა 3.038.455 კილოვატს. ნაყოფიერებასთან ერთად იმატა აგრეთვე შემოსავალმაც. და ამასთან დაკავშირებით, მუშათა ხელფასმაც.

რაც შეეხება აბანოებს, იქ ასეთი მდგომარეობა არის: 1924—25 წლის განმავლობაში იქ უბანავია 1.208.088 კაცს. თვითეულ მცხოვრებზე წელიწადში ოთხი ბანაობა მოდის, რაც მეტად მცირედ უნდა ჩაითვალოს. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ქ. აღმასკომი მიზნად ისახავს გაადიდოს აბანოების ქსელი, რომელიც უნდა გავრცელდეს განაპირა უბნებში.

წელს აღმასკომმა პირველად მოჰკიდა ხელი ადგილობრივი მრეწველობის საქმეს. გასულ წელს აღმასკომს გადმოეცა აგურის ქარხნები, რომელმაც 1924—25 წლის განმავლობაში დაამზადეს 8 მილიონი აგური, ხოლო 26 წელს კი 18 მილიონი. გარდა ამისა, აღმასკომის ხელში გადმოვიდა სხვა სამრეწველო წარმოებანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იმ მხრით, რომ ადიდებენ აღმასკომის შემოსავალს.

შემდეგ მომხსენებელი ყრილობას აცნობს თბილისის ბანკის მუშაობას, რომელიც შემდეგში გამოიხატა: ბანკი ყოველგვარ დახმარებას უწევდა სახელმწიფო ვაჭრობას, მრეწველობას და უფრო მეტად კი კომუნალურ მეურნეობას. 1926 წელს სახელმწიფო დაწესებულებებს მიუღიათ მისგან 2.162.000 მანეთი სესხი. კომუნალურ მეურნეობასა და საბინაო მშენებლობას 4.965.000 მანეთი, კოოპერაციას 910.000 მანეთი, საგრძნობლად შეუმცირებია ბანკს სესხის გაცემა კერძო პირებზე. კერძო პირთა დავალიანება 483.000 მანეთიდან დასულა 83.000 მანეთამდე, ხოლო 1927 წელს კერძო პირებზე სესხის გაცემა კი სრულიად შეწყვეტილი იქნება.

გადადის რა სახალხო განათლების მიმოხილვაზე თბილისსა და მის მაზრაში, მომხსენებელი იძლევა სურათს, თუ რა მდგომარეობაში იყო განათლების საქმე მენშევიკების დროს, და რა მდგომარეობაშია ეხლა.

1919—20 წელში სკოლების რიცხვი უდრიდა 67-ს, 1926 წელს კი 107-ს, 1920 წელს თბილისში 15 ათასი მოწაფე იყო, 1926 წელს კი მოწაფეთა რიცხვი უდრის 39.000. ამ რიცხვში არ შედიან განათლების კომისარიატის უწყებაში მყოფი სასწავლებლები. პირველ დაწყებითი სასწავლებლებში მოხვედრილია მთელი 100 პროცენტი ამ სკოლებისათვის შესაფერ ბავშვებისა. რაც შეეხება მაზრას, იქ მენშევიკების დროს იყო 69 სასწავლებელი, ამჟამად კი არის 160 სასწავლებელი. მოწაფეთა რიცხვი უდრიდა მენშევიკების დროს 3.484, ამჟამად კი უდრის 18.269. თუმც სასწავლებლები რიცხვობრივად გავამრავლეთ, მაგრამ ისინი საჭიროებენ ტექნიკურად კარგ ნიადაგზე დაყენებას. სკოლებს სჭირიათ ხელსაწყოები, სახელმძღვანელოები ფიზიკური კაბინეტები, ინვენტარი და სხვა. ყველა ამ საჭირო საგნებით ჩვენ უნდა ვუზრუნველვყოთ, როგორც ქალაქის, ისე მაზრის პირველი და მეორე საფეხურის სკოლები.

ჯანმრთელობის დარგში გვაქვს ასეთი სურათი: სამკურნალო განყოფილებას აქვს 4 საავადმყოფო, სადაც დახმარება მიუღიათ 14.328 მწოლიარე ავადმყოფს და 6.081 ამბულატორიულ ავადმყოფს. ამ რიცხვში არ შედიან დაზღვეულები, რომელნიც ღებულობენ, როგორც უფასო საექიმო დახმარებას, ისე უფასო სამკურნალო წამლებს. ამბულატორიებში გაუვლია სულ 1.135.190 მოქალაქეს. ამასთან ერთად მუშაობს 27 აფთიაქი, რამოდენიმე დისპანსერი, რომელნიც წინასწარ პროფილაქტიურ მკურნალობას აწარმოებენ. თბილისის მაზრაში კი მოქმედობს ხუთი საავადმყოფო, 11 აფთიაქი და 23 საექიმო პუნქტი და სხვა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სადგილ-მამულო განყოფილების მუშაობას. თბილისის მაზრაში მოწყობილია სულ 10 აგრონომიული პუნქტი. 1924—25 წელს გლეხობას დაურიგდა 462 სამეურნეო მანქანა, 312.000 დამყნილი ვაზი, 123.000 ხილის ნამყენი და სხ. სავეტერინარო დახმარების დარგში საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატით აცრა 50.000 სულს. აცრა მიმდინარე წელსაც გავრცელდება.

კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მიწად-მოწყობის საქმეს, რომელიც ხშირად მოისუსტებს.

დასასრულ მომხსენებელი, ეხება რა საბჭოს მუშაობის გამოცოცხლების საკითხს, საჭიროდ სცნობს, რომ საფუძვლიანად გადახალისდეს საბჭოს მომავალი მუშაობა. საამისოდ საჭირო გახდება, რომ საბჭოს წევრებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაში. სწორედ ამ მიზნით არის შეცვლილი სტრუქტურა საბჭოსი, რომელიც თავის წევრს აკისრებს მთელ რიგ მოვალეობებს, რომელსაც იგი გვერდს ვერ აუხვევს.

საბჭოს მომავალი მუშაობის ერთ-ერთი ამოცანას, მომხსენებლის დასკვნით, წარმოადგენს აგრეთვე ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, რომელიც ასე ფეხმოდგმულია თბილისის აღმასკომშიაც. ამ ბიუროკრატიზმის მოსასპობ საუკეთესო საშუალებად მომხსენებელი სთვლის აღმასკომის აპარატის გადახალისებას, მის შევსებას ახალი მუშური ძალებით, რომელნიც გაამარტივებენ და გაადვილებენ დაწესებულებათა მუშაობას (ხანგრძლივი ტაში).

მწერალთა წარმომადგენლები თბილისის საბჭოში

ამხ. ლადო სუხიშვილის მოხსენების შემდეგ სიტყვა ეძლევა ქართველ მწერლობის წარმომადგენლებს თბილისის საბჭოში—პოეტებს ალ. აბაშელს და პაოლო იაშვილს.

ალ. აბაშელი. ამხანაგებო! მე ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ წილად მხვდა მივესალმო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ისეთ მაღალ დაწესებულებას, როგორიც არის თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ყრილობა. მით უმეტეს, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა თბილისის უზენაეს ორგანოში წარმოდგენილია ქართული მწერლობა, როგორც მწერლობა.

ქართველ მწერლებისათვის თბილისი უდრის მთელ საქართველოს და ამიტომ არის ჩემთვის, როგორც ქართველ მწერლისათვის, ასე ძვირფასი ის მანდატი თბილისის საბჭოს წევრობისა, რომლითაც მე დღეს ვარ აღჭურვილი.

ჩვენ თქვენთან ერთად ვიქნებით, ვინაიდან ქართული მწერლობა ყოველთვის იყო საქართველოს მშრომელ ხალხთან და დღეს მეტის სინათლით და სიცხადით ხედავს, რომ მისი განვითარების გზა მჭიდროთ არის გადაჯაჭვული ქართველი მშრომელი ხალხის ბედთან და იმ ტიტანიურ ბრძოლასთან, რომელსაც ის აწარმოებს უკეთესი მომავლისათვის.

ჩვენი აქ მოსვლა არ არის მარტო არჩევნების შედეგი. ჩვენ მას ვსთვლით ქართული მწერლობისადმი ხელისუფლების მხრივ განსაკუთრებითი ყურადღების ფაქტად და მე მოხარული ვარ, რომ დღეს ქართველ მწერლობას ეს ყურადღება საშუალებას აძლევს მთელი თავისი ენერგიით მიიღოს მონაწილეობა თბილისის აღმშენებლობითი მუშაობაში (მხურვალე ტაში).

პ. იაშვილი. ის გარემოება, რომ ქართულმა მწერლობამ თავის წარმომადგენლები აირჩია თბილისის საბჭოში, მოასწავებს იმას, რომ საბოლოოდ დაჰკარგა მნიშვნელობა შეხედულებამ, თითქოს პოეზია გაჩენილი იყოს „მხოლოდ ტკბილი ხმებისა და ლოცვებისათვის". ეს გარემოება ამტკიცებს აგრეთვე იმასაც, რომ ქართული მწერლობა ჩაება საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში. ამხანაგებო! ერთი წლის წინად შესდგა ქართველ მწერალთა კონფერენცია, რომელზედაც საფუძველი ჩაეყარა ნამდვილ კავშირს ჩვენსა და ხელისუფლებას შორის.

ჩვენი მონაწილეობა თბილისის საბჭოს მუშაობაში—არის ამ კავშირის და თანამშრომლობის ერთი მომენტთაგანი.

ამხ. სუხიშვილის ჩინებული მოხსენებიდან ჩვენ გავეცანით, თუ რა გაკეთებულა ამ წლის განმავლობაში, რა დიდი პერსპექტივაა ჩვენს წინაშე გადაშლილი.

ქართულ მწერლობას არ შეუძლია განზე გაუდგეს და გულგრილად უცქიროს იმ უდიდეს მნიშვნელობის შემოქმედებით მუშაობას, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი ცხოვრების ყველა დარგებში და, კერძოთ, ქალაქ თბილისის აყვავების დარგში.

მოხსენებაში აღნიშნული იყო ის დიდი მზრუნველობა და სიყვარული, რომლითაც სავსეა თბილისის საბჭოში და კერძოთ განათლების დარგში მომუშავე ყოველი მუშაკის გული.

ჩვენ, ქართული მწერლობის ორი დეპუტატი, მთელს ჩვენს ენერგიას და ძალღონეს მოვახმართ თბილისის და მისი მაზრის განათლების საქმეს.

ჩვენ არ შეგვიძლია განზე გაუდგეთ აგრეთვე თბილისის კეთილმოწყობის საქმეს. მთელი ჩვენი გემოვნება, ჩვენი ცოდნა, ჩვენი სიყვარული ჩვენ მზათა ვართ გავიღოთ ამ საქმისათვის.

მომხსენებელმა სთქვა აგრეთვე, თუ რამდენ შრომას და ენერგიას ხარჯავს თბილისის საბჭო უსახლკარო ბავშვთა და, საერთოდ, ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ქართველ მწერალთა კავშირს თავის მოვალეობად მიაჩნია აქაც ყოველგვარი დახმარება გაუწიოს თბილისის საბჭოს.

ჩვენ ვეცდებით ხელი შევუწყოთ მუშებისა და თბილისის მაზრის გლეხობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით წარმოებულ მუშაობის წარმატებას.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, პოეტის სიტყვები: „**Поэтом можешь ты не быть, но гражданином быть обязан**". ვრჩებით რა პოეტებად, ჩვენ თქვენს შორის ვიქნებით ღირსეული თანამოქალაქეები. (ხანგრძლივი ტაში).

ცეკას თებერვლის პლენუმის შესახებ

საქ. კ. პ. ცეკას თებერვლის პლენუმისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია პრაქტიკული მიდგომა სამეურნეო პოლიტიკის საკითხებისადმი.

პლენუმის ძირითადი საკითხები იყო: საკითხი კაპიტალურ აღმშენებლობის შესახებ 26-27 წლისათვის, საკითხი საცალო და საბითუმო ფასების შემცირების შესახებ და საკითხი საბჭოების გადარჩევის შესახებ. *) გარდა ამისა პლენუმმა მოისმინა საკითხი საბჭოთა კავშირის 26-27 წლის ბიუჯეტის შესახებ, პარტბიუჯეტის შესახებ და აგრეთვე—ინფორმაცია საერთაშორისო მდგომარეობის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის შესახებ.

თებერვლის პლენუმზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა ტროცკის და ზინოვიევის ოპოზიციის გაკოტრება და მისი დაშლა (ამხ. კ. ნიკოლაევას და ბადაევის განცხადებები). ქვეყნის შინაურ ძალებისადმი რწმენის უქონლობამ და აქედან გამომდინარე პესიმიზმმა.

სამეურნეო აღმშენებლობის უახლოეს პერსპექტივების და ფასების დაკლების შესაძლებლობის შემცდარმა პროგნოზმა პრეობრაჟენსკიმ, პიატაკოვმა და სოკოლნიკოვმა აშკარად განაცხადეს, რომ აუცილებელია ფასების გადიდება) თავის გამოხატულება ჰპოვა ცეკას ამ პლენუმზედაც ამხ. ტროცკის და ზინოვიევის გამოსვლებში. მაგრამ ეს გამოსვლები უკვე აღარ ატარებდა ძველებურ პოლემიკურ ხასიათს, მათში აღარ იყო ის პათოსი, რომელიც ახასიათებდა ოპოზიციის ბელადებს, როცა ისინი პარტიის ცეკას ებრძოდენ. ეს სავსებით ბუნებრივი იყო. ის მდიდარი მასალა, რომელსაც შეიცავს ამხ. კუიბიშევის მოხსენება კაპიტალურ აღმშენებლობის შესახებ და ამხ. მიკოიანის მოხსენება გასაცემ და საცალო ფასების დაკლების შესახებ, მასალა, რომელიც ძირ-ბუდიანათ არღვევს ოპოზიციის არგუმენტებს, მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ცეკას პოზიცია სამეურნეო პოლიტიკის და ფასების პოლიტიკის საკითხებში სავსებით სწორი იყო.

ცეკას პლენუმმა მოიწონა სახკომისარიათა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებებში გათვალისწინებული კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა 1.100.000.000 მანეთის რაოდენობით და ლითონის მრეწველობის და სამანქანო აღმშენებლობის უფრო ჩქარი ტემპის უზრუნველსაყოფად საჭიროდ სცნო ამ კაპიტალურ სამუშაოთა გადიდება, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს დამატებითი რესურსები, როგორც მაგალითად: დამატებითი საზღვარ-გარეთის კრედიტები, გრძელვადიან საშინაო კრედიტის დამატებითი შესაძლებლობანი და თვით ლითონის მრეწველობის საშინაო რესურსების უკეთესად მოხმარების შესაძლებლობანი.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იმ დავალებათა შესრულების შემდეგ, რომლებიც ცეკას პლენუმმა მისცა სათანადო უმაღლეს სამეურნეო ორგანოებს, კაპიტალური აღმშენებლობის საქმე საბჭოთა კავშირში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანათ იქნება წაწეული წინ.

საბითუმო და საცალო ფასების დაკლების საკითხში ცეკას პლენუმის დადგენილება ემყარება ამ პრობლემის გადაჭრის პრაქტიკულ საფუძველს.

პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიის დირექტივები ფასების დაკლების შესახებ არ ტარდება საკმაოდ ცხოვრებაში და საჭიროდ სცნო, რათა ბრძოლას ფასების დაკლებისათვის უფრო კონკრეტიული შინაარსი მისცეს. ამჟამად ჩვენ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა მტკიცე ორიენტაციას დაადგენ ამ საკითხში.

პლენუმის დადგენილება ამბობს: ჩვენი სამეურნეო სისტემაში ფასების დაკლების პოლიტიკა არის ის საშუალება, რომლის წყალობით მუშათა კლასი გავლენას ახდენს თვითღირებულების შემცირებაზე, აიძულებს სამეურნეო ორგანიზაციებს გაადიდონ თავისი პროდუქცია, ატარებს წარმოების რაციონალიზაციას და ამით ქმნის სოციალისტურ დაგროვების ნამდვილ ჯანსაღ წყაროს, რომელიც ასე საჭიროა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმის განვითარებისათვის".

პარტიულ ორგანიზაციებს პლენუმი ავალებს ფხიზლათ ადევნონ თვალ-ყური სამეურნეო ორგანოების მიერ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას ფასების დაკლების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში.

აქ საჭიროა პარტიულ და საბჭოთა საზოგადოებრიობის და ყველა იმ სამრეწველო და სავაჭრო ორგანოების მთლიანი ფრონტი, რომლებიც სისტემატიურად მუშაობენ ფასების დაკლების და თვითღირებულების შემცირებისათვის. აქედან გამომდინარეობს პარტიულ ორგანოების მუშაობის კიდევ უფრო კონკრეტიული ამოცანა. ამ საკითხში პარტხელმძღვანელობა არ უნდა კმაყოფილდებოდეს საერთო მოხსენებებით, აკადემიური თათბირებით. მუშაობამ უნდა მიიღოს სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების მუშაობის და საცალო ფასების დაკლების შესახებ არსებულ დირექტივების კონკრეტიულ შემოწმების ხასიათი.

გარდა ამისა, პარტიამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მუშაკების შერჩევას. პარტიამ თვითეული სამეურნეო მუშაკი უნდა შეისწავლოს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად თავისუფალია ესა თუ ის სამეურნეო მუშაკი ფსიხოლოგიისაგან, რომელსაც „შემცდარი წარმოდგენა აქვს სოციალისტურ დაგროვების ლოზუნგებზე".

ამ მუშაობაში პარტიას განსაკუთრებული დახმარება უნდა გაუწიონ პირველ საფეხურის ორგანიზაციებმა, პარტიულ უჯრედებმა, სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით საწარმოო თათბირებმა. ამ მხრივ საწარმოო თათბირებმა რამდენიმეთ უნდა შესცვალონ თავისი მუშაობა, უფრო კონკრეტული შინაარსი უნდა მისცენ მას ყველა იმ ცვლილებებთან შეფარდებით, რომელთაც ადგილი ექნებათ ფასების დაკლებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

საწარმოო თათბირებმა ყოველივე ღონისძიებები უნდა იხმარონ, რომ მაქსიმალურათ ჩააბან მუშათა კლასი პრაქტიკულ მუშაობაში ფასების დაკლებისათვის და თვითღირებულების შემცირებისათვის. ამ მიმართულებით შეცვლილ უნდა იქნეს აგრეთვე პარტორგანიზაციების მასიური მუშაობა, მუშაობა კლუბებში, ღია კრებებზე და სხვა... საჭიროა, რათა მასებმა საანგარიშო მოხსენებებიდან სისტემატიურად ეცნობოდენ იმას, თუ რა გააკეთა ამა თუ იმ წარმოებამ ან ორგანიზაციამ ფასების დაკლების შესახებ არსებულ დირექტივების შესრულებისათვის. ამ მასიურ მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ პროფკავშირებმაც. დირექტივის შესრულების შემოწმება შეიძლება რეალური იქნეს მხოლოდ იმ შემთხვ. თუ სათანადოთ დაყენებული იქნება კონტროლი. ამ მხრივ ფასების დაკლების საქმეში პარტხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობანი, დაწყებული სათანადო ორგანოებიდან და აპარატებიდან და გათავებული მუშების და გლეხების უბრალო მითითებებით. ასეთი შემოწმება ყველაზედ უფრო სწორ პრაქტიკულ შედეგებს მოგვცემს.

აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას საკითხს ფასების პოლიტიკის შესახებ, ვინაიდან ეს საკითხი საბოლოოთ განსაზღვრავს წარმოების განვითარების პროგრამას და პერსპექტივებს, მაზრის . და მისი პროდუქციის ტევადობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პროგრამას, სოციალისტური დაგროვების პროგრამას, კერძო კაპიტალისტურ დაგროვების შეზღუდვის ფარგლებს, სავალუტო პოლიტიკას და მუშის ხელფასის რეალურ დონეს,—ცეკას პლენუმმა დაადგინა 1 ივნისისათვის ყოველ მიზეზს გარეშე გატარებულ იქნეს საცალო ფასების დაკლება ყველა სამრეწველო საქონელზე, სულ ცოტა 10 პროცენტით მაინც მიმდინარე წლის 1 იანვრის ფასებთან შედარებით.

ცეკას პლენუმმა სავსებით სწორად აღნიშნა, რომ ნამდვილი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და სამრეწველო მეურნეობათა მოწესრიგებამ მჭიდროთ დაკავშირებულია ფასების დაკლების პრობლემასთან, იმიტომ, რომ სწორედ მაღალი ფასები უწყობს ხელს საწარმოო და განსაკუთრებით სავაჭრო აპარატების ბიუროკრატიულ გადამახინჯებას.

ცეკას პლენუმმა უარყო აგრეთვე დიდ მოგებათა პოლიტიკა, ვინაიდან საცალო ფასების არა, საკმაოდ დაკლება კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ და იმავე დროს გადამეტებული მოგებანი წარსული წლის განმავლობაში, უმთავრესად გამოწვეულია კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკების მიერ სოციალისტური დაგროვების ლოზუნგის შემცდარ გაგებით. საჭიროა, რათა სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა ფსიხოლოგიაში მოხდეს მნიშვნელოვანი გარდატეხა. სოციალისტური დაგროვება უნდა სწარმოებდეს არა მაღალი ფასების შენარჩუნების, ან ამ ფასების გადიდების გზით, არამედ სავაჭრო და ზედნადებ ხარჯების სათანადოთ შემცირების გზით, აპარატის რაციონალურად აგების და მომჭირნეობის გატარების გზით.

ამგვარად, ცეკას პლენუმმა ამ საკითხში დასახა პრაქტიკული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ფასების შემცირებას 1927 წლის 1 ივნისისათვის. პარტორგანიზაციების და ფართე მასების აქტივობისაგან და სამეურნეო მუშაკებისა და კოოპერატორების მიერ ცეკას დირექტივების კეთილსინდისიერათ შესრულებისაგანაა დამოკიდებული ნამდვილი მიღწევები ამ საკითხში.

ფასების დაკლების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს აგრეთვე ფართე, ენერგიულმა ბრძოლამ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. და მართლაც, კოლოსალური ზედნადები ხარჯები და დანართები, რომელთა შესახებ ჩვენ გვიყვარს ლაპარაკი, ხოლო მეტად გვიძნელდება მათი თავიდან მოშორება წარმოსდგება იქედან, რომ ჩვენ არ გვყოფნის გაბედულება უფრო—რევოლიუციონურად მივუდგეთ ამ საკითხებს. მაგალითად, ამიერ-კავკასიაში მარტო ქალაქ თბილისში ჩვენ გვაქვს სხვა და სხვა სავაჭრო და სამეურნეო ორგანოების 100-ზე მეტი წარმომადგენლობა. [illegible] ამ წარმომადგენლობას აქვს [illegible] მრავალრიცხოვან [illegible] ამ წარმომად[illegible] დაახლოვებით გვყავს 800 კაცზე მეტი. მათი შენახვა, ორ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ჯდება, მაშინ როცა ისინი მხოლოდ და მხოლოდ გადამცემ ინსტანციების როლს თამაშობენ.

წინად მოროზოვის მანუფაქტურას არავითარი წარმომადგენლობა არ ჰყავდა თბილისში, მაგრამ ის აქ საკმაოდ ასაღებდა თავის მანუფაქტურას, ეხლა კი სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატს ამიერ-კავკასიაში აქვს ათეული განყოფილებები, რომელთა საშუალებით ის მანუფაქტურას აწვდის ჩვენს სახელმწიფო ვაჭრობას და კოოპერაციას, ნაწილობრივ კერძო პირებსაც.

თუ სავსებით ბუნებრივათ ჩავსთვლით, რომ ჩვენი კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას შეუძლიათ უშუალოთ დაუკავშირდენ საფეიქრო სინდიკატს მოსკოვში და გენერალურ ხელშეკრულებების თანახმად მიიღონ სავაჭრო მანუფაქტურა, მაშინ ზედმეტია საფეიქრო სინდიკატის ათეულ წარმომადგენლობების არსებობა ამიერ-კავკასიაში მანუფაქტურის მისაწოდებლად კერძო პირებისათვის. კერძო ვაჭარი, რომელსაც ესაჭიროება მანუფაქტურა, ალბათ გაიკვლევს გზას მოსკოვისაკენ.

სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის წარმომადგენლობა თბილისში თითქმის მხოლოდ და მხოლოდ გადაყიდვას აწარმოებს. ოპერაციები კერძო ვაჭრებთან მისი მუშაობის 70 პროცენტს შეადგენს.

წარმომადგენლობების გაუქმება დადებითი შედეგს მოგვცემს მრეწველობის სათანადო ნაწარმოებებზე ფასების დაკლების საქმეში.

ამ საკითხში არავითარი რყევას არ უნდა ექნეს ადგილი. წარმომადგენლობათა ვაკხანალია უმაღლეს წერტილს აღწევს. ჩვენ შეგვიძლია ჩვენ მკითხველებს დაუსახელოთ მთელი რიგი უაღრესად მახინჯ, სრულიად გაუმართლებელ მოვლენებისა, როგორიც, მაგალითად: თემის თვითეული მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება ცდილობს წარმომადგენლობა იყოლიოს თბილისში. აქ საქმე მიდის ასეთ კურიოზამდე: თბილისში არსებობენ სიღნაღის, ახალციხის, ახალქალაქის, სურამის, დუშეთის, ცხინვალის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებათა წარმომადგენლობანი, ჩრდილოეთ ოსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლობა, ქალ. ოდესის გემო-კვების ტრესტის წარმომადგენლობა და სხვ.

საჭიროა, რათა მუშათა და გლეხთა მა ბოლო მოუღონ ამ უბედურებას. ეს ინსპექციამ და საკონტროლო კომისიებ იქნება რეალური და პრაქტიკული ნაბიჯი ცეკას თებერვლის პლენუმის სისწორით შესრულების საქმეში.

ამგვარათ, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფასების დაკლების საქმეში, წარმოადგენს პირველ ხარისხოვან ამოცანას არა მარტო საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების, არამედ ყველა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში.

და აქ საჭიროა საკითხს მივუდგეთ რევოლიუციონურად, დაუზოგავათ და მოურიდებლად გამოვათრიოთ ყურით თვითეული ბიუროკრატი მიუხედავათ იმისა, თუ რა თანამდებობა უჭირავს მას. იმ აღმაშფოთებელ მოვლენათა ერთ-ერთ მაგალითს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღმოფხვრილი, წარმოადგენს შემთხვევა თბილისის აღმასკომის აპარატში. დარაბაზე ნებართვის მისაღებათ, ამ აპარატში საჭიროა 75 ინსტანციის გავლა. ამის შესახებ ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში თბილისის პარტკონფერენციაზე ამხ. კახიანმაც. როცა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამ საკითხზე მოითხოვა საბუთები იქ აღმოჩნდა ბიუროკრატი, რომელიც შეეცადა დაემალა ეს საბუთები მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის და უარი განაცხადა მათ გაცემაზე ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის ნებართვის გარეშე და მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის ამხ. დოლიძის მიერ ამ ბიუროკრატის პირადათ გამოძახებამ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში გადასწყვიტა დოკუმენტების მიღების საკითხი.

ასეთი აღმაშფოთებელი მოვლენები ჩვენში ალბათ ბევრია და თუ არ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს, ჩვენ ვერასოდეს ვერ დავაღწევთ თავს ბიუროკრატიზმის ჭაობს.

ცეკას თებერვლის პლენუმმა არამც თუ პრაქტიკულათ გადასჭრა სამეურნეო პოლიტიკის და ფასების საკითხები, არამედ ის მოითხოვს, რათა პარტორგანიზაციებმა ეს გადაწყვეტილებები მტკიცედ და ურყევათ გაატარონ ცხოვრებაში. ამ მხრივ მუშაობისათვის იშლება ფართე ჰორიზონტი და ყველა იმათ, ვინც ხელს შეუშლის ამ მუშაობას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს და საბოტაჟს გამოუცხადებს მას, ყველა იმათ, ვინც შეეცდება ნამდვილად არ გაატაროს ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილებები, მათ ჩვენ წარუდგენთ სასტიკ ბრალდებას, მათ მოელით უსასტიკესი სასჯელი.

ა. ნაზარეტიანი.

---

*) საბჭოების გადარჩევის შესახებ მოთავსებული იქნება ცალკე წერილი.

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან—ბრძოლა ფასების დაკლებისათვის

მუშგლეხინის მუშაობის ახალი გეგმა

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების ფურცლებს არ სცილდება საკითხი ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ. უკანასკნელი პარტიული კონფერენციის (1926 წლის ოქტომბერი) გადაწყვეტილებები ამ საკითხს აყენებენ პირველ რიგში. კონფერენციის მთელი ყურადღება მიქცეული იყო ამ ამოცანაზე,—როგორც ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მსვლელობით წამოყენებულ განსაკუთრებულ მოთხოვნილებაზე,—და მის ამ ეტაპზე. ქვეყანამ დაასრულა აღორძინებითი პერიოდი. მიმდინარე წელს გადადგმულია პირველი—და მეტად მნიშვნელოვანი — ნაბიჯი კავშირის ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და გადაკეთებისაკენ მისი ინდუსტრიალური განვითარების მნიშვნელოვან, ძირითად კვანძებში: დნეპრის ჰიდროელსადგურის, სვირის ჰიდროელსადგურის, ვოლგა-დონის არხის, სემირეჩიის რკ. გზის პრობლემა და სხვ.—ეს იმ ინდუსტრიალური გაზაფხულის პირველი მერცხლებია, რომელშიც მხნედ და მტკიცედ გადავიდა ჩვენი რესპუბლიკა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ წინსვლა ეკონომიური მშენებლობის დარგში, დღიდღეობით ნელი, შემდეგში უფრო აჩქარებული გახდება, რაც გამოწვეული იქნება სახალხო-სამეურნეო ცხოვრების საერთო აღმავლობით. ყოველ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ მასთან ერთად იზრდება მასების პოლიტიკური და კულტურული აქტივობის ზრდის პარალელური პროცესი, გაიზრდება ამ მასების მოთხოვნილება და აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობის სურვილი იმ გიგანტიური სააღმშენებლო მუშაობაში, რომელიც წინ გვიძევს ქვეყნის სამეურნეო ამაღლების დარგში. ამ ორ, უდიდესი მნიშვნელობის პირობებში—ეკონომიური მშენებლობის და მასთან დაკავშირებულ მასების კულტურულ-ეკონომიური ზრდის ფაქტის პირობებში—ძირითად ამოცანას წარმოადგენს ის, რომ გამოვძებნოთ და ჩამოვაყალიბოთ სამეურნეო და პოლიტიკური მმართველობის ხელმძღვანელობის ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ჯერ ერთი— **ჩვენი მმართველობის მთელი სისტემის გადაკეთებას და შეთანხმებას დღევანდელი დღის გადამწყვეტ ამოცანასთან — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან**, მეორე—აპარატის ისე გადაკეთებას, რომლის დროსაც მუშაობის ფორმები და მეთოდები შესაძლებელს გახდიდენ სამეურნეო მშენებლობის დარგში (ინდუსტრიალიზაცია) დასმულ ამოცანების სწრაფ და ეკონომიურ გადაჭრას ამ მშენებლობაში მშრომელთა, როგორც მის აქტიურ მონაწილეთა, მაქსიმალური ჩაბმით.

ჩვენი განვითარების დღევანდელ ეტაპს, სამართლიანად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, შეიძლება უწოდოთ გარდამავალი ეტაპი. აი, რატომ აღვნიშნავთ ხოლმე ხშირად და სავსებით სწორად, რომ დასრულდა აღორძინებითი პერიოდი და დაიწყო რეკონსტრუქტიული პერიოდი. მაგრამ, რას ნიშნავს ეს? თუ სერიოზულად დაუფიქრდებით და განვსჯით დღევანდელ ეტაპის ამ მოკლე დახასიათებას, მაშინ ეს ნიშნავს რეკონსტრუქციას არა მარტო ეკონომიკის დარგში, არამედ:

1) ჩვენი ქვეყნის ფართო მასების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა „რეკონსტრუქციას";

2) საკმაოდ საინტერესო და თავისებურ „რეკონსტრუქციას" ამ მასების პოლიტიკურ მოქმედებაში (მასები სხვანაირად არიან დღეს ერთგულნი საბჭოთა ხელისუფლების);

3) „რეკონსტრუქციას" და საკმაოდაც გადამწყვეტს ჩვენი მასიური ორგანიზაციების (პროფკავშირები, საბჭოები, პარტია) მუშაობის მეთოდებში.

4) და ბოლოს, რიგში მდგარ „რეკონსტრუქციას" სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის სისტემის დარგში—იმ დარგში, რასაც ჩვენ, მოკლედ, სახელმწიფო აპარატს ვუწოდებთ.

აი, რეკონსტრუქტიული ამოცანების მთელი ეს სერია დგება ქვეყნის წინაშე, როგორც მისი განვითარების დღევანდელი პერიოდის ცალკე სპეციფიური პირობა.

ასეთია ძირითადი სოციალ-პოლიტიკური ის წინაპირობები, რომლებიც განსაზღვრავენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის ორგანოების მუშაობის შინაარსს. ამ ახალ ამოცანების მიხედვით სავსებით ნათელი ხდება იმ სამუშაო გეგმის ხასიათი, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულ პროგრამას სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის მთელი სისტემის განმარტივებისა და გაუმჯობესების განსახორციელებლად,—ამ სისტემის ბიუროკრატიულ გადამახინჯების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ჩვენ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის ორგანოები, ვისახავთ მიზნად 1926—27 წელში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის ორგანოების 1926—27 წლის სამუშაო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ გამოხატავს ჩვენი პარტიის უკანასკნელ გადაწყვეტილებებს; ამას გარდა, გეგმა თავის-თავად წარმოადგენს საკმაოდ ნათლად შემუშავებულ სამუშაო პროგრამას, სადაც თვალსაჩინოდ არის გამოყოფილი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ის ადგილები, რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებლივ გადახედვას და მკურნალობას. როგორია ეს ადგილები? ძირითადი ადგილია სამი: პირველი—ჩვენი სახელმწიფო აპარატი ურთიერთდამოკიდებულების მთელი სისტემით. დაწყებული ზევიდან და გათავებული დაბალი ადმინისტრატიული უჯრედით; მეორე—სამეურნეო აპარატი და სამეურნეო მმართველობის საკითხები, და მესამე—კოოპერაცია მთელი მისი ქსელით, დაწყებული ხელმძღვანელ ცენტრებიდან და გათავებული სოფლის პუნქტით. ჩვენ აღვნიშნეთ ძირითადი ადგილები, და სრულებით მივატოვეთ გვერდზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები მმართველობის სისტემის გაუმჯობესების დარგიდან, რომლებიც სპეციალურ განხილვას მოითხოვენ. საკმარისია აღვნიშნოთ ანგარიშების ჩაბარების საკითხი, ან და კონტროლის არსებული სისტემის პრობლემა, რომლებიც მათ შესასწავლად და გადასაწყვეტად მოითხოვენ დიდი ენერგიის დახარჯვას. მნიშვნელოვან თავისებურებას პირველ სამ მსხვილი საკითხის დაყენებაში წარმოადგენს მათი ის საერთო ხაზი, რომ ყველა ეს სამი პრობლემა შესწავლილ და გადაწყვეტილ უნდა იქნას ქვედა ორგანოების გადაჭრით განთავისუფლების ხაზით მაღლა მდგომ ორგანოების მზრუნველობისაგან მმართველობის დარგში. მეტი დეცენტრალიზაცია, მეტი ინიციატივა, თვითმოქმედება დაბლა მდგომ „დამოკიდებულ" ორგანოებისათვის; ნაკლები მეურვეობა, ნაკლები უშუალო ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა და დაბალ ორგანოების პირდაპირი მართვა მაღლა მდგომ ორგანოების მიერ. ეს, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, და არც უნდა ნიშნავდეს იმას, რომ დაბლა მდგომი ორგანოები მივანდოთ მათ საკუთარ თავს. სრულიადაც არა! ხელმძღვანელობის საკითხი დღესაც სავსებით რჩება ძალაში. მაგრამ როგორი ხელმძღვანელობის? ოპერატიული, განკარგულებითი, მმართველობითი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაჭრით გადატანილი უნდა იქნას დაბლამდგომ ორგანოებში,--მაღლამდგომ ორგანოებს უნდა დარჩეთ საერთო ხელმძღვანელობის, გეგმიანობის, შეთანხმების და სადირექტივო მითითებების ხელმძღვანელობა. მმართველობის დეცენტრალიზაცია, გეგმიანობის ცენტრალიზაცია—ასეთია გეგმაში გადასაწყვეტად დასმულ საკითხების, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გამარტივებისა და გაუმჯობესების ძირითადი მოთხოვნილება.

ადვილი გასაგებია, რომ ეს ცენტრალური იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალ სამუშაო გეგმას, თავის-თავად სწყვეტს ჩვენი მმართველობის სისტემის მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებს. მმართველობის დეცენტრალიზაცია. სპობს დაბალ მუშაკთა უპასუხისმგებლობას, ამოკლებს საკითხების გატარების და გადაწყვეტის გზას, ანთავისუფლებს დაბლა მდგომ ორგანოებს ზედმეტი ანგარიშიანობისაგან მაღლა მდგომ ორგანოების წინაშე (ამასთან ერთად, ამ ანგარიშიანობაზე დაბანდებულ მუშაკთა განაც), უზრუნველყოფს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისწრაფეს, ქვედა აპარატს უახლოვებს მოსახლეობას და ამ აპარატს ხდის უფრო მოქნილს და ავტორიტეტულს, ანთავისუფლებს ხელმძღვანელ ორგანოებს პროვინციალურ „დომხალისაგან" და, როგორც ყველა ამის შედეგი,—მთელი კბილით აუმჯობესებს და აიაფებს მმართველობის სისტემას.

საბჭოთა აპარატის გამარტივების დარგში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა სამუშაო გეგმა, პირველ რიგში შესასწავლად და დასამუშავებლად აყენებს სამ საკითხს: პირველი საკითხი—ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებებისა და მოვალეობების გადათვალიერება და აგრეთვე სამეურნეო, ადმინისტრატიულ და კულტურულ საკითხების გადაწყვეტის წესის შემოწმება ადგილობრივი ინიციატივის განვითარების მიზნით; მეორე საკითხი—კომისარიატების უფლება-მოვალეობათა საკითხი, ამ უფლება-მოვალეობათა გაფართოვების მიზნით მთავრობის ორგანოების მიმართ და მათ შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულების სისტემის შექმნის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფდეს კომისარიატების უდიდეს თვითმოქმედებას და, მესამე საკითხი—მმართველობის სისტემის საკითხი ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებში, სამმართველო აპარატის მაქსიმალური შემცირებისა და გაცემულ თანხების მოხმარების მიზნით მოსახლეობის სამეურნეო და კულტურულ საჭიროებებზე, რესპუბლიკებისა და ოლქების კონსტიტუციონურ უფლებების შეულახავად.

სავსებით ცხადია, რომ ყველა ეს სამი საკითხი ერთი-მეორესთან მჭიდროთ არის დაკავშირებული. ადგილობრივი ორგანოების, კომისარიატების და ავტონომიურ ოლქებისა და რესპუბლიკების აპარატები—ეს ის ბერკეტებია, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნან დაწმენდილი, შემოწმებული და მოწესრიგებული ადგილობრივი ინიციატივს გაშლის დარგში წამოჭრილ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით. ბიუჯეტის, მეურნეობის, კულტურის, მმართველობის საკითხები—აი პრაქტიკულად მომწიფებულ ძირითად ამოცანების რიგი, რომლებიც გადათვალიერებულ და განხილულ უნდა იქნან უკვე მოძველებულ ნორმების შეცვლის თვალსაზრისით, იმ ნორმების, რომლებიც დღემდე ზღუდავდენ აღნიშნულ ორგანოების სამოქმედო წესს და არეს.

იგივე ამოცანები სდგას სამეურნეო მმართველობის სისტემის გაუმჯობესებისა და გამარტივების დარგში. ჩვენი სამეურნეო აპარატი (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ტრესტები, ქარხნები) ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში. საკმაოდ დამაკმაყოფილებლად შეასრულეს მათ წარმოების და ბაზრის მოწესრიგების წინასწარი ამოცანები. დღეს უკვე დასრულდა აღორძინებითი პერიოდი, რომელთანაც იყვნენ ისინი შეწყობილი. აი, რატომ ხდება დღეს, როდესაც არაჩვეულებრივად გაიზარდა სააღმშენებლო ამოცანები, აბსოლიუტურად ზედმეტი და მავნეც კი ცენტრალური მმართველობის ძველი სისტემა სასტიკი ზედამხედველობით ხელმძღვანელ ცენტრების მხრივ დაბლა მდგომ ორგანოების ((ფაბრიკები, ქარხნები, სახელოსნოები) ოპერატიულ ფუნქციებზე. საჭიროა გადათვალიერებულ და შეცვლილ იქნან „კონსტიტუციური ნორმები" ქვეყნის სამეურნეო განვითარების რეალურ მოთხოვნილებებთან შეფარდებით. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიმართ კონკრეტიულად ეს ნიშნავს მისი აპარატისა და ფუნქციების გადათვალიერებას მმართველობის და ხელმძღვანელობის იმ რგოლების გაუქმების მიზნით, რომლებიც დღევანდელ პირობებში ზედმეტნი ხდებიან და აფერხებენ მეურნეობის განვითარებას. ტრესტების მიმართ ეს ნიშნავს—მმართველობის, დამზადების, მომარაგების, ნაწარმოების გასაღების და წარმოებითი ხელმძღვანელობის დარგში მათი მიმდინარე, ხელმძღვანელი და განმწესრიგებელი მუშაობის გადათვალიერებას და შეცვლას ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის მათი მთელ რიგ საჭირო ფუნქციების გადაცემის მიზნით. ხოლო ქარხნებისა და ფაბრიკების მიმართ—მათი უფლებებისა და მოვალეობათა გაფართოვებას, უპასუხისმგებლობის აღმოფხვრას და მეტი თვითმოქმედების მინიჭებას.

და ბოლოს, უკანასკნელი, საერთო თემა, რომელსაც გეგმაში აქვს დათმობილი ადგილი—ეს არის საკითხი კოოპერატიული მშენებლობის სისტემის (მასთან ერთად სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის სისტემის) საკითხი. პარტიის დირექტივასთან დაკავშირებით, ფასების დაკლების შესახებ, ეს საკითხი ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კოოპერაცია ის ძირითადი აპარატია, რომელმაც პირველ რიგში უნდა შეამციროს თავისი ხარჯები, შეკვეცოს და გააუქმოს ზედმეტი ნაწილები, გაამარტივოს თავისი საქონლის გამტარებელი ქსელი და, როგორც ამ ღონისძიებათა შედეგი, სწრაფად, ზუსტად და რეალურად შეასრულოს მოთხოვნილება ფასების დაკლების შესახებ. გეგმაში საკმაოდ არის აღნიშნული ღონისძიებები კოოპერატიულ ქსელის გასაიაფებლად.

ასეთია საერთო ხაზებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების სამუშაო გეგმა. სავსებით ცხადია, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები ვერ შესძლებენ ჩვენი მმართველობის სისტემის რაციონალიზაციის ამოცანების შესრულებას, თუ არ იქნება საკმაო და გადამწყვეტი დახმარება ჩვენი პარტიული, პროფესიონალური, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების მხრივ. ასევე უაზრო და უნაყოფო იქნება მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის ორგანოების ბრძოლა უკეთ, უფრო იაფი, უფრო მოქნილ და უფრო მგრძნობიერ აპარატისათვის, თუ არ იქნება მუშურ და გლეხურ ფართე მასების დახმარება. ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელმა პლენუმმა, ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათლად გაუსვა ხაზი იმ ორ მომენტს, როგორც ორ აბსოლიუტურად აუცილებელ პირობას იმ ამოცანების განხორციელების საქმეში, რომლებიც თავს იდვეს მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის ორგანოებმა. მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გადავლახოთ საკითხების გადაწყვეტის ვიწროაპარატული ჩარჩოები, სასწრაფოდ გავაუმჯობესოთ მუშაობის მეთოდები, გამოვნახოთ ცოცხალი კავშირი მასებთან, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელებთან და მტკიცედ შევუდგეთ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის ორგანოების წინაშე მდგარ ამოცანების შესრულებას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ.

ს. ასმაროვი.

სავაჭრო ქსელის გამარტივება

თანამედროვე სახალხო მეურნეობის პრობლემათა შორის უდიდესი მნიშვნელობა ფასების შემცირების თვალსაზრისით უჭირავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ შინაგან წარმომადგენლობათა გადასინჯვას. მათი შესაძლებლობის ფარგლებში ლიკვიდაციისა ან აპარატის რეორგანიზაციის (შემცირებისა და გამარტივების მხრივ) მიზნით.

წარმომადგენლობათა ქსელის მოწესრიგებისა და შემცირების მიზნით საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის სამუშაოთა გეგმამ გაითვალისწინა მათი გამოკვლევა.

წარმომადგენლობათა საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევისათვის, თუ რამდენ დამატებით ღირებულებას ნთქავს სავაჭრო ქსელი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, რამდენ თანხებს ნთქავს საქონლის გამტარებელი ქსელი და რამდენად და როგორ მატულობენ ამ ქსელში გატარების დროს ჩვენი საქონლის ფასები გასაცემ ფასებთან შედარებით. ეს საკითხი უეჭველად მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმატებით სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანებთან. საქონლის გადაცემის სწორი, ორგანიზაცია, რომელიც ქალაქსა და სოფელს შორის საბაზრო აღებ-მიცემობის პირობებში სწარმოებს ჩვენი მეურნეობის განვითარების ეხლანდელ სტადიაში, არის ამ აღმშენებლობის გზაზე მსვლელობის ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო კაპიტალზე შემოტევების არსებული საშუალებანი არაა საკმაო; კერძო კაპიტალი ხანდახან მაინც იჭრება საქონლის ბრუნვაში და ხშირია შემთხვევები, როცა კერძო კაპიტალი ზოგიერთ ადგილას ახერხებს (თუმცა დროებით) ბაზრის საბრძანებლო მაღლობების დაჭერას. პარტიის და სახელმწიფოს უმაღლესმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა არა ერთხელ დასვეს საკითხი საქონლის მსვლელობის ინსტანციების რაოდენობის შემცირების შესახებ, ე. ი. იმ მანძილის შემცირების შესახებ, რომელიც არსებობს სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნებიდან მომხმარებლამდე. არის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ შეუდგეთ სახელმწიფო საცალო და საბითუმოდ მოვაჭრე წარმოებათა შემცირებას იმ ადგილებში, სადაც სავაჭრო ორგანოები და კოოპერაცია საკმაოდ განმტკიცდენ და მათი მუშაობა იაფი ჯდება. პარტიის მხრივ მიცემულია განსაზღვრული დირექტივა იმის შესახებ, რომ აუცილებელია ადგილობრივ სავაჭრო ორგანოებისა და განსაკუთრებით კოოპერაციის როლის გაძლიერება საქონლის ბრუნვაში. ზოგი რამ ამ დარგში გაკეთდა, მაგრამ ამოცანა მთლიანად, რასაკვირველია არაა გადაწყვეტილი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობამ წარმომადგენლობათა გადასინჯვისა და ლიკვიდაციისათვის ამ დარგშიაც უნდა აღმოუჩინოს არსებითი დახმარება. ამ დარგის ამოცანა კი მეტად ძნელი და რთულია. ადმინისტრატიული ზომები აქ არა მარტო საკმაო არაა, არამედ პირდაპირ დაუშვებელია. აუცილებელია ფრთხილი ხაზი, რომ კერძო ვაჭრებმა არ ისარგებლონ წარმომადგენლობათა ლიკვიდაციისა და სხვა ორგანოებისათვის გადაცემის პროცესში. ცდები მათი მხრივ უეჭველად სერიოზული ხასიათის იქნება. აქ აუცილებელია დახმარება ყველა სამეურნეო და კოოპერატიული და აგრეთვე კოოპერატიული საზოგადოებრიობისა და მუშათა ფართო მასების მხრივ.

ჩვენ სავსებით გვაქვს გათვალისწინებული, რომ გეგმიანი დასაწყისი საქონლის ფაბრიკა-ქარხნიდან მომხმარებლამდე მსვლელობის საქმეში არ შეიძლებოდა უცებ დამყარებულიყო სრულყოფილ ფორმებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ყოველი სამეურნეო ერთეულის მოქმედება ხანდახან ანარქისტულ ხასიათს ატარებდა. ადგილი ჰქონდა კონკურენციას ცალკე სამეურნეო ორგანოებს შორის, რაიც ბაზრის დეზორგანიზაციას ახდენდა. მეორეს მხრით, კოოპერაცია ჯერ კიდევ სუსტი იყო და ამის გარდა დაკავშირებული იყო ბიუროკრატიულ მმართველობასთან, და პერიფერიას სტოვებდა კონკურენციის სტიქიის ბრძანებლობის ქვეშ. ამ დროიდან დაიწყო ორივე სისტემის ბრძოლა, დავის წყაროს დიდხანს ეპყრა საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება და დღესაც ასეთივე მდგომარეობა გრძელდება. მაგრამ პარტიამ გამოსცა დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით უნდა წავიდეს გეგმიანის დასაწყისის დანერგვა საქონლის ბრუნვაში.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია, გამოდის რა პარტიის დირექტივიდან კოოპერაციისა და ადგილობრივი სავაჭრო ორგანოების როლის გაძლიერების შესახებ, აქაც, ამიერ-კავკასიის მასშტაბით აწარმოებს მუშაობას საქონლის გამტარებელი ქსელის გადასინჯვისათვის.

საანკეტო ცნობათა მიხედვით მიღებული წინასწარი ცნობები გვიხატავენ, იმ ვაკხანალიას, რომელიც არსებობს უკანასკნელთა ერთიერთობაში ადგილობრივ ორგანიზაციებთან და კოოპერაციასთან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა მასალების თანახმად მხოლოდ თბილისში არის 100—120 წარმომადგენლობა თავისი ურიცხვი მოსამსახურეებით. ყოველ მათგანს უმეტეს შემთხვევაში აქვს დიდი აპარატი. ამასთანავე, ჩვენივე ცნობებით, 30—40 ორგანიზაცია, რომელიღაც მიზეზების გამო არ გამოცხადდა რეგისტრაციაზე, რასაკვირველია, ასეთი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიღებული იქნება სათანადო ზომები. ქვემოყვანილი ცხრილი იძლევა წარმომადგენლობათა აპარატის მდგომარეობისა და ამ აპარატის ხარჯების ნათელ სურათს.

74 ორგანიზაციაში, რომლებმაც წარმოადგინეს ცნობები ხარჯების შესახებ, წლიური ხარჯი აპარატისთვის (მოსამსახურენი, სოცდაზღვევა, მივლინება, შენობა და სხ. სავაჭრო ხარჯები) უდრის 2.649.895 მან. მათ რიცხვში 55 ორგანიზაციაში:

ა) შტატის შესანახი ხარჯები და სოცდაზღვევა 1.395.712 მან.

ბ) მივლინების ხარჯები — 94.550 მან.

გ) სხვა სავაჭრო ხარჯები — 1.068.050 მან.

78 ორგანიზაციაში 1927 წ. 1 იანვრისათვის შტატში [illegible] 346 კაცი.

მათ რიცხვში 78 ორგანიზაციაში:

ა) ადმინისტრაცია, კანცელარია, თანამშრომლები — 336 კაცი, ბ) ბუხჰალტერია — 181 კაცი., გ) ოპერატიული მუშაკები — 343 კაცი. 89 ორგანიზაციიდან რეგისტრაცია მოხდენილია 71 სახელმწიფო ორგანიზაცია, მათ რიცხვში ამიერ-კავკასიის 14 ორგანიზაცია და 18 კოოპერატიული ორგანიზაცია, მათ შორის ამიერკავკასიის 15 ორგანიზაცია.

კომენტარიები ზედმეტია!

მხოლოდ ეს ცხრილი, ამ სავაჭრო წარმომადგენლობათა მოქმედების ანალიზის გარეშე მომხმარებლის წინაშე აშკარავებენ იმ ძირითად მიზეზს, რომლის გამოც ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ფასი იზრდება სანამ იგი მიაღწევს მომხმარებელს. წარმომადგენლობათა შემცირებისათვის შექმნილმა ჯგუფმა თავის პარტიულ მუშაობაში გამოაშკარავა ის განსაკუთრებით არანორმალური მოვლენანი, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ წარმომადგენლობათა სავაჭრო საქმიანობაში. ყველასათვის ცნობილია, რომ ხელმძღვანელ ორგანოებს არა ერთხელ განუცხადეს საცალო ფასების შემცირების აუცილებლობის შესახებ. მაგრამ როცა ანალიზს უკეთებთ ამ ორგანიზაციების საქმიანობას, მაშინ სხვა სურათი აშკარავდება. ამ ორგანიზაციების წარმომადგენელნი მეტად გულგრილად ეკიდებიან პარტიის გადაწყვეტილებას ფასების შემცირების შესახებ. მაგალითად: „აზრიბას" წარმომადგენლის საანკეტო ცნობების მიხედვით საქონლის შემოსავალი 1926 წ. 1 იანვრიდან 1927 წ. 1 იანვრამდე გამოიხატა 261 ათას მან., გასავალი კი იმავე პერიოდის განმავლობაში უდრის 666 ათას მან., ე. ი. საანგარიშო წლის განმავლობაში მათ მიიღეს 150 პროც. მოგება.

ცხადია, რომ მოგების ასეთი პროცენტის დროს სავსებით არ შეიძლება ლაპარაკი „აზრიბის" მომწესრიგებელ როლის შესახებ თბილისის ბაზარზე. წარმომადგენლობის ასეთი საქმიანობა საზიანოა და სრულიად არა საჭირო.

ჩვენს განკარგულებაში არის ცნობები, რომელნიც მოწმობენ, თუ როგორ წესით აწვდიან საქონელს კერძო პირებს. ჩვენს სამეურნეო ორგანოებს არა ერთხელ მიეცა დირექტივა საქონლის კერძო ვაჭრებზე გაყიდვის შესახებ. მაგრამ არის ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც თავიანთი სავაჭრო პოლიტიკას აშენებენ ისე გვარად, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება საქონლის მიცემა კერძო ვაჭრებისათვის.

ასე მაგალითად:

საქონლის რეგრანიზაცია „არმტორგის" თბილისის კანტორის მიერ 1926 წლის 1 აპრილიდან 1927 წლის 1 იანვრამდე 9 თვის განმავლობაში ასეთ სურათს იძლევა:

სახელმწიფო ორგანოებს — 362.583 მან. (17,6 პროც.).

კოოპერაციას — 211.585 მან. (10,4 პროც.).

კერძო ვაჭრებს 1.477.890 მან. (72 პროც.).

ეს ციფრები ამტკიცებენ, რომ „არმტორგის" ხელმძღვანელნი მართლაც მთელ თავის ყურადღებას აქცევდენ იმას, თუ როგორ გაედიდებიათ საქონლის ბრუნვა მაგრამ როგორ და როგორი გზებით — მათთვის სულ ერთი იყო. იმის მაგივრად, რომ თავიანთი ოპერაციები შეეზღუდათ მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკანური მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით და სახ.-მეურნეობისათვის აუცილებლად საჭირო საქონლის მიწოდებით, საქონლის გადაყიდვას ახდენდენ კერძო ბაზარზე.

„არმენტორგი" კი ჩვენში ითვლება კარგო, ჯანსაღი, სავაჭრო ორგანიზაციების სიაში! ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ამ დაუშვებელ მოვლენებს, როცა წლიური ბრუნვის საერთო თანხიდან 4.679 ათასი მანეთიდან 2.566 ათასი მან. ე. ი. 78,7 პროც. შეადგენს ადგილობრივად გადაყიდვას.

საქონლის გადაყიდვას კერძო ბაზრებზე, ამა თუ იმ ზომით, ეწევიან თითქმის ყველა ორგანიზაციებში, და თუმცა დღეს ამას აღარ აქვს ფართე ხასიათი, როგორც წინად, მაგრამ არც სავსებითაა აღმოფხვრილი და სამრეწველო საქონლის საკმაო რაოდენობა ჩვენი სავაჭრო აპარატის საშუალებით გადის კერძო ბაზარზე.

არ შეუდგებით რა აღნიშნულ ორგანიზაციების სავაჭრო მოქმედების კრიტიკას, მოყვანილი მასალები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ შეითვისეს მათ და როგორ ატარებენ პარტიის დირექტივას ჩვენი სავაჭრო პოლიტიკის დარგში.

ცხადია, რომ ყველა ეს ნაკლულევანებები, რომლებიც ჩნდებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ წამოდგენილ კომისიის მასალების განხილვის პროცესში, უნდა გამოასწორონ ხელმძღვანელმა ორგანოებმა. მაგრამ გარდა ამ უარყოფითი მოვლენებისა, გამოაშკარავდა წვრილ წარმომადგენლობათა სრულიად არა მიზანშეწონილი არსებობა. მაგალითად, ეგრედწოდებული „ზაგოტხოზის" წარმომადგენლობა, ე. ი. რესპუბლიკის მილიციის დამამზადებელ-სამეურნეო გაერთიანების წარმომადგენელი, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამ წარმომადგენლობის მთელი საქმიანობა მდგომარეობს შეკვეთების მიღებაში მილიციის მუშაკთა ტანისამოსის დამზადებაზე, ამ დაკვეთის გადაცემაში საპყრობილო მრეწველობის საზოგადოება „მკერავისთვის" და შემდეგ ისევ მილიციისათვის ჩაბარებაში. და ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი საკმაო სერიოზულობით იცავდა კომისიის წინაშე მისი არსებობის აუცილებლობას.

უამრავი მაგალითები ამა თუ იმ წარმომადგენლობის შესახებ, მაგრამ აქ არ დავიწყებთ ყველას ჩამოთვლას.

ცხოვრებაში ლიკვიდაციის პრაქტიკულად გატარების დროს მოსალოდნელია წინააღმდეგობა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრივ ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის და კოოპერატივებისათვის ფუნქციების გადაცემის წინააღმდეგ ხელმძღვანელობის გართულების, სამივლინებო ხარჯების გადიდების, სამრეწველო საქონელზე ფასების აწევის მოტივით და სხ. ცხადია, რომ ადგილობრივ ორგანიზაციების მოქმედების გაშლით, ბუნებრივად გაიზრდება ხარჯებიც. მაგრამ ეს საშიში არ არის. საქმე აქ საფრთხეში კი არ არის, არამედ ჩვენს ღონისძიებათა პლიუსებისა და მინუსების ბალანსშია.

ამ წინააღმდეგობამ არ უნდა შეაჩეროს ლიკვიდაციის პროცესი. საჭიროა ეკონომიურად და პოლიტიკურად ნიადაგი მოვუმზადოთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ორგანიზაციების გაერთიანებისა და კონცენტრაციის შედეგად, სახელმწიფოს მოუტანენ უდავო სარგებლობას.

ასეთი ხასიათის წინააღმდეგობები, მითითებით სამრეწველო ბაზის გამოცლაზე ცენტრის სათანადო გავლენისათვის, უნდა უარყოფილ იქნას განსაკუთრებული არგუმენტაციის გარეშე.

საწარმომადგენლო მუშაობის მოქცევით ადგილობრივ სავაჭრო ორგანოებსა და კოოპერაციაში, ჩვენ დიდი სარგებლობა მივიღეთ. მოვახერხებთ დიდი ეკონომიის მიღება სამმართველო ხარჯებზე. ხოლო ეს კი აუცილებლივ უნდა მოვახერხოთ, რადგან ამით გაუმჯობესდება ჩვენი აპარატი და ის უშუალოდ დაუახლოვდება მომხმარებელს.

აპარატის შესანახ ხარჯების შემცირების გარდა, ჩვენ მოვსპობთ პარალელიზმს ერთფეროვან საქონლის გასაღებაში, შევამცირებთ კონკურენტების რიცხვს, 2—3 მსხვილ შემომზიდველ ორგანოში თავს მოვუყრით სამრეწველო საქონელს და მნიშვნელოვნად შევამცირებთ ანგარიშიანობას. ყველაფერი ე', ერთად აღებული გახდება, ფასების დაკლების ამოცანის საფუძველი.

ამ მხრივ საჭიროა შეუსუსტებელი მუშაობის წარმოება, ყოველგვარ ობიექტიურ სიძნელეების და მიუხედავათ. ეს მეტად საპასუხისმგებლო მუშაობა პარტიამ დააკისრა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს. და მისი შესრულება კი შეიძლება მხოლოდ დაინტერესებულ ორგანოებისა და, აგრეთვე, მუშათა მასების აქტიური მონაწილეობით პირობებში, ამ [illegible] თვით კოოპერაცია. მისი მუშაობით მან უნდა დაამტკიცოს თავისი აპარატის მოქნილობა და უნარიანობა, საქმით უნდა მიაღწიოს ფასების დაკლებას და გაამართლოს ის ახალი მოვალეობები, რომლებიც დაეკისრა მას წარმომადგენლობათა შემცირებასთან დაკავშირებით.

ა. მირზაბეკიანი.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ

არ უნდა გვიკვირდეს, რომ თითქმის მთელს ჩვენს სახელმწიფო აპარატში ადგილი ჰქონდა და აქვს ბიუროკრატიზმს. მისი არსებობის მიზეზს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ტეხნიკური ჩამორჩენილობა და მოსახლეობის შედარებით დაბალი კულტურული დონე. ამხ. ლენინი იყო პირველი და საუკეთესო მებრძოლი, რომელიც თავის პარტიას, რომელსაც შეეძლო დიდ საზოგადოებრივ გადატრიალებათა მოხდენა, დაუზოგავი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა წარსულის ამ წყეულ მემკვიდრეობის—ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. მან პირველად მოჰყავდა ბიუროკრატიზმის საშინელ ფორმების და სხვადასხვა სახეების მაგალითები ჩვენი ორგანოების და აპარატების მუშაობიდან, როგორც მაგალითად, შემთხვევა, როცა გლეხს ერთ გირვანქა ლურსმნის მისაღებად უხდებოდა ასვლა-ჩამოსვლა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „გლავკების" მრავალ სართულიან შენობების 200-დე კიბეზე მოსკოვში, ე. ი. საერთოდ უხდებოდა 300 ვერსის გავლა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი პარტია ყოველთვის მოუწოდებდა მასებს ბიუროკრატიზმთან ბრძოლისაკენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ფრონტზე პარტია არავითარ წარმატებას არ აღწევდა. ის ფაქტი, რომ ბიუროკრატიზმი შემცირდა ჩვენს აპარატებში და დაწესებულებებში, მოწმობს მიღწეულ გამარჯვებებს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, რომელნიც ანხორციელებენ სოციალიზმს და რომელთაც საზოგადოება მიჰყავთ კომუნიზმისაკენ, არ შეუძლიათ დაკმაყოფილდენ მიღწეულ შედეგებით. მასების სოციალისტურ შეგნების და აქტივობის ზრდის, პროლეტარიატის მოთხოვნილებების გადიდების და მისი საბოლოო გამარჯვებისაკენ შემდგომი წინსვლის მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლების, პარტიის და მისი საზოგადოებრიობის წინაშე ბიუროკრატიზმი ხდება დიდ შემფერხებელ დაბრკოლებად. ის წარმოადგენს უძლიერეს დაბრკოლებას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანების და ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის.

დღემდე ქვეყანა ახდენდა ნორმალურ პირობების აღდგენას თავისი განვითარებისათვის, ამზადებდა ტეხნიკურ ბაზას სოციალისტური მშენებლობისათვის; ეხლა კი ის უნდება და ნაწილობრივ კიდეც შეუდგა ინდუსტრიალიზაციის გენერალური გეგმის შესრულებას. ეხლა უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, მჟღავნდება ბიუროკრატიზმის სოციალური შინაარსი, როგორც წინააღმდეგობა ხალხთა საწარმოო ურთიერთობის ძველ და ახალ ფორმებს შორის. პროლეტარიატი ეწევა სოციალისტურ მშენებლობას ურთიერთობის ბიუროკრტიული ფორმების აღმოუფხვრელად. ბიუროკრატიზმის სრული აღმოფხვრა არის ამ მშენებლობის წარმატების პირობა.

საჭირო არ არის ბიუროკრატიზმის ფაქტების და მაგალითების მოყვანა და ჩამოთვლა, ასეთები უამრავია ჩვენს აპარატებში და დაწესებულებებში. საკმარისია მივუთითოთ იმ უდიდეს პოლიტიკურ და მატერიალურ ზიანზე და ზარალზე, რომელსაც იწვევს პარტიის და ხელისუფლების დირექტივების თავის დროზე გატარების დაგვიანება დღის წესრიგში დასმულ გადაუდებელ საკითხებში, როგორიც არის სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლება, პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესება, სოფლისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ შეძლების დაგვარად მუშების და გლეხების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაგრამ მათი გადაუჭრელობა და განხორციელების გაჭიანურება საბჭოთა აპარატის მიერ, შრომითი კონფლიქტების გადაჭრის დაგვიანება საკონფლიქტო და სხვ. სათანადო ორგანოებში, მთელი წლობით დაგვიანება და ზოგჯერ საქმის შემცდარად გადაჭრა სახალხო სასამართლო ორგანოებში, საქმის გაჭიანურება, ამ საქმეების დაუსრულებელი ხეტიალი საოლქო და სახალხო სასამართლოებს შორის, და ბევრი სხვა არა თუ ნივთიერ ზარალს იწვევს, როგორც ძალების და საშუალებების უნაყოფოდ დახარჯვა, ანუ, უფრო [illegible] ვსთქვათ, მათი დახარჯვა [illegible] რომ შენახულ იქნეს ეს აპარატები, რომ მისმა თანამშრომლებმა განსაზღვრულ ვადაში მიიღონ ჯამაგირი, არამედ ეს იწვევს აგრეთვე პოლიტიკურ ზიანსაც, რამდენადაც ეს ხელოვნურად აძლიერებს უკმაყოფილებას ქვეყნის მშრომელ მასებს შორის.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა გასაგებია მშრომელთათვის, მაგრამ ამ პოლიტიკის გატარება ორივე ფეხით მოიკოჭლებს იქ, სადაც მასებს ჯერ კიდევ არ შეუგნიათ, რომ აუცილებელია თვითონ ჰქონდეთ გაბედული, დაუზოგავი ბრძოლა ამ პოლიტიკის განხორციელებისთვის, გარდ ამისა უნდ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დაბრკოლებას ჰქმნიან მასებთან საბჭოთა ხელისუფლებ. უშუალო კავშირის მოგვარების საქმეში ყველა ზედმეტი საფეხური ჩვენს აპარატში. სწორედ ისინი წარმოადგენენ ბოროტებას—ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას. ყოველი ზედმეტი ინსტანცია—ზედმეტი განყოფილება აპარატში აგრძელებს საქმეების სავალ გზას და აჭიანურებს მათ გადაჭრას, საშუალებას უსპობს მასებს უშუალო კავშირი იქონიონ თავის წარმომადგენელთან ხელისუფლებაში, ან რომელიმე ორგანოში. ეს ზედმეტი საფეხურები და განყოფილებები ძალიან დიდ წინააღმდეგობას უწევენ სათანადო ორგანოებს. და მუშაკები ყველა იმ ღონისძიებებს. რომელთა მიზანია მათი გაუმჯობესება და გამარტივება. სწორედ ისინი ცდილობენ ფუნებლაეთ მუშაობის გართულებას და დაწესებულებების აპარატის ბიუროკრატიზაციას. სწორედ ისინი იჩენენ უმოქმედებას, შეჩვეულენ მუშაობის ძველ მეთოდებს და ვერაფრის გზით ვერ ახერხებენ ახალი მეთოდების გამოყენებას და ახალ ურთიერთობის შეთვისებას, ამ შეუსაბამობას ჩვენი წარმოება-დაწესებულებების აპარატის მუშაობის სისტემასა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების და დაწესებულებების აპარატების სოციალისტურ შინაარს შორის აღრმავებს ამ აპარატების ტეხნიკური თანამშრომლობის ხარისხობრივი შემადგენლობა. ცხადია, რომ იძულებული ვართ ვიმოქმედოთ მუშაკთა არსებული კადრებით. მაგრამ აუცილებელია ამ კადრების პსიქოლოგიური გადამუშავება, გარდაქმნა, უამისოდ წარმოუდგენელია ურთიერთობის ახალი ფორმების განხორციელება.

პროლეტარულმა საზოგადოებრივობამ უკვე გზა გაიკაფა მეცნიერების და რაციონალიზაციის დასაპყრობად, რაც წინად ჩვენთვის მიუწვდომელი იყო. ის თავის ყოველდღიურ გამოცდილებით იძენს უტყუარ საშუალებებს მათ დასაპყრობად. სწავლის შეძენის უსაზღვრო წყურვილთან ერთად მასის ინიციატივა საგრძნობ წარმატებებს აღწევს საწარმოო და ეკონომიურ თათბირებში და კომისიებში, მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობაში და სხვა პროლეტარულ საზოგადოებებში და ორგანიზაციებში. პროლეტარულ საზოგადოებრივობის ამ ახალი ფორმების შემწეობით კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებენ მასიურ მონაწილეობას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში და სწორედ მათი საშუალებით არის უზრუნველყოფილი სოციალიზმის სრული გამარჯვებით. სწორედ ამ ორგანიზაციების მუშაობით და მათი წევრების ინიციატივით ისმება და იჭრება აუარებელი საკითხები ბიუროკრატიული გადამახინჯების, საქმის გაჭიანურების შესახებ და სწორედ მათი შემწეობით საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოებს საშუალება ეძლევათ ებრძოლონ ყოველგვარ [illegible] და კანონის დარღვევას, გააჯანსაღონ სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა ორგანოები და აპარატები, გაამარტივონ და გააუმჯობესონ მათი მუშაობა.

ამჟამად გადამწყვეტი ბრძოლა ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ და, მაშასადამე, პარტიის დირექტივების და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა თავის დროზე გატარების უზრუნველყოფა წარმოადგენს საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითად ამოცანას პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად. ამ ბრძოლაში ჩვენ ბოლომდე უნდა [illegible] ჩვენი აპარატების მუშაობის ძველ [illegible] ის ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავამარტივოთ, უმოწყალოდ უნდა მოვკვეთოთ ეხლანდელ პერიოდისათვის ზედმეტი ხორცმეტი და ინსტანციები. ზოგიერთ ორგანოების, დაწესებულებების, კანტორების და წარმომადგენლობების მუშაობის, დანიშვნების და ზოგიერთების მუშაობის ფაქტიური შესრულების შემოწმება უნდა წარმოადგენდეს საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოველდღიურ პროგრამულ მუშაობას. ამასთან ერთად, საბჭოთა სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით მიზანშეწონილ და აუცილებელ ღონისძიებათა გატარება მუშაობის შესამჭიდროებლად, აპარატის შესამცირებლად, შტატების შესამოკლებლად და მუშაობის მთელი პროცესების გასამარტივებლად ვერ უნდა შეაფერხოს შესამჭიდროებელ, შესამცირებელ და გასაუქმებელ საფეხურების, ზედმეტ ინსტანციების, წარმომადგენლობების და სხვ. წინააღმდეგობამ. ეს იქნებოდა ბიუროკრატიული საქმის გაჭიანურება და ქაღალდის ტყვილად გაფუჭება. საყოველთაოდ შეგნებული უნდა იქნეს ის, რომ რამდენად მარტივია აპარატის მუშაობა, რამდენად ნაკლებია ინსტანციები, რამდენად უფრო მკაფიოდ განსაზღვრულია ცალკე მუშაკების ვალდებულება და პასუხისმგებლობა აპარატში, რამდენად უფრო ჩქარა ტარდება ცხოვრებაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივები და დადგენილებები, მით უფრო გაუმჯობესდება კავშირი მასებთან, მით უფრო ნაკლები იქნება ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება და უფრო უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური მშენებლობა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეხლანდელ მუშაობას მომენტთან შეფარდებით შემუშავებულ გეგმის მიხედვით უმთავრესად ახასიათებს საბჭოთა საზოგადოებრივი მასის აქტიური მონაწილეობა ამ დიდ და მნიშვნელოვან მუშაობაში. ლენინისებურად მასების ხმის გულდასმით მოსმენის ცოდნას, აქედან პრაქტიკულ დასკვნების გამოტანას და ამავე მასის დახმარებით საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ პრობლემების გადაჭრას დაბეჯითებით გვკარნახებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეს ახალი, გადამუშავებული გეგმა. ამ გეგმაში ზედმიწევნით არის ლენინურად შეთვისებული მე-15-ე პარტკონფერენციის ხაზი და გადაწყვეტილებები იმ მასის ნება-სურვილთან, რომელიც ამ ხელმძღვანელობას ანდობს კომუნისტურ პარტიას, ის შეთანხმებულია სავსებით მიმდინარე მომენტის ნამდვილ მოთხოვნილებებთან. ამის განხორციელების სწორი გაგება, მისდამი ენერგიული მიდგომა საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა მუშაკების და პროფესიონალურ ორგანიზაციების მხრივ კომუნისტურ პარტიასთან ერთად უზრუნველყოფს მუშაობის ამ აუცილებელ გეგმის განხორციელების წარმატებას, რაც საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ამ აქტუალურ პრობლემების განხორციელებას, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას, აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას, პარტიის და ხელისუფლების დირექტივების თავის დროზე ცხოვრებაში გატარებას უმნიშვნელოვანეს საკითხებში, მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებას მთელს ჩვენს ეკონომიურ მუშაობაში,—ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი გვექნება პროლეტარული საზოგადოებრივობის მასიურ ორგანიზაციებთან—საწარმოო და ეკონომიურ თათბირებთან და კომისიებთან, მუშათა კლასის მუშკორთა და გლეხკორთა და სხვ. რაზმებთან. ამ კავშირის უზრუნველყოფას, მასის ხმისათვის ლენინურად ყურის გდებას, საბჭოთა ხელისუფლების და მისი ხელმძღვანელის—კომუნისტური პარტიის ამ მორიგ ამოცანების წარმატებით გადაჭრის მიზნით—ყოველმა კომუნისტმა და რევოლიუციონერმა პროლეტარმა უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება, უნდა შესწიროს ყველა ძალები.

ნ. ლეჟავა.

25 თებერვალი თბილისში

(შთაბეჭდილება)

ქალაქში დემონსტრაციები არ იყო დანიშნული.

ოპერის თეატრში უნდა გაიხსნას თბილისის მაზრა - ქალაქის საბჭოთა ყრილობა, აქ მოვლენ მუშები დროშებით, დღეს კარგი ამინდია, დღეს სიხარულის დღეა...

ოპერის თეატრის წინ აუარება ხალხს მოუყრია თავი — დროშებით და ლოზუნგებით. ელიან ორატორს და იგიც არ აყოვნებს. ოპერის აივანზე ორატორი ორატორსა სცვლის. ჩვენი მიღწევები, ჩვენი კულტურული და ეკონომიური ზრდა, ჩემბერლენის ნოტა და სხ. დამსწრეები სმენათ არიან გადაქცეული და დიდის ინტერესით ისმენენ ყრილობის წევრების და მთავრობის წარმომადგენლების სიტყვებს.

მოთავდა სიტყვები, დასრულდა მისალმებანი მაგრამ მიტინგი არ იშლება. ელიან რაღაცას და აი გაისმა სიმფონია „ზაჰესის" აკორდები. ზაჰესი მზადაა, ზაჰესი დასრულდა, ცოტა კიდევ და ზაჰესი გაანათებს თბილისს, ხოლო ეხლა კანტატა „ზაჰესი" დაიპყრობს ათასეული აუდიტორიის სმენას.

რაც დრო მიდის, 25 თებერვალი უფრო ღრმად იჭრება საქართველოს მშრომელი მოსახლეობის გულში. ეს იღებს ნამდვილ ხალხურ დღესასწაულის ხასიათს. ყოველ ახალი 25 თებერვალი ჩვენთვის ზეიმი და მხიარულებაა. ყოველი ახალი 25 თებერვალი ახალი ქვაა ძველი, მენშევიკური საქართველოს სამარეზე.

დ.

ეინშტეინის რომენ როლანის და ანრი ბარბიუსის მოწოდება

მოსკოვი, 26 თებერვალი. პროფესორმა ეინშტეინმა და მწერლებმა — **რომენ როლანმა და ანრი ბარბიუსმა** მიმართეს მოწოდებით მთელი ქვეყნის ინტელიგენციას, რომელშიაც ნათქვამია:

„ყველა ქვეყნებში გამეფებულია საშინელი თეთრი ტერორი, რომელიც აუქმებს პიროვნული თავისუფლების უწმინდეს პრინციპებს და სხ. ამის წინააღმდეგ უნდა გაილაშქრონ იმ ადამიანებმა, რომელნიც სარგებლობენ საერთაშორისო სიმპატიით და პატივისცემით. ასეთი კომიტეტის უპირველეს ამოცანად უნდა იქნეს ტერორის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა და იმ საშუალებების შესწავლა, რომლითაც შესაძლებელი გახდება ამ ბოროტების მოსპობა". (ადს).

მორალური ეფექტი

ვაშინგტონი, 25 თებერვ. ინგლისმა აცნობა შეერთებულ შტატებს, რომ „მორალური ეფექტის" მოხდენის მიზნით ნიკარაგუაში გაიგზავნა ინგლისის სამხედრო გემი და რომ ნიკარაგუაში გადასხმული იქნება დესანტი.

როგორც სჩანს, შეერთებული შტატები და ამერიკა წინდაწინვე შეთანხმდენ ინგლისის კრეისერის გაგზავნის შესახებ, რათა ამით კოლიჯს შესაძლებლობა მისცემოდა დაეწყო ლათინური ამერიკის ინტერვენცია ევროპის სახელმწიფოთა ინტერვენციის გაფრთხილების მიზნით. (ადს).

იტალია ალბანეთში

ვენა, 25 თებერვ. ბელგრადიდან იუწყებიან, იტალიის სამხედრო მზადების შესახებ ალბანეთში.

„პოლიტიკა"-ს ცნობით, იტალიელებმა დაიწყეს [illegible] დურაცოს ნავთსადგურის აღსადგენად და რკინიგზის გასაყვანად დურაცოსა და ტირანას შორის.

სამხედრო სამსახურის გასავლელად ალბანეთში გაწვეულია 1905 წელში დაბადებული ახალგაზრდობა. უფროსი ჰასაკის გაწვეულნი არ არიან დათხოვილი. (ადს).

ლიტვის კოალიციის დაშლა

კოვნო, 25 თებერვ. „ეხოს" ცნობით, სოფლის მეურნეთა კავშირის ერთ - ერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ პარტიას ნამდვილად აქვს გადაწყვეტილი გამოვიდეს მთავრობის კოალიციიდან. ეს საკითხი გადაწყდება 3 მარტს, როდესაც სეიმში დაიწყება კამათი მთავრობის დეკლარაციის გარშემო. თუ გაგრძელდება არსებული მდგომარეობა, მაშინ პარტია გამოვა მთავრობის კოალიციიდან. (ადს).

რუბინშტეინის [illegible]

რუბინშტეინი ინგლისის ინტერესებს იცავს

ვარშავა, 25 თებერვ. იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია პოლონეთს მისცენ უცხოეთის სესხი, ვარშავაში ჩავიდა ცნობილი პეტერბურგელი ბანკირი, ერთ დროს რასპუტინთან დაახლოვებული, დიმიტრი რუბინშტეინი, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის ბანკირების სახელით სთავაზობს პოლონეთს სესხს.

„ინგლისის ინტერესების სასარგებლოდ,—განაცხადა რუბინშტეინმა, — ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ საბჭოთა კავშირის მეზობელ სახელმწიფოებს, რომ შევინარჩუნოთ მოქმედების თავისუფლება ჩინეთში". (ადს).

ბულგარეთის უპარტიო მუშათა კონფერენცია

ვენა, 25 თებერვალი. 20 თებერვალს სოფიაში გაიხსნება ბულგარეთის უპარტიო მუშათა ჯგუფების კონფერენცია. კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება, რომ უპარტიო მუშათა ყველა ჯგუფები გაერთიანდენ ერთ პოლიტიკურ პარტიაში—მუშათა პარტიის სახელწოდებით, რომელიც მიზნად დაისახავს მუშების კლასიური ინტერესების დაცვას და ბრძოლას პროლეტარიატის საბოლოო გასამარჯვებლათ.

ახლად დაარსებულმა მუშათა პარტიამ გამოუშვა დეკლარაცია, რომელშიაც უარყოფილი თანამშრომლობა ბურჟუაზიულ პარტიებთან. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ პარტია შეიძლება იქონიოს კავშირი საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან, მაგრამ ორგანიზაციულ დამოკიდებულებას არ იქონიებს არც ერთ ინტერნაციონალთან. კონფერენციამ სასტიკათ გაკიცხა ლიკვიდატორ სარდაროვის, მონხოვის და სხვათა საქმიანობა, რომელთაც სურდათ დაეარსებინათ ე. წ. დამოუკიდებელი სოციალისტური მუშათა პარტია, რომ ამით ხელი შეეშალათ მუშების ლეგალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებში შესვლისათვის. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამხ. კოლაროვი—გროზნოში

გროზნო, 26 თებერვალი. გროზნოში ჩამოვიდა ამხ. კოლაროვი, რომელიც გამოვიდა მუშების მიტინგზე მოხსენებით საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. (ადს).

ნავთის პროდუქტების გაიაფება

მოსკოვი, 26 თებერვ. ნავთის სინდიკატმა წინადადება მისცა ყველა თავის კანტორებს, შეამცირონ ფასები ყველა პროდუქტებზე, როგორც მაგალითად, ნავთზე, ზეთზე, ღერძთსაცხებზე და სხვ. სამი პროცენტით. (ადს).

ს. მ. უ. ს. პლენუმის დახურვა

მოსკოვი, 26 თებერვალი. 25 თებერვალს დაიხურა საკავშირო ს. მ. უ. ს. პირველი პლენუმი. პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები ყველა მოსმენილ საკითხებზე. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 26 თებერვალი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს მორიგი პლენუმი 6 აპრილისათვის. პლენუმზე განხილულ იქნება საკითხი პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ ფასების დაკლების კამპანიაში, კაპიტალურ აღმშენებლობაში და სხ. (ადს).

გატაცებული აეროპლანის დაბრუნება

კიევი, 26 თებერვ. პოლონეთის მთავრობამ დაუბრუნა საბჭოთა კავშირს ის აეროპლანი, რომელითაც გაფრინდა პოლონეთში კანონს გარეშე გამოცხადებული ავიატორი - კლიმი და მემანქანე — ტიმოშჩუკი. აეროპლანი გადმოტანილია უკრაინაში. (ადს).

ს. მ. უ. ს. პლენუმი

მოსკოვი, 26 თებერვალი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პლენუმის 25 თებერვლის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. კუიბიშევმა ხაზი გაუსვა იმ ერთსულოვნებას, რომლითაც ყრილობამ გადასწყვიტა მრეწველობის წინაშე მდგომი კარდინალური საკითხები. ამ მხრივ პლენუმმა, რომელიც მოწოდებულია გადასწყვიტოს მრეწველობის საკითხები, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ყველა მიღებული გადაწყვეტილებები სისწორით უნდა გატარდეს ცხოვრებაში. მმართველობის სისტემის გამარტივების საკითხში საჭიროა განსაზღვრული რადიკალიზმი, ურომლისოდაც ჩვენ ვერ მივაღწევთ მმართველობის ნამდვილ გაუმჯობესებას. აუცილებელია რეორგანიზაციის ძირითადი პრინციპის დაცვა: მეტი უფლება და პასუხისმგებლობა დაბალი საფეხურის ორგანოებს. უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილება მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების 5 პროც. შემცირების შესახებ არის სადირექტივო საფუძველი, რომელმაც უნდა განამტკიცოს მთელი ჩვენი მრეწველობა. დასახულ კაპიტალურ სამუშაოთა სწორი განხორციელება უზრუნველჰყოფს ნორმალურ განვითარებას და მოგვცემს აუცილებელ ტეხნიკურ რეკონსტრუქციას. პლენუმის საქმიანი მუშაობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელნი, პროფკავშირები და სპეციალისტები, ერთსულოვნება, რომელსაც ვხედავთ ჩვენ პლენუმის გადაწყვეტილებებში, საწინდარია იმისა, რომ ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება. (ადს).

მოსკოვის აქტივის კრება

მოსკოვი, 26 თებერვალი. კავშირთა სახლში შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა საქალაქო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. უგლანოვი. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმის შედეგების შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. მოლოტოვი.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა კრება სავსებით და მთლიანათ იწონებს ცეკას პლენუმის დადგენილებებს. კრება ადასტურებს, რომ მრეწველობაში კაპიტალის ფართო დაბანდება, არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინდუსტრიალიზაციის გეგმის განსახორციელებლად. მომჭირნეობის რეჟიმის სისტემატიური გატარება გააძლიერებს სოციალისტურ დაგროვებას, შეასუსტებს ბიუროკრატიზმს და ხელს შეუწყობს სახელმწიფო აპარატის გამარტივებას. მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება აღნიშნავს, მუშათა კლასის აქტივობის ზრდას ქვეყნის სამეურნეო ზრდასთან ერთად, ხოლო ეს მოვლენა კი უარყოფს ოპოზიციის აზრს მუშათა კლასის და მისი დიქტატურის შესუსტების შესახებ.

პროლეტარიატის დიქტატურის შემდეგი გაძლიერება—საწინდარია ჩვენი საბოლოო გამარჯვების". (ადს).

ამერიკა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის პერსპექტივები

მოსკოვი, 26 თებერვალი. ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის რწმუნებულმა ჩარლზ სმითმა, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში, ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის ბაზარი დიდ შესაძლებლობას აძლევს ამერიკის მრეწველობას გაანაღდოს თავისი პროდუქცია, ხოლო ამერიკის კაპიტალს საშუალება ეძლევა ფართოდ გაშალოს თავისი საქმიანობა. ამერიკამ უკვე შეაფასა ამ ორივე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცების საჭიროება. საბჭოთა კავშირში მოიპოვება მთელი რიგი ისეთი პროდუქტებისა, რომელშიაც ამერიკის მრეწველობას უაღრესად დიდი საჭიროება აქვს. ასეთია, მაგალითად, ნედლეული, თევზეულობის პროდუქტები, ძვირფასი ბეწვეულობა და სხვ.

ამერიკელ ფირმებს განზრახვა აქვთ დაამყარონ საბჭოთა კავშირთან მტკიცე სავაჭრო ურთიერთობა ფართო საბანკო კრედიტის ნიადაგზე. (ადს).

ბაქოს ბაზრობის გახსნა

ზეიმი

ბაქო, 26 თებერვ. მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით დიდი ზეიმით გაიხსნა ბაქოს მეექვსე ბაზრობა.

ბაზრობა გახსნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **კონუშკინმა**, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ბაზრობის უდიდესი მნიშვნელობა აღმოსავლეთის ხალხებთან დაკავშირების საქმეში. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ლაქტიონოვმა**, რომელმაც განაცხადა, რომ კომიტეტის მიერ აცილებული იქნება ყველა ის ნაკლულოვანებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წინანდელ ბაზრობაზე.

საბჭოთა კავშირის შინა - ვაჭრობის კომისარიატის სახელით გამოვიდა ამხ. **ბაგიროვი**, რომელმაც განაცხადა:

1-ლ ბაზრობის ნახევარ მილიონიან ბრუნვიდან წარსულ ბაზრობაზე ჩვენ მივაღწიეთ 16 მილიონი მანეთის ბრუნვას. ეს ამტკიცებს, რომ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის შეუჩერებლივ იზრდება.

ბანკეტი

საბაზრო კომიტეტმა გამართა ბანკეტი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა აზერბეიჯანის სახ. კომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **საჯი - კასუმოვი**. წაკითხულ იქნა ამხ. მუსაბეკოვის მისალმების დეპეშა.

სპარსეთის გენერალურმა კონსულმა ბაქოში **ესფენდიარიმ** აღნიშნა ბაქოს ბაზრობის როლი სპარსეთ საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე.

სპარსეთის ვაჭრები, — სთქვა მან, — რომლებიც ეკონომიურად დაკავშირებული არიან საბჭოთა კავშირთან დიდ ინტერესს იჩენენ ბაზრობისადმი და ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახლად გახსნილი ბაზრობა უფრო მეტის წარმატებით დასრულდება, ვიდრე წინანდელ ბაზრობაზე.

ოსმალეთის გენერალურმა კონსულმა **ზერიდ ბეიმ** აღნიშნა მეგობრული ურთიერთობა ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და იმედი გამოსთქვა, რომ ბაზრობა შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **კულიბეკოვმა** გამოაქვეყნა მისალმების დეპეშები, რომლებიც საბაზრო კომიტეტმა მიიღო. მათ რიცხვში ამხ. მიქოიანის, რუსეთ აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის, სპარსეთში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის და სხვათა დეპეშები.

ბაზრობის პირველი დღე

ბაქო, 26 თებერვ. ბაზრობის 1-ლ დღეს დადებულ იქნა 1.668.000 მანეთის გარიგებები. უმთავრესად ბრინჯზე, შაქარზე, ტომრებზე და ფქვილზე.

დახმარება უმუშევრებს

მოსკოვი, 26 თებერვალი. საკავშირო პროფსაბჭომ ნება დართო საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის ცეკას 1-ლი მარტიდან 1-ლ სექტემბრამდე აწარმოოს მთელ საბჭოთა კავშირში კავშირის მომუშავე წევრების ხელფასიდან ნახევარი პროცენტის გადარიცხვა უმუშევარ წევრთა დასახმარებლათ.

ამის შესახებ საკითხი უნდა დაისვას დაწესებულებებში მომუშავეთა საზოგადო კრებებზე. ამასთანავე ერთად საკავშირო პროფსაბჭომ წინადადება მისცა საბჭ. და სავაჭრო მუშაკების ცეკას გაადიდოს 10 პროცენტამდე უმუშევართა ფონდში გადასარიცხი თანხა, მთელი კავშირის ტერიტორიაზე. (ადს).

ღამის ცნობები

ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში

რიგა, 25 თებერვ. 25 თებერვალს რიგაში ჩა- [illegible] (ადს).

„ინგლისი აქ, ინგლისი იქ".

ლონდონი, 25 თებერვ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნიკარაგუაში ინგლისური კრეისერის — „კოლომბო"-ს გაგზავნა გამოწვეულია ნიკარაგუაში ინგლისის მოქალაქეთა ინტერესების დაცვის სურვილით. (ადს).

სლიაჟევიჩი გადადგა

კოვნო, 25 თებერვ. სეიმის დეპუტატი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სლიაჟევიჩი გადადგა დეპუტატობიდან. (ადს).

ფაშისტების დემონსტრაცია

ვენა, 25 თებერვ. 23 თებერვალს ზალცბურგში შესდგა ფაშისტურ ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც დაადგინა 6 მარტს მთელ ავსტრიაში ჩაატარონ ფაშისტურ ორგანიზაციების დემონსტრაცია. (ადს).

კელოგის გადადგომას უარყოფენ

ვაშინგტონი, 25 თებერვ. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს ხმებს კელოგის გადადგომის შესახებ. (ადს).

სოციალისტები მუშების დახმარების წინააღმდეგ

პარიზი, 25 თებერვ. ბელგიის სოციალისტური პარტიის ნაციონალურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც სოციალისტებს ეკრძალებათ მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის წევრობა. (ადს).

პროპორციონალურ არჩევნების გაუქმება [illegible]

პარიზი, 25 თებერვ. საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა შეიტანოს პარლამენტში კანონპროექტი, რომლის თანახმად შემოღებული უნდა იქნეს ცალკე კანდიდატურების არჩევნების სისტემა პროპორციონალური არჩევნების სისტემის ნაცვლად.

მთავრობა კანონპროექტის მიღებას არ დაუკავშირებს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს. (ადს).

ინგლისის კრედიტები ჩვენი აღმშენებლობისათვის

მოსკოვი, 26 თებერვ. ინგლისის მსხვილი მრეწველობის გაერთიანებამ „ვეკერსმა", რომლის განკარგულებაშიაც ირიცხება 24 წარმოება, — წინადადება მისცა გზათა სახალხო კომისარიატს შეუკვეთოს მას ტურქესტან - ციმბირის რკ. გზის გასაყვანათ სხვადასხვა მოწყობილობანი.

შეერთებული შტატები ჩემბერლენის ნოტის გარშემო

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. გაზეთი „ნიუ-იორლდი" და „ივნინგ პოსტი" იწონებს ჩემბერლენის ნოტს. „ივნინგ პოსტი" სწერს, რომ ნოტა ამართლებს საბჭოთა კავშირის არცნობის პოლიტიკას, რომელსაც ატარებს შეერთებული შტატების მთავრობა. (ადს).

ფაშისტების თარეში

ვენა, 25 თებერვალი. 24 თებერვალს რეიზენბერგში ახალგაზრდობის კათოლიკური ფაშისტური კავშირის წევრებმა მძიმედ სცემეს ორ მუშას. ერთი მუშა გარდაიცვალა.

„დეილი ნიუს" ეთანხმება „იზვესტია"-ს

ლონდონი, 26 თებერვალი. „დეილი ნიუს"-ი, რომელიც კომენტარიებს უკეთებს „იზვესტია"-ს მოწინავე წერილს ნოტის შესახებ, ადასტურებს „იზვესტია"-ს არგუმენტაციის სინამდვილეს. ნოტას სწერს გაზეთი, ახასიათებს სისუსტის და ნეიტრალიტეტის ყველა ნიშნები.

პროფკავშირთა დევნის წინააღმდეგ

ვენა, 25 თებერვალი. რუმინიის პროფკავშირთა საბჭომ პროტესტი განუცხადა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უნიტარულ პროფკავშირთა ნებადართულ ყრილობის უკანონო დახურვის გამო.

იბანიესის დიქტატურა ჩილიში

ნიუ-იორკი, 25 თებერვ. სანტ - იაგოდან იუწყებიან, რომ ჩილის დიქტატორი იბანიესი სასტიკ ბრძოლას აწარმოებს თავის მოწინააღმდეგეებთან. ის ცდილობს შეუთანხმდეს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ფინანსიურ წრეებს. დაპატიმრებულთა შორის არის კომუნისტი სენატორი — მანუელ გიდალგო. იბანიესმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს დააპატიმროს და გააძევოს პარლამენტის 8 წევრი—კომუნისტი.

კომპარტიის ორგანო „იუსტიცია" დახურულია. (ადს).

საპროტესტო გაფიცვა

ხანკოუ, 26 თებერვ. პროფკავშირთა საბჭომ გამოაცხადა ერთი დღის საპროტესტო გაფიცვა შანხაიში ინგლისის ჯარების გადასხმის წინააღმდეგ. ხანკოუში ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებები დახურულია. ქალაქში იმართება დიდი დემონსტრაციები. (ადს).

პანები იარაღს აჟღარუნებენ

ვარშავა 26 თებერვ. პოლონეთის სეიმის სამხედრო კომისიამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: პოლონეთის ტერიტორიალური მთლიანობის წინააღმდეგ გერმანიის სამხედრო მზადების გამო, კომისია მოითხოვს, რომ მთავრობამ მიიღოს პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ზომები იმ საფრთხის შესაჩვედრად, რომელსაც გერმანია უმზადებს პოლონეთს. (ადს).

საერთაშორისო ვალების გარშემო

პარიზი, 25 თებერვ. ჰავასის სააგენტო იუწყება: დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის სხდომაზე პუანკარემ წარადგინა მასალები, რომლებიც შეეხება საფრანგეთის დავალიანების დაფარვას ინგლისის მიმართ. პუანკარემ სთხოვა ვენდონ ორიოლს უკან წაეღო მის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია, რომელიც ნებას აძლევს მთავრობას გადაიხადოს ვალი დაუმტკიცებელ შეთანხმების ნიადაგზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პალატა გაიღებს სათანადო თანხებს. ორიოლმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია პუანკარეს თხოვნის შესრულება. მაშინ პუანკარემ თავის მხრივ განაცხადა, რომ ის მოითხოვს ორიოლის წინადადების განხილვის გადადებას და ამავე დროს დასვამს ნდობის საკითხს. (ადს).

სამშაბათს, ა. წ. პირველ მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე.
მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. პროფკავშირთა მე-6-ე ყრილობის მოწვევის შესახებ.
2. პროფკავშირთა საბჭოს გამომცემლობა „შრომა"-ს შესახებ.
3. ფიზკულტურის შესახებ.
4. მოხსენება რესპუბლიკანურ სატარიფო ყრილობის შედეგებზე.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
მარტისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით. რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
კვირას, 27 თებერვალს,
კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მუშათა ცხოვრება

ივანე კვარაცხელიას ხსოვნას

ა.-კ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც უშუალოდ ჩაბმული არიან საექსპლოატაციო დარგში და საშემოსავლო სამსახურში, კარგათ იცნობენ ამხ. ივანე კვარაცხელიას, როგორც ტრანსპორტისათვის თავდადებული და უანგარო ადამიანს.



ამხ. კვარაცხელია, შთამომავლობით ღარიბი გლეხი, ადრე ჩაება ა.-კ. რკ. გზის ტრანსპორტის მუშაობაში და 46 წლის განმავლობაში (1880 წლიდან) მთელ თავის ძალას ანდომებდა ტრანსპორტის საქმეს. მისი შრომები, პროექტები და მოხსენებები საექსპლოატაციო დარგში ცნობილია დღემდე, როგორც პრაქტიკულად დამუშავებული და თვალსაჩინო მიღწევები.

სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ 1906 წ. მან წარადგინა სამგზავრო მიმოსვლის სამინისტროში პროექტი სამგზავრო მიმოსვლათა მოწესრიგების შესახებ, რითაც მან მიიქცია სათანადო ყურადღება. ამის შემდეგ იგი, როგორც დახელოვნებული პირი, დაგაყვანილ იქნა მატარებლების რევიზორათ და ამ თანამდებობაზე მუშაობდა დღემდე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსების დროიდან იგი ენერგიულად შეუდგა მუშაობას ტრანსპორტის გასაჯანსაღებლად. მისი პრაქტიკული მითითებანი ძვირფასი იყო ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს აპარატისათვის. კერძოთ მისი მუშაობა ნაყოფიერი იყო საშემოსავლო დარგის ასაღორძინებლად.

ჩვენი რკ. გზ. ტრანსპორტისათვის მძიმეა დაკარგვა ამხ. ივანე კვარაცხელიასი, რომელიც თავის ღრმა მოხუცებულობაშიც გაუტეხელი იყო და ენერგიულად მუშაობდა საბჭოთა ტრანსპორტის ასაღორძინებლად. ამხ. ივანე მუდამ აღვივებდა ახალგაზრდობაში შრომის ენტუზიაზმს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე იგი ასეთ დარჩა.

საშემოსავლო ნაწილის მუშა-მოსამსახურენი და მათი ხელმძღვანელები დღეს უკანასკნელად გამოემშვიდობებიან თავის ძვირფასი ამხანაგის და თავდადებულ მუშაკის, ი. კვარაცხელიას ცხედარს.

ანდრო თავაძე.

როდის გვაღირსებთ

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ყოველ წელიწადს თავის დროზე გვირიგებდენ სპეცტანსაცმელს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში 3—4 კვირის დაგვიანებას. ეს ხდებოდა იმ დროს, როცა ფულითაც უფრო ღატაკი ვიყავით, და მატერიალურათაც.

1926 წ. პირველ ოქტომბერს უნდა მიგვეღო სპეცტანისამოსი, მაგრამ 1927 წლის თებერვალი გადის და ჩვენ სპეცტანისამოსს კი ვერ ვეღირსეთ. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილებაა მუშებში.

ვინ არ იცის ზოგიერთ საამქროებში, თუ როგორი მძიმე და ცხელი სამუშაოებია სადაც მუშას ყოველ ორ-სამ თვეში ახალი ტანსაცმელი სჭირდება. ასეთ პირობებში მყოფნი რაღა თქმა უნდა სამართლიან საყვედურს გამოსთქვამენ. იქნება ფიქრობს ვინმე, რომ ეხლა დაგვიანებულია და ერთი წლის ტანთსაცმლის ეკონომიას გავწევთ. უკაცრავად, ცოტა ანგარიში ჩვენც ვიცით. რადგანაც ჩვენ კუთვნილ ვადას დაუგვიანეთ ტანისამოსის დარიგება, ეხლა იმედია ორივე წლისას ერთად დაგვირიგებთ, რითაც გულს მოულბობთ სამართლიანად ნაწყენ მუშებს. ადგილკომი, საუბნო კომიტეტი, შრომის ინსპექტორი ისმინეთ და ანგარიში გაგვიწიეთ.

დროა ბოლო მოეღოს გულგრილობას და ზოგიერთ კითხვ..ს გვერდის ახვევას.

ვ. ნ. ზ.

მივიღოთ ზომები

მ. გ. მილიციაში 2000-მეტი თანამშრომელი ითვლება. ასეთი ვეებერთელა დაწესებულებისათვის, როგორიც არის მილიცია არ მოეპოვება ერთი საკუთარი სახლი. თუ ჩამორთმეულ იქნა ალმასკომის მიერ რომელიმე შენობა ან აშენდა ახალი სახლი, მილიციელთ არაფერი არ ეძლევათ სარგებლობენ მხოლოდ სხვა დაწესებულებები.

ჩემის აზრით საჭიროა, რომ ქალაქის მომავალ საბჭომ ყურადღება მოაქციოს რომ მილიციისათვის სადმე ერთ-ერთ უბანში აშენდეს სახლი. ყველა მილიციელი მზათაა გადაიხადოს ერთდღიური თანხა სახლის ასაშენებლად.

მე მგონია, რომ ჩვენი კავშირიც გამოეხმაურება ამას და სათანადო დახმარებას გაგვიწევს.

მართალია დღის ყველა კავშირები განიცდიან ბინის კრიზისს, მაგრამ, როგორც მილიციის თანამშრომლები, ასე არვინ არ არის გაჭირვებულ მდგომარეობაში ბინის მხრივ, რასაც აქედანვე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ზ. ადამია.

წითელ არმიელები სასაკლაოს მუშებთან

23 თებერვალს ქ. სასაკლაოს მუშა-მოსამსახურეებს ეწვიენ შეფათ აყვანილი ქართული ლაშქრის ცხენოსანთა მე-66 ნაწილი „მთელი შემადგენლობით. მათ აჩვენეს სასაკლაო. წითელ არმიელნი დაინტერესებული ათვალიერებდენ ყველა განყოფილებებს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე სასაკლაოს მუშაობამ.

პირველ სართზე გაიხსნა მუშების და წითელ არმიელების გაერთიანებული მიტინგი წითელ არმიის 9 წლის თავის აღსანიშნავად. მიტინგი გახსნა ამხ. ალიხანოვმა. სასაკლაოს მუშების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ნავრუზოვმა, რომელიც მოკლედ შეეხო წითელ არმიის 9 წლის არსებობას და მის მნიშვნელობას პროლეტარული რევოლიუციისათვის. შემდეგ ილაპარაკა ამხ. კანდარელმა. წითელ არმიელებიდან ილაპარაკეს ნაწილის უფროსმა გროზმა, ამხ. კარდაშევმა, სამხკომმა, კარალისოვმა და წ.-არმიელმა პეტროსოვმა. მიტინგზე ლაპარაკის დროს უკრავდა ამავე ნაწილის სასულე ორკესტრი.

ივ. გვარამაძე.

ზეიმობა ორჯონიკიძის სახ. კლუბში

პარასკევს, 25 თებერვალს, ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო საღამო.

საქართველოს გასაბჭოების 6 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ანდრო დოლიძემ.

კრებამ მოხსენების ირგვლივ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ ადგილობრივ ქართულ დრამატიულ წრის მიერ ვიქ. ნინიძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა 1 მოქ. პიესა „ზღაპრები სინამდვილიდან“. ეს პიესა აღებულია საქართველოს გასაბჭოების ცხოვრებიდან.

პიესა კარგად ჩატარდა როლების კარგად შესრულების მხრივ. განსაკუთრებით აღსანიშნავია: გ. ნინიძე, გ. პაელიაშვილი, გრ. აფხაზავა, შ. ციბაძე და სხვა. პიესის მწყობრად ჩატარებას ხელს უწყობდენ დანარჩენებიც.

შემდეგ რუსული დრამწრის მიერ ს. რატოვის ხელმძღვანელობით დაიდგა „ინსცენიროვკა“—„ზაპესი“. კარგად იქნა ჩატარებული ეს პიესაც.

საერთოდ ხსენებულ კლუბში წარმატებით ჩატარდა საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავის აღსანიშნავი საღამო.

მუშკორი კ—ძე.

საზეიმო სხდომა

24 თებერვალს თუთუნის ქარხანა „პროლეტარ“-ში შესდგა საზეიმო საღამო საქართველოს გასაბჭოების 6 წლის და წითელი არმიის 9 წლის თავის აღსანიშნავად. მოხსენებით გამოვიდა ამხ. არლოვი. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია.

შემდეგ გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა. ხალხი ნასიამოვნები წავიდენ თავიანთ ბინებში.

ალექსანდრე ბაჯიაშვილი.

ზეიმობა თბილისის საწყობის მუშებს შორის

25 თებერვ. 9 ნახ. საათიდან იწყო მუშა-მოსამსახურეების დენა ადგილკომის ბინის წინ ყველას ეტყობოდა სიხარული, ესალმებოდნენ ერთი-მეორეს და ულოცავდნენ დღესასწაულს. მშრომელთა მხიარულ რაზმს ბუნებაც ხელს უწყობდა, მზე დასცქეროდა თბილი და მომცინარე სახით.

25 თებერვალი არის ნამდვილი და უდიდესი დღესასწაული საქართველოს მუშებისათვის და შეგნებით და ღირსეულად ჩაატარეს იგი, ვინაიდან ყველა გრძნობდა მის მნიშვნელობას. საწყობიდან მუშები გაემგზავრენ მუშათა სასახლეში. სადაც გაიხსნა საზეიმო მიტინგი.

მუშკორი ძია-ლევან.

მუშათა ქრონიკა

ს. პ. კ. ს. პლენუმი

სამშაბათს, ა.-წ. პირველ მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. პროფკავშირთა მე-6-ე ყრილობის მოწვევის შესახებ.
2. პროფკავშირთა საბჭოს გამომცემლობა „შრომა“-ს შესახებ.
3. ფიზკულტურის შესახებ.
4. მოხსენება რესპუბლიკანურ სატარიფო ყრილობის შედეგებზე.

— **წარმოდგენა.** დღეს პლეხანოვის სახ. კლუბში წარმოდგენილი იქნება პიესა „ცოდვა“.

— **კინო სურათი.** დღეს ორჯონიკიძის სახ. კლუბში ნაჩვენები იქნება კინო-სურათი.

— **საღამო.** დღეს რკ. გზ. საშემოსავლო ნაწილის კლუბში საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება საღამო.

— **დღეს** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში საქ. გასაბჭოების 6 წლის თავის გამო გაიმართება საზეიმო საღამო.

— **წრე.** რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს რეშედასის ბიურო ახლო მომავალში აარსებს რეშედასის წევრთა აქტივის წრეს რუსულ და ქართულ ენაზე.

— **პლეხანოვის სახ. კლუბში** საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავის აღსანიშნავად კლუბის ყველა წრეების მონაწილეობით გაიმართება საღამო.

ახალი ქარხნების გახსნა

ბორჯომის სატკეჩე ქარხანა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ექვსი წლის თავზე ზეიმით გაიხსნა ბორჯომის სატკეჩე ქარხანა. საზეიმო მიტინგს დაესწრო 2.000 მუშა, გლეხი და მოსამსახურე, მათ რიცხვში ბორჯომის ახალ არჩეულ საბჭოს წევრები. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდა. საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამხ. ს. ჯუღელი, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოადგილე ვ. ავაქოვი, საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. მაჩაიძე და სხვები. მიღებულია 20 მეტი მისალოცი დეპეშა.

ქარხანაში გატარებულია სრული ელექტროფიკაცია და მექანიზაცია. ქარხანასან მოწყობილია 525 ცხენის ძალოვანი ელექტრო-სადგური, მიტინგმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. სტალინს, რიკოვს, ორჯონიკიძეს, აგრეთვე საქართველოს სახკომსაბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცეკას. (ადს).

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის გახსნა

25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ექვსი წლის თავზე ჩხერიმელის ხეობაში ზეიმით გაიხსნა მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა.

დღის 12 საათისათვის ფაბრიკის შენობასთან თავი მოიყარა 3.000 გლეხმა ახლობელი სოფლებიდან, სოფლის ინტელიგენტებმა, მოწაფეებმა და პიონერებმა.

თბილისიდან ქარხნის გახსნაზე დასასწრებლად ჩამოვიდენ საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. ყურულაშვილი. საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო ტრესტის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრენ აგრეთვე მაზრის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

დღის 12 საათზე შეკრებილი ხალხი გაემართა სამანქანო განყოფილებისაკენ, სადაც ამხ. ყურულაშვილმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა და გადასჭრა წითელი ლენტი ლოკომობილზე. ფაბრიკამ დაიწყო მუშაობა. ყველა ცეხების დათვალიერების შემდეგ ფაბრიკის ეზოში გაიხსნა მიტინგი. (ადს).

საკარბიდო ქარხანა

ს. მ. უ. ს. ახალშენებათა კომიტეტში ამჟამად ამუშავებენ რიონის ჰიდრო-ელსადგურთან კარბიდის დამამზადებელი ქარხნის გახსნის პროექტს.

კარბიდს ხმარობენ ლითონის მრეწველობაში: კარბიდიდან ამზადებენ ნიადაგის განოყიერებელ ნივთიერებებს და სხ. კარბიდის წარმოება განსაკუთრებით გაიზარდა ომიანობის შემდეგ. ომის დაწყებისას ევროპასა და ამერიკაში დაუმზადებიათ 339.000 ტონა კარბიდი.

კარბიდის დასამზადებლათ საჭირო არის იაფი ელექტრონის ენერგია, კარგი ხარისხის კირნარი და ანტრაციტი. ყველა ეს პირობები შესაძლებელს ხდის ქარხნის გასახსნელ საუკეთესო ადგილათ მიჩნეულ იქნეს რიონის ჰიდრო-ელსადგურის ტერიტორია, სადაც მოიპოება კირნარი. ამასთანავე ადვილია ტყიბულიდან მაღალი ხარისხის ქვანახშირის მოზიდვა და ამას გარდა ადგილობრივ შესაძლებელია საკმაო ელექტრო-ენერგიის მიღება.

სპეციალისტების გამოანგარიშებით ჩვენში დამზადებული კარბიდი დაჯდება ორჯერ უფრო იაფი, ვიდრე იგი ღირს ევროპაში.

ახალი სახელმწიფო სესხი

თათბირი ა.-კ. ფინსახკომში

გუშინ ა.-კ. ფინსახკომთან შესდგა თათბირი, ახლად გამოშვებულ 1927 წლის 10 პროცენტიან სახელმწიფო სესხის პოპულიარიზაციის და განაწილების ხელშემწყობ ა.-კ. სპეციალური კომისიის მოწყობის შესახებ. კომისიაში შევლენ: პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ანალოგიური კომისიები მოეწყობა ა.-კ. რესპუბლიკების ფინსახკომებთან.

გარდა ამისა, ადგილებზე შეიქმნება განსაკუთრებული კომისიები. მათი მოვალეობა იქნება—სესხების შესახებ მოხსენებების გამართვა და თავის სამოქმედო ფარგლებში სესხზე ხელის მოწერის კამპანიის ჩატარება.

სესხის ბილეთების გაყიდვა

სახელმწიფო სესხის ბილეთების გაყიდვა დაიწყება 1 მარტიდან და დამთავრდება 1 აპრილს.

საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდება

ამხ. დოგადოვის და მელნიჩანსკის ხელმოწერით, საბჭოთა კავშირის ყველა პროფორგანიზაციებს გუშინ დაეგზავნათ შემდეგი შინაარსის მოწოდება 1927 წ. 10 პროცენტიან სახელმწიფო-მომგებიან სესხის შესახებ:

ხელისუფლება ამ ჟამად ატარებს მორიგ საკრედიტო ოპერაციას, 1927 წ. 10 პროცენტიან მომგებიან სესხის გამოშვებით 100 მილიონის ფარგლებში.

ჩვენი სახელმწიფო სესხები უკანასკნელ ხანებში დიდის წარმატებით სარგებლობენ. მოსახლეობის მიერ თანხების შემონახვა უნდა გახდეს ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების ერთ-ერთ წყაროდ.

მიუხედავად იმისა, რომ 1926 წ. ოქტომბერში გამოშვებული იყო მსხვილი კუპიურები, პროფკავშირის წევრებმა გამოაშკარავეს მისდამი დიდი ინტერესი. მათი მოთხოვნით გამოცხადდა სესხზე ჯგუფობრივი ხელის მოწერა და მას დიდი წარმატება ჰქონდა.

20 თებერვლიდან 1 აპრილამდე დაიწყება ხელის მოწერა 1927 წ. მომგებიან სესხზე. მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფებისათვის დაწესებულია კუპიურების ფასების გადახდა ნაწილ-ნაწილად 6 თვის განმავლობაში. ჯგუფის მონაწილენი 5 მანეთიანი ობლიგაციის ფასს იხდიან შვიდ ნაწილად: პირველად გადიხდიან 60 კაპ. და შემდეგ 70 კაპეიკს. ხელის მოწერა იწარმოებს ნებაყოფლობით საფუძველზე.

პროფორგანიზაციებმა უნდა აღმოუჩინონ ფინსახკომის ორგანოებს ფართო დახმარება ჯგუფობრივ ხელის მოწერის ჩატარების დროს. საჭიროა რაიმე პროფკავშირის ძირითად უჯრედებს მიეცეთ დირექტივა ფინსახკომის ორგანოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, უნდა დაისვას მოხსენებები 1927 წ. სესხის ხელის მოწერის მოწყობის შესახებ კონფერენციებზე და მუშა-მოსამსახურეთა საერთო და სადელეგატო კრებებზე და ყოველმხრივ უნდა იქნას საკავშირო ბეჭდვითი ორგანოები 1927 წ. სახელმწიფო სესხის საკითხების გასაშუქებლად.

ჯგუფობრივი ხელის მოწერა უნდა ტარდებოდეს ადგილობრივ ფინორგანოების მიერ—პროფორგანოებთან მჭიდრო კავშირში“.

ქალთა დღისათვის

მშრომელ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება

შრომის სახალხო კომისარიატში ამხ. არ. მიქაძის თავმჯდომარეობით შესდგა საგანგებო სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩატარების და საერთოდ მშრომელ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამხ. მიქაძის მოხსენების შემდეგ სხდომამ შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა გაატაროს შემდეგი ღონისძიებები: აღებული იქნას სანიმუშოდ ისეთი წარმოება, სადაც მომუშავეთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ და გაუმჯობესებული იქნას მუშაობის ყოველი დარგი მუშა-ქალთა შრომის პირობების გასაადვილებლად, აგრეთვე გაუმჯობესებული იქნას სანიტ-ჰიგიენური მდგომარეობა იმ წარმოებებში, სადაც უმრავლესობას შეადგენენ ქალები, ხოლო შრომის ბაზრის განყოფილებას დაევალა 8 მარტისათვის თბილისში მოაწყოს მშრომელ ქალთა შრომის კოლექტივი; შრომის ბირჟას დაეკისრა 1-დან 8 მარტამდე წარმოებებში დანაწილებული იქნას მოზარდი უმუშევარი ქალები და სხვადასხვა წარმოებებში გადიდებული იქნას საერთოდ სამუშაოდ გასაგზავნ მუშა ქალების პროცენტი. ზედამხედველობის ბიუროს და სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებას წინადადება მიეცა 8 მარტამდე მოაწესრიგოს ის საქმეები, რომლებიც ეხება ქალების სამუშაოდან დათხოვნას, ან სხვა ხასიათის კონფლიქტებს. ამასთანავე ეს საქმეები უნდა გადაწყდეს ქალთა სასარგებლოდ.

სოცდაზღვევის სამმართველოს დაევალა გააძლიეროს უმუშევარ ქალთა დაზღვევის საქმე.

საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტს მიეცა წინადადება 8 მარტამდე ახალ ბინებზე გადაიყვანოს ის მუშა-ქალები, რომლებიც გაჭირვებას განიცდიან უბინაობის, ან ბინის მეტის-მეტ სივიწროვის გამო.

გეოლოგიური ინსტიტუტის

ა.-კ. განყოფილება

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის დირექტორი, აღნიშნულ კომიტეტის ამიერ-კავკასიის განყოფილების მოსაწყობად. ამ განყოფილების ქვე-განყოფილებები კი მოეწყობა ერევანში და ბაქოში.

გეოლოგიურ კომიტეტის განყოფილების დაარსების მიზანია სამთამადნო საქმის შესწავლა და მაღაროების ექსპლოატაციის ხელმძღვანელობა.

განყოფილება თავის ორგანიზაციულ მუშაობაში გამოიყენებს ადგილობრივ დაგროვილ მასალებს და სპეციალისტებს. ესევე განყოფილება შეუდგება გურიის ნავთიან ადგილების, ჩათახის ლითონის ქარხნის, ყოველგვარი სახის ლითონის, ბარიტის და სხვა ახალი მადნეულობის მრეწველობის საკითხების დამუშავება-შესწავლას.

ფსიქო-ტეხ. კაბინეტი

დიდი ხანია თბილისის ქალაქის აღმასკომს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწყო ფსიქო-ტეხნიკური კაბინეტი თბილისში. მისი მოწყობის მიზნით აღმასკომმა გადასდო 3.500 მანეთი. კაბინეტის მოწყობის მიზანია მოახდინოს ფსიქო-ტეხნიკური გამოკვლევა სხვადასხვა კვალიფიციურ მუშათა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობასთან. პირველ რიგში კაბინეტი აწარმოებს ტრამვაის ვატმანთა და შოფერთა ფსიქო-ტეხნიკურ შემოწმებას. კაბინეტის მოწყობის საქმე ამჟამად გადაეცა შესასრულებლად შრომის სახ. კომისარიატის სანიტარულ-ტეხნიკურ ინსპექციას. ინსპექცია შეუდგა ბინის მოძებნას, რის შემდეგ დაიწყება მუშაობა კაბინეტის მოსაწყობად. კაბინეტის მოწყობას ხელმძღვანელობს პროფესორი—დ. უზნაძე.

კულტურულ მიღწევათა გამოფენა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 6 წლის თავზე — 25 თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში გაიხსნა კულტურის დარგში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათა გამოფენა. გამოფენაზე სრულადაა წარმოდგენილი ჩვენი კულტურული მიღწევანი. გამოფენა შესდგება რამოდენიმე განყოფილებიდან: წიგნების გამომცემლობა, სახვითი ხელოვნების დარგი, კარტოგრაფიული ინსტიტუტის პროდუქცია. დიაგრამები სწავლა-განათლების დარგში მიღწეული შედეგების დასახასიათებლათ, მიღწევები ფოტოტიპიურ ბეჭდვაში, მთამსვლელობის ექსპედიციების მუშაობა და სხვ.

გამოფენის ერთი კუთხე დაკავებული აქვს სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. მათში აღსანიშნავია სახალხო მოქანდაკის ნიკოლაძის მიერ დამზადებული — ლენინის ბიუსტი, სესიაშვილის „რევოლიუცია“ და ვ. პატარიძის - „ვაჟა ფშაველა“. წიგნების გამომცემლობის დარგში წარმოდგენილია — გამომცემლობა ეროვნულ უმცირესობათათვის, საბავშვო ლიტერატურა, მეცნიერული და პოპულიარული გამოცემები, ოფიციალური გამოცემანი, გამოცემები მენშევიკების დროს და გასაბჭოების შემდეგ. ყველა ცალკე დარგის შესახებ გამოკრულია დიაგრამები, სადაც მნახველს შეუძლია იქონიოს ნათელი წარმოდგენა ყოველი ცალკე დარგის მიღწევების შესახებ.

საინტერესოა ქართული გამოცემების ზრდის ტენდენცია: საერთოდ ქართული გამოცემების ტირაჟი 1921 წელთან შედარებით გაზრდილია თითქმის ცხრაჯერ; სახელგამის მიერ გამოცემული წიგნების რიცხვი კი შვიდნახევარჯერ. 1926 წლის განმავლობაში სახელგამს გამოუცია ყველა გამოცემების 42 პროცენტი, ხოლო კერძო გამომცემლობებს — 2,7 პროცენტი. დანარჩენი რიცხვი მოდის კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვ. საგამომცემლო ორგანიზაციებზე.

ლამაზადაა გადმოცემული აგრეთვე მუზეუმების მუშაობა. კარტოგრამებით და დიაგრამებით გადმოცემულია მუზეუმის მთელი მიმდინარე საქმიანობა, მუზეუმის კავშირი უცხოეთის ყველა დიდ სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვ.

გამოფენა დიდ ინტერესს იწვევს, რის დამადასტურებელიც ისაა, რომ პირველ ორი დღის განმავლობაში იგი ინახულა 1.589 კაცმა.

გამოფენა ყოველდღე ღიაა დილის 10 საათიდან 2 საათამდე, მისი დახურვა განზრახულია 1-ლ მარტს.

ქრონიკა

შრომის მუზეუმში

ამჟამად შრომის დაცვის განყოფილება აწარმოებს შრომის მუზეუმის საწარმოო განყოფილების მოწყობას. საწარმოო განყოფილებაში დაიდგმება საორთქლო ქვაბი, სახარატო დაზგა და ხის დამამუშავებელი დაზგა.

განყოფილების მოწყობისთანავე მუზეუმში შეუდგებიან ლექციების კითხვას.

ამხ. მაჭავარიანის დანიშვნა

შინაგან საქმეთა ადმინისტრატიული განყოფილების და რესპუბლიკის მილიციის უფროსად დაინიშნა ამხ. მ. მჭავარიანი.

საკლავ საქონლის შესყიდვა სპარსეთში

„მისოტორგმა“ სპარსეთში შეიძინა მსხვილფეხა საქონლის დიდი პარტია. საქონელი შესყიდულია თბილისისათვის.

ამჟამად ეს საქონელი გადმორეკილია სპარსეთიდან ჯულფაში და იტვირთება ვაგონებში. ჯერ-ჯერობით დატვირთულია—15 ვაგონი.

თბილისის აღმასკომში

◆ **საქონლის საკვები ჭარხალი.** სადგილმამულო განყოფილება შეუდგა მაზრაში საქონლის საკვებ ჭარხლის მოყვანის საქმეს.

◆ **სალეწი მანქანა.** აღმასკომმა მაზრისათვის შეიძინა პურის სალეწი მანქანა, რომელიც დღეში იძლევა 600 ფ. გალეწილ პურს.

◆ **საქართველოს გასაბჭოებამდე თბ. მაზრაში** ბამბის ნათესების სივრცე უდრიდა 30 დესეტინას, ამჟამად კი უდრის 1200 დესეტინას.

◆ **ორთაჭალის საბჭოთა მამულთან მოეწყო** ამერიკული ვაზის სანერგე, სადაც წელს მაზრის საჭიროებისათვის დამზადდება 500,000 ძირი ვაზი.

◆ **მერძეობის განვითარების მიზნით** მაზრაში ეწყობა ძროხების საჩვენებელი კვება.

◆ **ზოოლოგიური ბაღი.** ამ დღეებში შეუდგებიან ზოოლოგიურ ბაღის მოსაწყობათ ვერის პარკის დაგეგმვას.

◆ **ქალაქის მუზეუმისათვის** შეძენილი იქნა უკვე დანგრეული ავჭალის აუდიტორიის მოდელი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ფარმაცევტთა კვალიფიკაციის ამაღლება.** ჯანსახკომმა უმაღლეს ორგანოების წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ყველა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მედიკამენტებით მოვაჭრე ორგანიზაციების საერთო ბრუნვა დაბეგრილ იქნას ერთი მეოთხედი პროცენტით და ეს თანხა გადადებულ იქნას ფარმაცევტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

◆ **ინდივიდუალური მოწაფეობა.** ჯანსახკომმა დამტკიცა დებულების პროექტი სამკურნალო-სასანიტარო და საფთიაქო დაწესებულებებში ინდივიდუალურ მოწაფეობის შემოღების შესახებ.

განათლების კომისარიატში

◆ **საქართველოს გასაბჭოების 6 წლის** თავის აღსანიშნავად ქ. სოჭში არსებულ ქართულ სკოლას, ამავე სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთა გადაწყვეტილებით ეწოდა ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელი.

◆ **ჯარში გაწვეულ მასწავლებელთა ხელ**ფასის დასაფარავად განათლების კომისარიატმა სახ. კომისართა საბჭოსაგან გამოითხოვა 14,625 მანეთი.

ახალი წიგნები

რედ. მიიღო სახელ. მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: იაკობ ფანცხავა—სამეცნიერო წერილები, ედ. ერტლი— სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი, თამარ შავერზაშვილი—საბავშვო სიმღერების კრებული, დეამიჩის—აპენინიდან ანდამდე.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

ორშაბათს თბილისის შრომის ბირჟაზე სამუშაოზედ გასაგზავნად უნდა გამოცხადდეს 3 მეთუნუქე და 3 შინა-მოსამსახურე.

სხვადასხვა

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან—ჩეჩკანოვს. მერიდან—პაპიაშვილს. განჯიდან—ჩაევსკის. კრიტოპოლიდან—ე. დ. შვეინბერგს.

შემთხვევები

ვაგონების ნაწილების გატაცება

რამოდენიმე დღის წინად გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საგზაო სატრ. განყ-ბში მიღებული იყო საბ. თბილისის სავაგონო პარკის მუშების კოლექტიური განცხადება იმის შესახებ, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში გახშირდა საბ. თბილისის ხაზზე მდგომ ვაგონებიდან ვაგონების ნაწილების გატაცების შემთხვევები. მართლაც, მუშები გაუკეთებდენ თუ არა ვაგონებს ახალ ნაწილებს, მეორე დღეს მათ ვიღაცა აძრობდა და მიჰქონდა.

მიღებული ზომებით სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საგზაო სატრანსპორტო განყოფილების თანამშრომლებმა მოახერხეს ბოროტმოქმედთა დაპატიმრება. ისინი აღმოჩნდენ ქურდები-რეციდივისტები: ბ. ფურცელაძე და ი. მუხუბულაშვილი. ისინი მორგებული გასაღებებით აღებდენ ვაგონებს და იტაცებდენ: თუჯის ფიცრებს, წყალსადენის მილებს, ფარნებს, გაიკებს და სხვა. რამოდენიმე კვირის განმავლობაში მათ გაიტაცეს 3.000 მანეთის საქონელი.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ნაქურდალს ყიდულობდენ ახალ ბაზარზე მოვაჭრე ტკაჩოვი, აკოპოვი, ჩიხლაძე და ცოვიანოვი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტკაჩოვი, რომელიც რამოდენიმეჯერ იყო პასუხისგებაში მიცემული ნაქურდალი საქონლის ყიდვისათვის. ტკაჩოვს აღმოაჩნდა 2.000 მანეთის ნაქურდალი სახაზინო ქონება; ამას გარდა, ტკაჩოვს აღმოაჩნდა ელექტრო-მოწყობილობა, რომელიც ვინმე გ. ალექსანდროვის მიერ მოპარული იქნა „ელექტრო-სტროი“-ს საწყობიდან. ალექსანდროვი დაპატიმრებულია.

მყიდველების და მტაცებლების საქმე გადაეგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურატურას, ალექსანდროვის საქმე კი ნაქურდალ საქონელთან ერთად გადაიგ-

ბოროტმოქმედთა შეპყრობა

ამ ათი დღის წინათ გაქურდეს ბებუთოვის ქ. № 48 მცხოვრებ მოქ. არუსიაკ ივანეს ასული ზირიკიანის ბინა, საიდანაც წაიღეს ორი ბრილიანტის ბეჭედი, ოთხი ოქროს თათრული ლირა და 100 მანეთი ფულად. მიღებული ზომებით 24 თებერვალს დააპატიმრეს აშხენ იაგორის ასული მატინიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალის ნაწილი.

◆ **რუსთაველის თეატრში 24** თებერვალს მოქ. პიმენ აფხაძეს ჯიბიდან ამოართვეს ტყავის საფულე 20 მან. და სხვადასხვა საბუთებით.

◆ **კვერცხის ქურდი.** 25 თებერ. ცენტრალურ ბაზარში შეიპყრეს გრიგოლ ოგანეზოვი რომელმაც პელაგია ბუნიჩინაიას მოპარა 150 ცალი კვერცხი.

◆ **ამავე დღეს** ქურდობისათვის დააპატიმრეს პეტრეს კირაკოზისძე მანუკიანცი, უბინაო.

◆ **ბოქლომის გატეხის საშუალებით** ასტარაკის ქუჩა № 5 25 თებერვალს გაქურდეს ნინა გარდიშიანის ბინა. წაიღეს 100 მანეთის ნივთები.

◆ **დახრჩობა.** 25 თებერვალს დიდი ხევის ჩასავალთან მდ. მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო უცნობი მოქალაქე.

◆ **დაჭრა.** 25 თებერვალს კვირაცხოვლის ქუჩა № 16 ბარბარე ართემის ასული ცოვიანოვი დანით ზურგში მძიმეთ დასჭრა მისმა სიძემ გევორქ კომხეევმა და მიიმალა.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში** 25 თებერ. პაველ ნერსესოვს ჯიბიდან ამოაცალეს 75 მანეთი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** ამბარცუმ პაპანიანის ბინიდან (ანდრიევის ქუჩა № 37) მოიპარეს წინდების საქსოვი მანქანა.

◆ **ქურდი სტუმარი.** 25 თებერვალს კლარა ცეტკინის ქუჩა № 100 მიხ[illegible] მერზ[illegible]ანოვს მასთან სტუმრათ მყოფმა მოქ. კრაჩენკომ მოპარა საათი და ტყავის ტუჟურკა და მიიმალა.

◆ **თავის მოწამვლა.** 24 თებერ. კამოს სახელობის საავადმყოფოში ორმა უცნობმა მოქალაქემ მოიყვანეს თავმოწამლული მარიამ საველიოს ასული კულაკავა. ძიება სწარმოებს.

◆ **ქურდობა.** 25 თებერვალს რეუტოვის ქ. № 10 ალექსანდრე სოკოლოვის ბინიდან მოიპარეს 105 მ. ნივთები.

◆ **ამავე დღეს** კრილოვის ქუჩა № 8 გაქურდეს ბესარიონ ხუციშვილის ბინა. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

◆ **საარტილერიო საწყობის** ადგილკომიდან მოიპარეს ფულად 70 მანეთი.

◆ **საბურთალოში** 25 თებერვალს მაქსიმე ბოძელის ბინიდან მოიპარეს 2 სული ცხვარი.

◆ **ბოქლომის გატეხის საშუალებით** კალინინის ქუჩა № 56 გაქურდეს არმენაკ დარვეტოვის ბინა. წაიღეს 90 მ. ნივთები.

სასამართლო

განაჩენი ფოთელ პროვოკატორების საქმეზე

ფოთი, 25 თებერვ. 10 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ფოთელ პროვოკატორების საქმეზე. ბრალდებები, წაყენებული ლოლუას, ჟვანიას, ქორქიას, შაპიროსა და პრაწაშვილის მიმართ დამტკიცებულად იქნა ცნობილი. ყველა ბრალდებულებს მიუსაჯეს სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი. სასამართლომ საქართველოს ცაკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა განაჩენის შემსუბუქების შესახებ. (ადს).

მატარებლის დამტვრევა

(მეისრე კიკნაძის საქმე)

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. მ. ჯაჯანიძის თავმჯდომარეობით გაირჩა მეისრე კიკნაძის საქმე.

გასული წლის 26 თებერვალს ბაქოდან ნავთლუღის სადგურში შემოვიდა საბარგო მატარებელი № 103. კიკნაძემ ინგლისური ისარი გადასწია მესამე ლიანდაგში, რის გამო საბარგო მატარებელი დაეჯახა ორთქლმავალს და დაიმტვრა.

უბედური შემთხვევის დროს ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

რკინის გზამ მიიღო 14.000 მანეთის ზარალი.

სასამართლომ კიკნაძე დამნაშავედ სცნო სამსახურისადმი გულგრილობაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა 4 წელი.

სუსლინის, მასხულიას და ტარსეის საქმე

გუშინდელ სხდომაზე გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ლ. ელენტმა სამივე ბრალდებულებს მოხსნა ბრალდება ქრთამის აღებისა და მიცემის შესახებ.

პროკურორმა მოითხოვა ბრალდებულ სუსლინის პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია ყალბი საბუთების შედგენა.

შემდეგ ილაპარაკეს დამცველებმა: პ. ქავთარაძემ, შ. მესხიშვილმა და გრ. ბარათაშვილმა.

განაჩენი გამოტანილი იქნება ხვალ.

შოფერ ჯარაშნელოვის საქმე

გასული წლის ივლისში საქართველოს სამხედრო გზაზე ავტომობილს, რომელსაც მართავდა შოფერი ადამ ჯარაშნელოვი მარცხი შემთხვა.

უბედური შემთხვევის დროს სასიკვდილოდ დაშავდა მოქ. ვასილენკო, მსუბუქად დაიჭრა ტერ-ოსკანოვი.

გამოირკვა, რომ შოფერი მთვრალი იყო.

წინასწარ გამოძიებაზე დადასტურდა ის გარემოება, რომ კატასტროფა გამოიწვია შოფერის დაუდევრობამ.

ჯარაშნელოვის საქმე ამ ახლო ხანში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

ბოროტმოქმედები

სატრანსპორტო კოოპერაციაში

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საგზაო სატრანსპორტო განყოფილებამ დაამთავრა გამოძიება საქმის, რომელიც ეხება ფართლეულობით ბოროტმოქმედებას „ზაკტპო“-ს მაღაზიებში.

ამ საქმის გამო დაპატიმრებულია: ი. ნაზაროვი, ი. სარქისოვი, ა. ალავერდი, ა. ბარამიძე—„ზაკტპო“-ს მაღაზიების ნოქრები და ვაჭარი მიხეილ როიტენბერგი.

ბოროტმოქმედება ფართლეულობით ხდებოდა შემდეგნაირად:

— მიუხედავათ იმისა, რომ „ზაკტპო“ უკანასკნელ ხანებში საკმაო რაოდენობით იღებდა ფართლეულობას, როგორც სითეთრეულის ქსოვილებს, ისე ბამბაზიას, მუშები—კოოპერატივის წევრები საყვედურს აცხადებდენ იმის გამო, რომ პირველი მოთხოვნილების საქონელი ხშირად ხელში უვარდებოდა სპეკულიანტებს. „ზაკტპო“-ს მაღაზიებში ასეთი საქონლის უქონლობის გამო, მუშა-წევრები იძულებული იყვნენ საჭირო მანუფაქტურა ეყიდათ სპეკულიანტებთან და ერთი ხამად მეტი გადაეხადათ მასში.

ამ საქმის გამო დაპატიმრებულმა მ. როიტენბერგმა გამოამჟღავნა ბოროტმოქმედობების ნამდვილი სურათი, რომელიც დიდხანს დაფარული იყო; მან სთქვა, რომ იგი შეთანხმებული იყო „ზაკტპო“-ს № 6 მაღაზიის ნოქრებთან—სარქისიანთან და ნაზაროვთან, აძლევდა მათ ერთგვარ გასამრჯელოს, რისი წყალობითაც საშუალება ჰქონდა შეეძინა საუკეთესო საქონელი, რომელსაც შემდეგ გადიდებულ ფასებში ყიდდა კერძო ვაჭრებზე, როგორიც არის მაგალითად, ბეზრუჩკო, გრენცი და სხვები.

პირისპირ შეხვედრისას სარქისიანი და ნაზაროვი გამოტყდენ დანაშაულში. ორივე ისინი როიტენბერგთან წინასწარი შეთანხმებით აძლევდენ მას პირველი მოთხოვნილების საქონელს დიდი პარტიობით, რაშიაც იღებდენ ფულად ქრთამს. კონტროლს ყურადღება რომ არ მიექცია გაცემულ საქონლის დი.. რაოდენობაზე, ნოქრები სწერდენ რამოდენიმე ჩეკს. საქონლის გაყიდვის შემდეგ როიტენბერგი მათ აძლევდა ჯილდოს, რომლის თანხა ხანდახან აღწევდა 150 მანეთს.

№ 1 მაღაზიის ნოქარი ალავერდი, იცნობდა რა როიტენბერგს, როგორც სპეკულიანტს აძლევდა მას პირველი მოთხოვნილების საქონელს. ის ხანდახან აფრთხილებდა როიტენბერგს, რომ თვითონ არ მისულიყო მაღაზიაში საქონლის წამოსაღებად, არამედ გაეგზავნა თავისი ცოლი ან დედა, რადგან მას მაღაზიაში მრავალი იცნობდა, როგორც სპეკულიანტს.

ა. ბარამიძე, რომელიც წინეთ № 6 მაღაზიაში მსახურობდა, სარგებლობდა იმით, რომ ნაზაროვი და სარქისოვი მისი მეგობრები იყვნენ, იღებდა მათგან მანუფაქტურას დიდის რაოდენობით და ყიდდა როიტენბერგზე, რაშიაც საკომისიო ჯილდოს იღებდა თვითეულჯერ 10 მანეთამდე.

ასეთი მახინაციებით ამ კამპანიამ „ზაკტპო“-ს მაღაზიებიდან გამოიტანა ფართლეულობის დიდი რაოდენობა, რითაც საჭირო საქონელი მოაკლო მუშებს—კოოპერატივების წევრებს და გაამდიდრა კერძო ბაზარი.

დაპატიმრებული ი. ნაზაროვი, ი. სარქისოვა, მ. როიტენბერგი და ა. ბარამიძე გადაგზავნილი არიან სპეციალური დანიშნულების იზოლატორში. საქმე გადაეცა პროკურატურას.

ხელოვნება

სახელმწიფო დრამა

„საჭე მარცხნივ“, დრ. 4 მოქ. ბილ-ბელოცერკოვსკის—თარგმანი ს. ჩიქოვანის. დადგმა ახმეტელის—მხატვარი ი. გამრეკელი.

ბილ-ბელოცერკოვსკის პიესა „საჭე-მარცხნივ“ მის სხვა პიესების მსგავსად მოკლებულია განსაზღვრულ დრამატიულ სიუჟეტს, ინტრიგის მორგვის თანამიმდევარ, სწორხაზოვან გაშლას და მკაფიოდ მოხაზულ, რელიეფურად გამოვლინებულ პერსონაჟს. მოქმედება აქ იშლება ერთმანეთთან შეუკოწიწებელ კინო-ლენტის კადრების მსგავსად. თვითეულ კადრს თავისი საკუთარი განწყობილება და ინტენციონალური დინამიკა ახასიათებს, უკანასკნელი არ გადადის შემადგენელი ნაწილის, რეზულტანტის სახით მიმდევნო სურათში.

პიესის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს მეზღვაურების ყოფაცხოვრებრივ მხატვრობას, რომელშიდაც ავტორს, გარდა საერთო ტლანქ-უხეშ დისპოზიციისა, ვერ შეუნიშნავს რაიმე ცხოვრებრივი და ტიპიური. აქ არის მხოლოდ სუსტი ცდა პიესის გამსჭვალვის, ერთი ძირითადი განწყობილებით, რომლის ტონი აღებულია ზღვის ტალღების ცემისაგან გემის ბაქანზე და მკვეთრ, მრისხანე საშტორმო კომანდისაგან. თითქოს ქარიშხლის გუგუნში და ანძების ჭრიალში სურს ავტორს მოგვცეს იმ დაგუბებულ მეამბოხური, ვულკანურ განწყობილების სიმბოლიკა, რომელიც მხოლოდ აქა-იქ კანტი-კუნტად გადმოსროლილ სიტყვებში მჟღავნდება. მაგრამ ეს განწყობილება ხშირად ბოლომდის არაა გატანილი, მეტის მეტად ზოგადი, გახუსაზღვრელი და გაურკვეველია.

საკუთრივ რევოლიუციონური სული პიესის პირველ სამ მოქმედებაში ბუნდოვან, მელოდრამატიულ ტონებში განცდილ, მეზღვაურების გაურკვეველ ანტი იმპერიალისტურ განწყობილებაში არის მოცემული. მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებებში ხდება ეს გაურკვეველი, „სადღაც“ და „ოდესღაც“-ის ნიშნის ქვეშ მდგომ განწყობილების კონკრეტიზაცია, ისტორიულ და ადგილობრივ გარემოში გაშლა. ავტორის „უპრაგონო“ ფანტაზიას ერთი ხელის დაკვრით გადავყევართ სამოქალაქო ომის, ინტერვენციის, არხანგელსკის ამბების ორომტრიალში. მაგრამ ამ უცაბედ მობრუნებაზე პიესა სუსტი „აგიტკის“ ხასიათს იღებს, ჭარბი სოციალური დატენილობით. შემდეგ დასასრული პიესის, საჭის მარცხნივ მობრუნება და ბრძოლის ველისაგან სახლისაკენ მიმართულების აღება, თუნდაც ისტორიულ სინამდვილით გამართლებული, სცენიურად ვერ არის დიდად ეფექტიური.

მრავალრიცხოვანი პერსონაჟი თვით მთავარ გმირებშიც საშინლად სუსტადაა მოხაზული. ხშირად ეს არის ადამიანი ფორმულა, განყენებული გვარეობითი ცნებები—ასე მაგ. სუბიექტი, სუტენერი, ინვალიდი, როსკიპი და სხვ.

ამ პიესის დადგმა საგრძნობი ნაბიჯია წინ. არტისტულ მასალის დამუშავების და შესრულების თვალსაზრისით იგივე არ ითქმის. ამ სპექტაკლისათვის, რომელიც თავისთავადაც დიდ მასალას არ იძლევა მხატვრულად დასრულებულ სცენიურ სახეების შესაქმნელად, გამოყენებულია ჩვენი თეატრის მეუმცროსეთა შემადგენლობა და ამდენად სპექტაკლი საცდელ ხასიათს ატარებს. უკანასკნელებმა კი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ვერა თუ ვერ შესძლეს პიესაში მოცემულ მშრალ, ხორცშეუსხმელ პერსონაჟის—ადამიანი — ფორმულების გაშლა გამოცოცხლება, რაიმე მიმართულებით განვითარება, ვერა თუ ვერ შესძლეს აქ მოცემულ ჯგუფების კოლექტიურ ნიღბების კონკრეტიზაცია და ინდივიდუაცია, პირიქით, ზოგიერთ სცენებში უჭირდათ ამ კოლექტიურ ნიღბის გამოტანა, საერთო, მასიურ განწყობილების გადმოცემაც. ხშირად მათ პიესის ტექსტიც ვერ მიიტანეს გასაგონარ და გამართული ქართულით მაყურებლამდის.

განსაკუთრებით სდგას მეორე—აქტი-ბარი, რომლის დადგმა [illegible] თვით პიესის სულისკვეთების სწორი ტრაქტოვკის თვალსაზრისით.

დადგმის სიმძიმის ცენტრის სანახაობრივ მხარეში გადატანით და ტრაგიულ ვაკხანურ თვით კმაყოფილების განწყობილებაში, იჩრდილება დრამის სოციალური მხარე, რომელიც ამ აქტში თუმც ავტორის ტენდენციოზურ პროექტორით გაშუქებული, ნაძალადევად შექმნილ კოლიზიებში, მაინც სხვა მოქმედებებზე უფრო რელიეფურად არის მოცემული. გარდა ამისა ნატურალიზმის განვითარება ამ მიმართულებით მაყურებლის დაბალ ინსტიქტებზეა ნავარაუდევი და ამ მიმართულებით წინსვლას ერთგვარ ჩიხში შევყევართ.

შხეფი

ლიტერატურული საღამო

კვირას, 27 თებერვალს, საღ. 7 საათზე, საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიერ ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ინტერნაციონალური საღამო, ქართველი, რუსი, თურქი და სომეხ პროლეტ. მწერალთა მონაწილეობით. „პროლეტარული მწერლობის ინტერნაციონალური რაზმის შესახებ“ მოხსენებას გააკეთებენ ამხ. ვ. სუტირინი, და ბ. ბუაჩიძე. მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი მწერლები: აკოფ-აკოპიანი, ი. ვაკელი, ვირთანოვი, დობროვოლსკი, ს. ეული, ნოე ზომლეთელი, ქ. კალაძე, კამსკი, კარმენი, ქ. ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, მაგერი, იურიხი, სულეიმან-გუსეინ-ზადე, სტორი, პ. სამსონიძე, შ. ნავთლუღელი, დ. რონდელი, გ. შინატხელი, გ. ხიჩუაშვილი, ჯ. ფეოდოსიშვილი.

სახელმწიფო ოპერა

„ტრავიატა“.

ვიოლეტა ვალერის (ტრავიატა) პარტიაში გამოვიდა [illegible] შემავალ [illegible] შეუცვლელი [illegible] შესრულებით, რომლის დამახასიათებელი მხარეა ბუნებრიობა როგორც ვოკალურ, ისე სცენიურ გადმოცემაში, ხმის ხავერდოვანი ტემბრი, ინტუიცია და ემოციალობა. შესრულებაში არის ინდივიდუალობის ნიშნები—ეს არის ტემპის შენელება და ლამაზი ფრაზიროვკა. რასაკვირველია, ასეთი გადახვევა პარტიტურიდან იტალიანურ ოპერაში, ისიც ვიოლეტას პარტიაში, შესაძლებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭიროა წინასწარ შეთანხმება დირიჟორთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა რიტმი.

შემდეგ დაუშვებელია (განსაკუთრებით გასტროლიორისათვის) თანამედროვე კოსტიუმში გამოსვლა ისეთ ოპერაში, რომლის მოქმედება სწარმოებს გასული საუკუნის პირველ ნახევარში (1833 წელში). მიუღებელია აგრეთვე ცალკე ადგილების განმეორება, ეს არღვევს წარმოდგენის მთლიანობას.

საუცხოვოდ მღერის ალფრედის პარტიას კონსბურგი (განსაკუთრებით პირველი დიალოგი ვიოლეტასთან და ფინალური სცენა); მკრთალად იყო შესრულებული არია პირველ მოქმედებაში.

ვენაძეს კარგად აქვს დამუშავებული ჟორჟ ჟერმონის პარტია.

ორკესტრი ყოველთვის მტკიცეთ ვერ უძღვება პარტიებს (დიდი ფინალი მესამე მოქმედებაში, პირველ აქტის პირველი სცენა, მეოთხე აქტის ინტროდუქცია).

ა. ა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ალიო არსენიშვილმა** გადმოთარგმნა ქართულად პროსპერ მერიმეს რომანი „კარმენ“.

◆ **„თავადის ასული მერი“:** ახლო ხანში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „ჩვენი დროის გმირის“ ციკლიდან „თავადის ასული მერი“.

◆ **მერი პიკფორდის მონაწილეობით** კინო მინიონში მიდის ახალი სურათი „როცა თოვლი დადნება“.

◆ **„საჭე მარცხნივ“.** რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება: „საჭე მარცხნივ“.

◆ **ხტეფანოვას საგასტროლოდ** დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერის თეატრში „ლაკმე“.

◆ **„ზოიას ბინა“.** დღეს მუშათა თეატრში წარმოდგენილი იქნება „ზოიას ბინა“.

◆ **ცეკვის საღამო.** დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ცეკვის საღამო.

◆ **„ვეფხის ტყაოსნის შესახებ“.** სახელმწიფო უნივ. მუშფაკში დღეს საღამოს 7 ს. კონ. ჭიჭინაძე წაიკითხავს თავის მოხსენების გაგრძელებას „ვეფხის ტყაოსნის შესახებ“.

◆ **„სამი სიცოცხლე“.** დღეს განათლების მუშაკთა სახლში ნაჩვენები იქნება კინო-სურათი „სამი სიცოცხლე“.

◆ **კონსერვატორიაში ორშაბათს** გაიმართება ახალგაზრდა მომღერალის ინგუროლის კონცერტი.

— **„მიზანი“.** გამოვიდა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშათა წრის სალიტერატურო და სამხატვრო ალმანახი „მიზანი“ № 2.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** ორშაბათს 28 თებერვალს საღ. 6 საათზე შესდგება მორიგი ლიტ. კრება „ახ. კომ.“ რედაქციის ბინაზე.

დღის წესრიგი: 1) კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოხსენება: „ლექსი ხელოვნების“ შესახებ. 2) მასალების განხილვა.

◆ **მუშათა თეატრის** ქართული დრამა ამზადებს დასადგმელად პიესა „რობერტ ტიმ“— დადგმა მიხ. ქორელის და ვახტ. აბაშიძის.

◆ **„წარღვნა“.** მესამე პრემიერად ქუთაისის აკადემიური დრამა ნიკოლოზ გოძიაშვილის რეჟისორობით უახლოეს დროში სდგამს ბერგერის სამ მოქმედებიან პიესას „წარღვნა“.

◆ **ვ. ა. პოსეს ლექცია.** სამშაბათს 1 მარტს, საღამოს 8 საათზე, სახელმწიფო კონსერვატორიაში ცნობილი მწერალი ვ. ა. პოსე წაიკითხავს ლექციას: „სიმართლე ქალების შესახებ“.

◆ **იბეჭდება** და ამ დღეებში გამოვა ქ. გულიაშვილის ბროშიურა „განთავისუფლებული სიყვარული“.

◆ **სახ. კონსერვატორიის დარბაზში** ორშაბათს, 28 თებერვალს, გაიმართება ნაჭყებია-ინგუროლის კონცერტი. მონაწილეობენ: გოგლიჩიძე, გაბაშიძე, მრავალი, ნიკოლაძე, სუზაჯიანი, ჭრელაშვილი, ანდღულაძე, ბადრიძე, დოლიძე, ქუმსიაშვილი, მჭედლიძე, ცირეკიძე, ეპიტაშვილი, ხომაშურიძე; როიალთან—ე. ანდრონიკაშვილი.

— **საქართველოს პროლეტარულ მწერალთა** ასოციაციის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, რომელიც დანიშნული იყო კვირას 27 თებერვალს, გადადებულია 5 მარტისათვის.

— **ორშაბათს,** 28 თებერვალს, დღის 1 (პირველ) საათზე, ს. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილების გამგის კაბინეტში მოწვეულია, ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების წარმომადგენლების თათბირი. საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ქ. ფოთში ამჟამად მიმდინარე პროვოკატორთა პროცესში ბრალდებულის სკამზე ზის ვინმე ნესტორ ქორქია, ჩემ ნაცნობ მეგობრებს, რომლებიც ცხოვრობენ რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას, ეს ქორქია გაუგებრობით ვგონივართ. ვინაიდან ზემო აღნიშნულ პიროვნებასთან არავითარი ნათესაური, არც მეგობრული კავშირი არ მქონია და მით უმეტეს სრულიადაც არ ვიცნობ მას, გთხოვთ ნება მომცეთ გამოვაცხადო, რომ ფოთში პროვოკატორთ გასამართლების პროცესში საბჭოთა ხელისუფლების სამჯავროს წინაშე წამდგარი ნესტორ ქორქია არ ვარ. მე გვარი ჯერ კიდევ 1925 წელში გამოვიცვალე და დღეს რიონელათ ვიწოდები.

პატივისცემით ნესტორ გრიგორისძე (ქორქია) რიონელი.

იურიდიული დახმარება

ქალ. აღმასკომის სასაკლაოს მუშას ამხ. არსენ იოსებაშვილს

თქვენ გვწერთ, რომ რამოდენიმე ხნის წინეთ ვაჭარ კოსტა კირვალიძისაგან მატერიალური გაჭირვების გამო ისესხეთ ასი მანეთი. კირვალიძემ ისარგებლა თქვენი გაჭირვებული მდგომარეობით და ხელი მოგაწერიათ ორას მანეთიან ვექსილზე. ხუთი თვის შემდეგ კირვალიძისათვის მიგიციათ ორმოცდაათი მანეთი და ვალის სრულად გასასწორებლად შეგიძლევიათ კიდევ ასი მანეთი, რაც მას არ მიუღია და მოუთხოვია თქვენთვის 200 მან. (თავნი) და მასთან %-იც ასოცდაათი მანეთის რაოდენობით—სულ კი 330 მან. თქვენ ამის გადახდის არც სურვილი და არც საშუალება გაქვთ, ამიტომ კირვალიძის თქვენი ვექსილი ბანკში დაუგირავებია, ეხლა გვეკითხებით—კანონიერია თუ არა მოქ. კირვალიძის მოთხოვნა, როგორ უნდა მოიქცეთ და ვის უნდა მიმართოთ.

ვპასუხებთ:

თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33, 32, 31 და 56-ისა, ყოველგვარი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ანგარებით, მოტყუებით და მუშა-მოსამსახურეთა გაჭირვებულ მდგომარეობის ბოროტ განზრახვით გამოყენებით გაბათილებულად ჩაითვლება და მას კანონიერი ხელშეკრულების ძალა არა აქვს. ამის შესახებ გირჩევთ მიმართოთ სათანადო რაიონის სახალხო სასამართლოს განცხადებით და მოითხოვოთ ვექსილის გაბათილება მის მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ისეთ თანხას, რაც თქვენ ფაქტიურად არ მიგიღიათ მოქ. კირვალიძისაგან.

მინდა ჩემ მეზობელ ღარიბ გლეხს მივყიდო სახლი და სხვა ნაგებობანი. მაქვს თუ არა ამის უფლება

სოფ. ჩხოროწყუს მცხ. გლეხი ბ.—ია.

პასუხი

თანახმად საქართველოს ცაკის დადგენილება № 9-ისა—1927 წ. პირველ თებერვლიდან (გამოქვეყნ. გაზ. „კომუნისტი“-ს № 30—1785-ში ა. წ. 8 თებერვლიდან) თქვენ გაქვთ უფლება გაყიდოთ სახლი და სხ. ნაგებობანი, თუ კი ესენი იქნება აღებული და სხვაგან გადატანილი, იმ პირზე, ვისაც თქვენ გსურთ მიყიდოთ ესენი. მაგრამ თუ კი თქვენ გსურს გაყიდოთ ეს შენობები ისე, რომ ესენი არ იქნეს აღებული იმ ადგილიდან, სადაც ეხლა არის, მაშინ უნდა იქნეს დაცული ასეთი წესები: ეს შენობები შეიძლება მიეყიდოს ან და გადაეცეს მხოლოდ იმ პირს, ვისაც სადგილმამულო ორგანოების მიერ არსებული წესისამებრ გადაეცემა ის მიწა, რაზედაც აღნიშნული ნაგებობა და შენობაა აღმართული. ასეთი გაყიდვა ან გადაცემა შენობებისა აუცილებლად უნდა იქნეს გატარებული რეგისტრაციაში ადგილთემის აღმასკომში.

ამგვარი გარიგებისათვის სანოტარო დამოწმება საჭირო არ არის.

პარტიული კალენდარი

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ორშაბათს, 28 თებერვალს საღამოს სრულ 5 საათზე რუსთაველის თეატრში შესდგება საქართველოს კომკავშირის თბილისის აქტივის სხდომა.

დღის წესრიგში სდგას:

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცეკას მოხსენება (მომხსენებელი საქ. ლენინურ კომკავშირის ცეკას მდივანი ამხ. მატვეევი).

სხდომაზე მოწვეულნი არიან კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომკავშირის ცეკას წევრები (რომლებიც შემოდიან თავისი მანდატებით), თბილისის კომიტეტის და რაიკომების წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიებთან ერთად და აგრეთვე უჯრედთა ბიუროების წევრები და მდივნები, საუჯრედო კომისიების წევრებთან ერთად, რომელთაც ბილეთები ეძლევათ რაიკომებში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ კვირას 27 თებერვალს დილის 11 საათზე თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში:

1) სარა ნაუმის ასული გოლდბაუმი, 2) თამარა ვასილის ასული როინაშვილი, 3) ანატოლი პავლეს ძე მიხაილოვი, 4) მიხეილ ბორისის ძე ვოცირიძე, 5) მარიამ ანდრიას ასული ფოცხიშვილი, 6) ლევან არკადის ძე კოსტანიანი, 7) ალექსანდრე გიორგის ძე ჭეჭიაშვილი, 8) პარმენ თეიმურაზის ძე რატიანი, 9) მარიამ ივანეს ასული მენცემაშვილი, 10) აპოლონ ტრიფონის ძე ჯიმუხაძე, 11) ლეონტი მაქსიმეს ძე ხურუა, 12) მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვი.

ორშაბათს, 28 თებერვალს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის საერთო-სარაიონო სადელეგატო კრება უჯრედების ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

დღის წესრიგში დასმულია საკითხი ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩატარების შესახებ.

სავალდებულოა უჯრედების ქალთა ორგანიზატორების დასწრება.

ლენრაიონის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება აუწყებს ყველა დელეგატებს, რომ ორშაბათს 28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

ორშაბათს 1927 წლ. 28 თებერვალს დილის სრულ 11 საათზე, შესდგება საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა. სავალდებულოა კომკავშირის იმ კანდიდატების დასწრება, რომელთა ანკეტები დამტკიცებულ უნდა იქნეს მიმღები კომისიის მიერ.

ორშაბათს 28 თებერვალს დღის 12 საათზე დანიშნულია საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკასთან არსებულ საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა. დასწრება კომისიის ყველა წევრების და აგრეთვე სახ. უნივერსიტეტის და ქარ. მუშფაკის ბიურო კოლექტივის პ. მ. მდივნების სავალდებულოა.

ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ დაესწრონ დაუგვიანებლად. ამხ. კონსტანტინე ხოჯევანოვს, სერაფიონ ქვენიშვილს, ანტონ არეშიძეს, დავით ფალავას, შაშოები ვართანის, მარტიროსოვი ალექსი, ურთმელიძე ალექსი, კველიშვილი გრიშა, ფანჯაკიძე (რაჭიდან).

— ორშაბათს, 28 თებერვალს საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში მოწვეულია ანტირელიგიური კომისიის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების:

ვალიკა, ჩხიკვაძე, ახმედოვი, არლოვი, ნაჯაფოვი, მახარაძე (თბ. კომ.) ლომთათიძე, ბოგდანოვი, დიმოევი და აროუთინოვი.

ქრონიკა.

მეცნიერება და ტექნიკა

მეხსიერების მანქანა

საფრანგეთში გამოიგონეს ისეთი აპარატი, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს საქმიანი ცხოვრების მოწესრიგებაში. ეს აპარატი მეხსიერების მაგიერობას ასრულებს. გამომგონებლის მიზანია: „საქმით დატვირთულ ადამიანის განთავისუფლება საკუთარი მეხსიერების არასაიმედო ტყვეობისაგან. იქ. სადაც გამოანგარიშებულია საათის თვითეული მეოთხედი, შეუძლებელია დაეყრდნო მეხსიერებას და უბის წიგნაკს. წიგნაკის უბიდან ამოსაღებად, საჭიროა მოგონება, გახსენება. ეს აპარატი (რომელიც სწრაფად გავრცელდა საფრანგეთში), ყოველ საჭირო მომენტში ზარის წკარუნით მოაგონებს კაცს, თუ რა საქმე უნდა გააკეთოს დანიშნულ დროს.

მსუბუქ და ადვილ სატარებელ ხის ბიუვარის მსგავს ფიცარზე დამაგრებულია: ზევით პატარა საათი, ხოლო გვერდებზე — თოფის ჩახმახის მსგავსი ორი სანიშნებელი, რომლებიც ღერძზე მოძრაობენ. ბიუვარის თითქმის მთელი გვერდი უჭირავს კალენდარის 365 ფურცელს, რომელიც ვერტიკალური ხაზით ორად არის გაყოფილი. მარცხენა მხარეზე ინიშნება დღის პირველ ნახევრის (6 საათის) განმავლობაში შესასრულებელი საქმეები, ხოლო მეორე მხარეზე—დღის მეორე ნახევარში შესასრულებელი საქმეები.

მთელი დღიური ფურცელი დაყოფილია 24 ნაწილად: თხუთმეტ - თხუთმეტ წუთი თითეულში. საათის ამ მეოთხედებს შეეფარდება სანიშნებელი ჩახმახი.

მაგალითად, დილის 10¼ ს. და საღამოს 7¾ ს. შესასრულებელ საქმეების დასახსომებლად, წინდღით სათანადო ნაწილებში იწერება რამდენიმე გასაკეთებელი საქმის სანიშნებელი სიტყვა და მოიმართება აღნიშნულ ნაწილების სათანადო ჩახმახები. სწორედ დანიშნულ მომენტში მეხსიერების მანქანა ზარის წკარუნით მოაგონებს გასაკეთებელ საქმეს.

მეხსიერების მანქანის მექანიზმი მეტად მარტივია: საათის მექანიზმთან დაკავშირებული მოქნილი ფოლადი. უსაზღვრო ზონარი მოძრაობს ორ ღერძს შუა, 24 საათში ერთი მობრუნების სისწრაფით. ერთ ადგილზე ამ ზონარს გაკეთებული აქვს მახვილი ისარი. როდესაც ეს ისარი შეხვდება აყენებულ ჩახმახზე გაკეთებულ ბერტოხს (выступ), მაშინ ზონარი იწყებს ზნექას და ამით მოძრაობაში მოჰყავს ზარის ჩაქუჩი. თუ მანქანის პატრონი იმ დროს არ იქნება ოთახში და ვერ გაიგონებს ზარის ხმას, მაშინ, „მექანიკური მეხსიერება“ გასაკეთებელ საქმეს მოაგონებს წითელი სანიშნებელი ფირფიტით.

საქმეებით დატვირთულ კაცს ახალი აღმოჩენა ბევრ ძვირფას სამსახურს გაუწევს.

ქ. ზ.

თხელი სინათლე

ატლანტის ოკეანეში, ინგლისის სანაპიროების ახლოს მრავლათ ცხოვრობს პატარა თევზი, მოკლე მახინჯი თავით. ლათინურათ ამ თევზს ეწოდება „Malococefaljs lacvis“. ინგლისელი მეთევზეებს კი ამ თევზისათვის არავითარი სახელი არა აქვთ, რადგან მას საჭმელად არ ხმარობენ.

უკანასკნელ ხანებში ამ თევზმა მიიპყრო ზოოლოგების ყურადღება იმით, რომ განსაზღვრულ მომენტებში იგი თავისი ტანიდან გამოყოფს მანათობელ ნივთიერების დიდ წვეთს.

ვერც ციცინათელები, ვერც მანათობელი ბუზები და მანათობელი თევზები გამოყოფილი სინათლის სიძლიერით ვერ შედრებიან ამ გრძელკუდიან (ამ თევზის ტანის სიგრძე სამ დიუმს უდრის. კუდის კი—10-ს) მახინჯ თევზს. მის მიერ გამოყოფილი ასი წვეთი სინათლის ძალა უდრის ერთი სანთლის სინათლის ძალას. შუშის ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებულია მანათობელი სითხის ხსნარი, სიბნელეში გადაღებული ჩვეულებრივი აპარატით, საკმაოთ გარკვეულ სურათს იძლევა.

თევზი მანათობელი სითხით სარგებლობს, როგორც თავდაცვის საშუალებით: მტერთან შეხვედრის დროს თევზი გამოყოფს მანათობელ სითხეს, მოულოდნელი სინათლე ერთი წუთით აბრმავებს მტერს და თევზი ასწრებს გაქცევას.

მეცნიერებმა ჯერ-ჯერობით ვერ გამოარკვიეს ციცინათელებისა და მანათობელ თევზების სინათლის ქიმიური შემადგენლობა. ეს მახინჯი თევზი კი, რომლის სინათლე მაშხალასავით ისვრის თითეული საფრთხის დროს, ამ მხრივ მკვლევარებს დიდ შესაძლებლობას უხსნის.

ბრძოლა ჭლექთან

პროფესორმა კალმეტმა (პასტერის ინსტიტუტი პარიზში) აღმოაჩინა ბავშვთა ჭლექთან ბრძოლის ახალი საშუალება. პროფ. კალმეტი 15 წლის განმავლობაში ამრავლებდა ჭლექის ბაცილებს ქართოფილში, რომლებსაც შემდეგ ათავსებდა გალების სითხეში. ამის გამო ბაცილების სიცოცხლის უნარიანობა სუსტდება და ცხოველებისათვის აცრის დროს მათ აღარ შეუძლიათ ჭლექის გამოწვევა. 1924 წლიდან კალმეტი შეუდგა ჭლექის აცრის ბავშვებისათვის ხბოებიდან მიღებული შრატით. ხბოების კი აცრილი ჭლექიდან ზემოთ - აღწერილი წესით დასუსტებული ბაცილებით. აცრეს 5.000 ბავშვს, რომელთაგან 600 ჭლექიანი მშობლების შვილები იყვნენ. სტატისტიკური ცნობებით, ასეთი ბავშვებიდან ოთხში ერთი უსათუოდ კვდება პირველ წელიწადს, აცრის შემდეგ ექვსასი ბავშვიდან მოკვდა მხოლოდ თერთმეტი (150 ნაცვლად).

აეროპლანი მოძრავი ფრთებით

კალიფორნიის ტეხნოლოგიური ინსტიტუტის კონსტრუქტორმა ა. მერლიმ შეიმუშავა ბიპლანის ახალი ტიპი მოძრავი ფრთებით. ეს ბიპლანი ადვილად იცვლის სიმაღლესა და ფრენის მიმართულებას და ამავე დროს მუდამ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში იმყოფება დედამიწის მიმართ.

ამ აეროპლანის ერთი მეტად საგულისხმო თვისება წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია გაჩერებული მოტორით დაშვება დაბლა 7 ვერსზე ნაკლები სისწრაფით საათში.

მერილლი ამტკიცებს, რომ მოძრავ ფრთების სისტემა უზრუნველყოფს აპარატის მაქსიმალურ წონასწორობას ყოველგვარ პირობებში.

აეროპლანის გამოცდამ საუცხოვო შედეგები გამოიღო. მერილლის სისტემის ბიპლანმა დაამთავრა გამოცდა და უკვე აქვს 1800 ვერსის მანძილზე გაფრენის სტაჟი.

უმაღლესი სახლი მსოფლიოში

ნიუ-იორკში ამჟამად შენდება 117 სართულიანი სახლი, რომლის სიმაღლე იქნება 1208 ფუტი (172 საჟენზე მეტი).

ეს სახლი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ეიფელის კოშკი. სახლის ზემო სართული გაწვეული იქნება ღრუბლებში, რომლებიც გადაივლიან ქალაქზე. სურათზე ნაჩვენებია ყველაზე მაღალი სახლი მსოფლიოში.

მკვდარი გულის გაცოცხლება

ოდესის საქიმიო ინსტიტუტში ამჟამად მეტად საინტერესო ცდებს ახდენენ გამოცალკევებულ (ცხოველებიდან ამოჭრილ) ორგანოების გაცოცხლების დარგში. ექიმი ს. ვ. ციგანოვი აწარმოებს ცდებს ბაყაყის ამოჭრილი გულის გასაცოცხლებლად. გულში ატარებენ ოდესის ნაპირებთან ამოღებულ ზღვის წყალს. ბაყაყის ამოჭრილ გულზე ასზე მეტმა ცდამ დაამტკიცა, რომ გულში ზღვის წყალის გატარების დროს უკანასკნელი იწყებს შეკუმშვა-გაფართოებას და დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს მოქმედების უნარს.



ექ. ს. ვ. ციგანოვი თავის ლაბორატორიაში

დაბალი ტემპერატურის დროს (10-14 გრად.) სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო დიდია, ვიდრე მაღალი ტემპერატურის პირობებში. ს. ვ. ციგანოვის ცდების დროს ბაყაყის გამოცალკევებული გული ზღვის წყალში ამოღების შემდეგ მუშაობდა 7 დღის განმავლობაში.

იმავე ცდებმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ზღვის წყალის ფართოდ გამოყენება საექიმო მიზნებისათვის. გამორკვეულია, მაგალითად, რომ შეიძლება ძაღლს გამოართვან სისხლის ½ და დანაკლისი ზღვის წყალით შეავსონ.

ექ. ს. ვ. ციგანოვი მორიგ ამოცანათ ისახავს მკვდარი ადამიანის გულის გაცოცხლებას და ამ მიზნისათვის ზღვის წყალის ვარგისიანობის გამორკვევას.

უღრმესად დამწუხრებულნი მეუღლე ოლია თომას ასული, შვილები: თამარი (თათუშა), გიორგი (ჟორა) და ქეთო (ცუცა), რძალი ოლღა პეტრეს ასული, ძმისწულები; ალექსანდრე (საშა), სერგო (ჯიკო) და ოთარი (ქუჩუ) აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 1 მარტს, დღის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან ალმასკომის პირველ საცდელ-საჩვენებელ მამულიდან (ორთაჭალა) პანაშვიდი ყოველ დღე სალ. 5 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

არტემ ერმალოს-ძე ჩაჩუა და მეუღლე მისი თამარ იოსების ასული შვილებით ნათელათი და ნოდარით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი ბიძის-მეგობრის აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 1 მარტს, დღის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან ალმასკომის პირველ საცდელ-საჩვენებელ მამულიდან (ორთაჭალა) პანაშვიდი ყოველ დღე სალ. 5 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

თბილისის ალმასკომის აგრონომიული ორგანიზაცია მთელი თავისი შემადგენლობით ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს მათთვის უძვირფასის და უფროს ამხანაგის აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

უდროოდ დაკარგვის გამო. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 5 საათზე (ორთაჭალის მამულში) გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს ნაშუადღევის 3 საათ დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2 1

თბილისის ალმასკომის სადგილ-მამულო განყოფილების სავეტერინარო ორგანიზაცია გულითადის მწუხარებით აუწყებს ნაცნობ-მეგობართ ორთაჭალის საბჭოთა მამულის გამგის ძვირფას ამხანაგის

პეტრე გრიგოლის-ძის მელიას

გარდაცვალებას. 1834

თბილისის ალმასკომის სადგილ-მამულო განყოფილება მწუხარებით აღნიშნავს საბჭოთა მამულების დაუღალავ მუშაკის და გამგის აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე სალამოს 5 საათზე, (ორთაჭალის მამულში) გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს ნაშუადღევის 3 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2—1

თბილისის ალმასკომის სადგილ-მამულო განყოფილების თანამშრომლები გამოსთქვამენ თავის ღრმა მწუხარებას საბჭოთა მამულის გამგის

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალების გამო. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე სალამოს 5 საათ. (ორთაჭალის მამულში). გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს, ნაშუადღევის 3 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2—1

თბილისის ალმასკომის საბჭოთა მამულში მომუშავე მუშა-მოსამსახურენი თავზარდაცემულნი დასტირიან უძვირფასეს და უანგარო გამგის

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

ცხედარს. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე სალამოს 5 საათზე, ორთაჭალის მამულში. გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2—1

უბედური მამა ბესარიონ მიხეილის-ძე, დედა სოფიო ალექსანდრეს ასული, დაი თამარა (ცატუნა) ბესარიონის ასული, ძმები ნიკოლოზ და მიხეილ ბესარიონის-ძენი ჩიჩუები და კოკი მიხეილის-ძე ესაკია აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა გამოსტაცა მათ კიდევ ერთი საყვარელი და დაუვიწყარი

ნინო (ცუცა) ბესარიონის ასული
ჩიჩუა

რომლის დაკრძალვა მოხდა 25 ამა თებერვალს. ნ. 735

უნუგეშოთ დარჩენილი ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები მიხეილი და სოფიო ანანჩენკოვები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი დაუვიწყარი შვილი უკანასკნელი იმედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

ნადეჟდა (ნადია) მიხეილის ასული
ანანჩენკო

დაკრძალვა 1 მარტს, ქ. ქუთაისში. გამოსვენება მიხეილ ჩინჩალაძის სახლიდან. 1839

ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს ექსპლოატაციის დარგის მოსამსახურენი გამოსთქვამენ თავიანთ ღრმა მწუხარებას რკინის გზის დამსახურებულ რევიზორის და სამაგალითო მუშაკის

ივანე ბალდ[illegible]ნის-ძე [illegible]

გარდაცვალების გამო. გამოსვენება რკ. გზის საავადმყოფოდან 27 თებერვალს, 12 საათზე. 1843

მეუღლე რისიკო ათანასის ასული, შვილები: ნინო, დავით, გრიგოლ და ნიკოლოზ, რძალი ლიუბა დიმიტრის ასული, შვილიშვილები: მარგარიტა, ირაკლი და ნოდარი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 27 თებერვალს, დღის 12 საათზე ქალ. ფოთში გადახდილი იქნება პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას

სტეფანე დავითის-ძე გამუას

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად. ნ. 734

დამწუხრებულნი დეიდა მატრონა იაკობის ასული ფანცხავასი თავის ქმრით და შვილებით და ბიძა ივანე იაკობის-ძე ურეხელიძე ცოლშვილით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს რომ

აკაკი ისმაილის-ძე ბერეკაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად 27 თებ., დღის 2 საათზე, ქ. თბილისში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 1826

„სეკარის სითხე“

დამზადებული პროფესორ დოქტორ ბიუხნერის წესის მიხედვით, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით № 8362 კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს ლაბორატორიის ორგანიულ ტერაპევტიულ განყოფილების მიერ გამოშვებულია

ნ. 724 10—1

„სეკარის სითხე“

მზადდება ცხოველების სათესლე ჯირკვლებისაგან სპეციალისტ ქიმიკოსების, ფარმაცევტების და ექიმების ხელმძღვანელობით. სეკარის სითხე იყიდება საბჭოთა კავშირის ყველა აფთიაქებში და სანიტარიის და ჰიგიენის მაღაზიებში.

ექიმებს საცდელათ მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებათ gratis.

მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის

კოოპერატივი „გალენ მოსკვა“-ს ორგანიულ კოოპერატიული განყოფილება მოსკოვი ჰერცენის ქ. № 5 განყ. 66.

მთავარ საწყობიდან ფოსტით იგზავნება არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. რაოდენობით ბეს გადახდის შემდეგ. შეხვევა და გადაგზავნა ჩვენს ხარჯზე.

ფლაკონი ღირს **2 მან.**

„კომუნისტი“

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. **ხაშურში**—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკი**—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე მიქაძესთან—ღ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. **ბათომი**—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. **ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძე.
11. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. **ოზურგეთი**—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისთ.
13. **თელავი**—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. **სიღნაღი**—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. **ოჩემჩირი**—ვ. სოსელიას განყოფ. გამგეს
19. **ხად. ბორჯომი**—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
20. **ბორჯომ-ბალი**—იაშა ტერტეროვთან
21. **ცხინვალი**—ვასილი ფავლენიშვილთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშვალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

ხელის მოწერა სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან არ მიიღება

„კომუნისტი“ მთავარი კანტორა

ი. იმედაშვილის

უცხო სიტყვათა
ლექსიკონი

რომელიც გამოდის პროფესორ ბ. ახვლედიანის რედაქციით—გამოვა მაისში. (ტეხნიკური მიზეზები წიგნს აგვიანებს). ვისაც უნდა წიგნი კარგა ყდით მიიღოს, ეხლავე უნდა გამოგზავნოს ყდის ფასი ერთი მან. ხელის მოწერა შეწყდება აპრილის დამლევს ვინც ერთად გამოგზავნის 3 მან. 50 კ., იმას ფულის მიღებისთანავე გაეგზავნება უფასოდ ქართველი მწერლების სურათი. (17 მწერალი ფერადი სალებავებით დაბეჭდილი) მისამართი ლენინის ქ. № 6 წიგნის მაღაზია „განათლება“ სილ. თავართქილაძეს.

1828

გაზეთ „კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა

სთხოვს სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს გაზ. „კომუნისტზე“ ხელის მოწერის დროს კანტორის რწმუნებულებს და აგენტებს აუცილებლივ მოსთხოვონ

სათანადო მოწმობები,

რომლებიც გაცემულია მხოლოდ აღნიშნულ გაზეთის მთავარ კანტორიდან.

ხელის მოწერა სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან არ მიიღება

3—1 გაზ. „კომუნისტის“ მთავარი კანტორა.

დღეს, სალ. 5 საათზე, განათლების მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. 3) განათლების მუშ. კავშირის ც. გ. იწვევს ამავე კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო

კრებას

დღის წესრიგში:

1. მოხსენება ც. გ. მუშაობის შესახებ.
2. დელეგატების არჩევნები კავშირის მე-6 ყრილობაზე.
3. თბ. საბჭოში დეპუტატების არჩევნები.

ნ. 742 ც. გამგეობა

გასასყიდათ გამოვიდა

იოსებ იმედაშვილის

ახალი პოემა

მუშენიერა

რაჭის წარსულიდან. გამოცემა გერ. მარშანიასი, გარეკანის ნახატი ალ. გვეტაძისა. 48 გვ., ფასი 25 კაპ. მოიკითხეთ რკინისგზის ჟურნალ-გაზეთების კიოსკებში, კონტრ-აგენტებთან და გაზეთის ყველა გამყიდველებთან. ბითუმად მსურველებმა მიმართონ გამომცემელს გერ. მარშანიას—თბილისი, რკ.-გზ. სადგურის ჟურ.-გაზ. კიოსკში. ნ. 691 5—4

ქუთაისის სამაზრო ალმასკომის ავტო-გარაჟის

სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს აღნიშნულ გარაჟის კრედიტორების საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებული არიან წარუდგინონ პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისიას ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, რომლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება

3—1 ნ. 743 სალიკვიდაციო კომისია

საქართველოს ფინანსთა სახალხო

კომისარიატი

ამით აცნობებს

საქართველოს სსრ ყველა დაწესებულებებს და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთ, რომ

შუამდგომლობანი და თხოვნები საზღვარ-გარეთ დაწესებულ ნორმაზე ზევით ვალიუტის გატანისა და გადაგზავნის შესახებ ამიერიდან უნდა წარუდგინოს საქართველოს ფინსახკომის სავალიუტო განყოფილებას

საქართველოს ფინსახკომი მგალობლიშვილი
სავალიუტო განყოფილების მმართველი ნ. კოიავა

ნ. 736

სიღნაღის სამაზრო ალმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ქიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრო ალმასკომის ადგილობრივ
1502 15—10 მეურნეობის განყოფილება.

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი

ლევან არღუთინსკი

აცხადებს რომ ა/წ. 4 მარტს ნაშუადღევის 2 საათზე გაიყიდება პირველი **საჯარო ვაჭრობით** გეორგ (გიორგი) მოსეს-ძე ჩილინგაროვის სახლი მდებარე ქ. თბილისში, მე-10 სამილიციო უბანში, პლეხანოვის პროსპ. № 88, და შეიცავს სამ კორპუს სახლს და ორ ფლიგელს, შეფასებულს 5000 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. სამივე კორპუსი სახლი და ორი ფლიგელი შეიცავს 63 ოთახს, 10 სამზარეულოს და 6 დარაბას უკანა ოთახებით, და იყიდება ქ. თბილისის ალმასკომის 2295 მან. ვალის ასანაზღაურებლად, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლის ძალით. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია წარუდგინოს, ვაჭრობის დღეს, სასამართლოს აღმასრულებელს სამოქ. საპრ. კოდ. 311 და 312 მუხლებში გათვალისწინებული (ნობები და საწინდარი 500 მან. 1842

სახელმწიფო დრამა

კვირას, 27 თებერვალს
ბილ-ბელოცერკოვსკის

პრემიერა **საჭე მარცხნივ!** პრემიერა

თარგმანი ს. ჩიქოვანის
პიესა 4 მოქ. 15 სურათი
დადგმა: ალ. ახმეტელისა.
მუსიკა გ. იპოლიტოვის.
კონსტრუქცია და კოსტიუმები ირ. გამრეკელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

2—1 ნ. 731

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 27 თებერვალს. ე. ა. სტეპანოვას გასტროლი **ლაკმე**

სამშაბათს, 1 მარტს, ე. ა. სტეპანოვას გასტროლი **რიგოლეტო**

ოთხშაბათს, 2 მარტს, აბონიმენტის მე-8-ე წარმოდგენა **სამსონ და დალილა**

ნ. 739

ცირკი

ძმ. ტანტების

1—1 ნ. 737
ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
კვირას, 27 თებერვალს

არაჩვეულებრივი სადღესასწაულო სანახაობანი დასის სრული შემადგენლობა ლეო ტანტის მეთაურობით. დღით დასაწყისი ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე ახალი პროგრამა საჩუქრების დარიგება.

საღამოთი 8 ნახ. საათზე შერჩეული პროგრამა ლეო ტანტის გამოსვლა. მე-31 ე დღე ჭიდაობისა, **ჭიდაობს 4 წყვილი**

პირველი წყვილი საბოლოო შეხვედრა ნიღ. ფენომენ ნიღ. მერკულეს გადამწყვეტი შეხვედრა შულც—ერტნერ. გადამწყვეტი შეხვედრა მახარაძე—ხიდიუკ. მეოთხე წყვილი ორლი—ნოკ—იაუნზე.

წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!! ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

აპოლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. 17—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.

0—17 ნ. 587

დადგმის უკანასკნელი დღე

„ბელა“

„ჩვენი დროის გმირი“-ს ციკლიდან
(ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით)

მერი პიკფორდ საუკეთესო სურათში **როცა თოვლი დნება**

საინტერესო ამერიკული კინო-რომანი
„ტყავის ხელთათმანები“
1 და 2 სერია ერთად
ორშაბათიდან 28 თებერვლიდან 3 და 4 სერია ერთად.

ანონსი: საქართველოს სახკინმრეწვის მორიგი სურათი „თავადის ასული მერი“.

ამხ. „ქართული წიგნი“

აუწყებს ამხანაგობის წევრებს და ხელის მომწერთ, რომ

ილია ჭავჭავაძის

მორიგი ტომის დამზადების დროს **აღმოჩნდა**

სრულიად ახალი მასალა (მათ შორის ცენზორის მიერ აკრძალულიც), რომელმაც გამოიწვია დამუშავებული მასალის გადაჯგუფება

ამის გამო მეოთხე ტომის გამოსვლა ცოტა ხნით **დაგვიანდება**

წიგნის გამოსვლა თავის დროზე ეცნობება საზოგადოებას.

ნ. 741

საქართ. სახკინმრეწვის მორიგი ნაწარმოები

თავადის ასული
მერი

ციკლიდან „ჩვენი დროის გმირი“
ლერმონტოვის მიხედვით
დადგმა რეჟ. ვ. ბარსკისა
ოპერატორი ა. პოლიკევიჩი

ნ. 410

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

მიღება ახალ ჯგუფში სწარმოებს 1 მარტამდი

ან მდივანთან, ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე იოვანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვთან 1 თუმანოვის ქ. № 13. 1833

დღეს, დღის 1-ლ საათზე, ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბში განათლების მუშ. კავშირის ც. გ. იწვევს ამავე კავშირის

იმ წევრთა საერთო კრებას

რომლებიც გაერთიანებული არიან №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, ადგილკომებში

დღის წესრიგში:

1. მოხსენება ც. გ. მუშაობის შესახებ.
2. დელეგატების არჩევნები მე-6 ყრილობაზე.

ნ. 742 ც. გამგეობა

განათლების მუშ. კავშირის ც. გ. იწვევს ამავე კავშირის წევრთა საერთო **კრებებს**

იმ წევრების, რომლებიც გაერთიანებული არიან №№ 12, 15, 16, 17, 23, 24, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39 ადგილკომებში—28 თებერვალს, დღის 1-ლ საათზე, მე-2 შრომის სკოლის ბინაზე (კამოს ქ. № 52).

იმ წევრების, რომლებიც გაერთიანებული არიან №№ 59, 60, 61, 62, 63, 68, 70, 71 ადგილკომებში—28 თებერვალს, დღის 1-ლ საათზე, განათლების მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. № 3).

იმ წევრების, რომლებიც გაერთიანებული არიან №№ 40, 41, 42, 43, 44, 45, ადგილკომებში—1-ლ მარტს, დღის 1-ლ საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბში.

იმ წევრების, რომლებიც გაერთიანებული არიან №№ 74, 76, 77, 78, 79, 80, 81 ადგილკომ—1-ლ მარტს, დღის 1-ლ საათზე განათლების მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. № 3).

კრებების დღის წესრიგი:

1. მოხსენება ც. გ. მუშაობის შესახებ.
2. დელეგატების არჩევნები კავშირის მე-6 ყრილობაზე. ვსთხოვთ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

ნ. 742 ც. გამგეობა.

ჩქარი და საფუძვლიანი

შესწავლა

ორმ. ბუხჰალტერიის

თეორიის და პრაქტიკის

საბჭ. და სავ. მუშ.

პროფკავშირის

2-ე საანგარიშო მეცნ-თა

კურსებზე

მსმენელთა მიღება გრძელდება. დგება ახალი ჯგუფი. კურსების პირობების გაგება საღამოს 5—7 საათამდე კოოპერაციის ქუჩ № 17, მე-33 შრ. სკოლა (მუშტაიდის მახლობლად). 1689 5—1

თბილისის ქალაქის ბანკის **გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ თანახმად ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარის მიერ 1926 წ. ნოემბრის 5-ს დამტკიცებულ სარემონტო-საამშენებლო სესხის დებულების მე-5 მუხლისა, ბანკის ბინაზე (პუშკინის ქ. № 3) დანიშნულია 1927 წელს მარტის 15-ს, ნაშუადღევის 2 საათ. პირველი და საბოლოო

საჯარო ვაჭრობით

გასასყიდათ მამული მარიამ კონონის (იგივე ნიკოლოზის) ასული ლიუტენკო მაროზოვისასი, მდებარე ქ. თბილისში მე-5 სამილიციო უბანში, აბელოვის (ყ. მირზოევის) ქ. № 3.

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ სავალდებულოა მთელი მამულზე აღრიცხული ბანკის ვალის სამას სამოცდაათი მანეთის (370 მან.) წარმოდგენა. მყიდველი მოვალე არის ვაჭრობის დღესვე დაფაროს ყველა ქალაქის და სახელმწიფო გადასახადები, რომელნიც მამულზე აღრიცხული აღმოჩნდება.

ნ. 738

ექიმი

ა. დ. კიკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 541, მოცემული ახალ-აბაშის თემის ალმასკომის მიერ მამანტი ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 1830

დაიკარგა პარტბილეთი № 523293, ფეიქართა პროფკავშირის წიგნაკი № 1937 და სამხ. აღრიცხვის წიგნაკი ა. ნ. ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 3118

დაიკარგა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი წიგნაკი პარმენ ოქრომჭედლიძის სახელზე, ჩ. გ. 1838

დაიკარგა სააღრიცხვო ბარათი რაღიმ ნური ოღლის სახელზე, ჩ. გ. 1841

დაიკარგა სააღრიცხვო ბარათი მალრამ ბაირამ ოღლის სახელზე, ჩ. გ. 1840

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 20 კლიმენტი იესესძე თალაკვაძის სახელზე, ჩ. გ. 1832

დაიკარგა კორწინების მოწმობა № 1718 მოცემული განჯის საეკლესიო სამმართველოდან მარია წულუკიძის სახელზე, ჩ. გ. 18 7

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.